ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №29 (2402) ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

„საქართველო ღირსია იმისა, რომ საფრანგეთმა და ფრანგებმა აღმოაჩინონ იგი"

საფრანგეთი საქართველოს საინვესტიციო მხარდაჭერას სთავაზობს

პარიზი, 5 თებერვალი (საქინფორმის კორესპონდენტები მაია ალედაური, ედუარდ ედიბერიძე).

საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები საქართველოს სთავაზობენ საინვესტიციო მხარდაჭერას. ეს ითქვა სასტუმრო „რიტცში" საქმიან საუზმეზე, რომელიც დაიწყო საფრანგეთში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის მესამე დღე.

აქ მოწვეულმა საფრანგეთის წამყვანი ფირმებისა და კომპანიების ხელმძღვანელებმა პარიზის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრის სათხებში ვიცე-მერის პატრიკ ბიტრის მეთაურობით განიხილეს ქართველ პარტნიორებთან სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. კერძოდ, „ჟე-ტე-ემ" საინჟინრო კომპანიის ანტროპოზის სექციის პრეზიდენტმა და გენერალურმა დირექტორმა ჟან-ლუი რომ ილაპარაკა საქართველოში ნავთობისა და გაზის საცავების, მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში თავისი ფირმის მონაწილეობის შესახებ, რომელთა გამო პრინციპული მორიგება უკვე მიღწეულია საქართველოს მხარესთან.

საქართველოს სასტუმრო კომპლექსის განვითარების სფეროში ინტერესო პროექტებს გვთავაზობს საფრანგეთის განთქმული ტურისტული კომპანია „აკორი". როგორც მისმა პრეზიდენტმა ჟერარ პელისონმა თქვა, კომპანიის ექსპერტებმა უკვე დაიწყეს საქართველოს [illegible] პოტენციალურ შესაძლებლობათა შესწავლა.

საბანკო ჯგუფი „ლოზერ ენდ [illegible]ერსი" მზად არის გაუწიოს როგორც მეთოდური, ისე ფინანსური მხარდაჭერა თანამშრომლობის დასახულ პროგრამებს, რაც განაცხადა მისმა აღმასრულებელმა დირექტორმა ედუარდ მტე[illegible].

აქვე, სასტუმრო „რიტცში", საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ საფრანგეთის რესპუბლიკის სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს კრისტიან პონსელეს, რომელიც აქ ჩამოვიდა საფრანგეთის უდიდესი კომპანიების ხელმძღვანელთა ჯგუფთან ერთად. მათ შორის იყვნენ ფირმების „ტომსონის", „ედფს", „დასოს", „კოფას" პრეზიდენტები, „კოლბარსენის", „ალკატელის" კომპანიების წარმომადგენლები, აგრეთვე საფრანგეთის მეწარმეთა და მსოფლიო მეურნეობის ასოციაციის კავშირის თავმჯდომარე ბატონი შერერი. გახსნა რა ეს შეხვედრა, სენატის საფინანსო კომისიის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზანი, რომელსაც ისახავენ ფრანგი ბიზნესმენები, ეს არის დაეხმარონ საქართველოს მისი ეკონომიკის აღმავლობაში. ითქვა, რომ ამის კარგ საფუძველს ქმნის ბოლო წლების მანძილზე მიღწეული პოლიტიკური სტაბილურობა, ფრიად საგრძნობი წარმატებანი რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში. საქართველოს ფასდაუდებელი სიმდიდრე მისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობაა, რომელიც ქვეყნის წინაშე დიდებულ პერსპექტივებს სახავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, ევროკავშირში, მსოფლიო ეკონომიკაში მისი ინტეგრაციისათვის. საფრანგეთის მეწარმეთა ელიტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ თავიანთ ქართველ პარტნიორებს დასახული გეგმების რეალიზაციაში.

ამის საუკეთესო დადასტურება გახდა კიდევ ერთი დოკუმენტის ხელმოწერა ამ დღეს, რომელიც განსაზღვრავს საფრანგეთ-საქართველოს თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების პერსპექტივას. ეკონომიკის დარგში ასეთი თანამშრომლობის შესახებ ოქმს ხელი მოაწერეს საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროსა და „ელექტრისიტე დე ფრანსის" კომპანიას შორის. თავისი ხასიათითა და შინაარსით ეს დიდი მასშტაბის დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს ენერგეტიკულ კომპანიებთან საფრანგეთის ფირმის მჭიდრო საქმიანი კონტაქტების მოგვარებას მის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. უკვე უახლოეს დღეებში „ელექტრისიტე დე ფრანსის" ექსპერტები ესტუმრებიან ქართველ კოლეგებს, რათა ერთად განსაზღვრონ თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამა.

ენერგეტიკა მხოლოდ ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, რომლის აღდგენასა და მოდერნიზაციაში ფრანგი მეწარმეები აპირებენ სოლიდური კაპიტალის ინვესტირებას. მათ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს სატრანსპორტო სისტემის რეაბილიტაცია, ტელეკომუნიკაციების, მილსადენების მშენებლობა, ევრაზიის დერეფნის ინფრასტრუქტურის შექმნა. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ინვესტიციების დაცვისა და წახალისების გარანტიები მათ წინაშე სახავენ ფართო ასპარეზს მრავალ სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ინტესიფიკაციისათვის. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა საფრანგეთის ცნობილი ფირმის „ტოტალის" პრეზიდენტსა და გენერალურ დირექტორს ტიერ დემარესა და „არჟილის" ბანკის მმართველს, ამ ფირმის დირე-

იხ. გვ - 2 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა,

წარმოთქმული საფრანგეთის რესპუბლიკის სენატში საქართველოს შესახებ საფრანგეთის სენატისა და საგარეო ვაჭრობის ფრანგული ცენტრის მიერ გამართულ კოლოკვიუმზე

პატივცემულო ბატონო სენატის თავმჯდომარევ,

ქალბატონებო და ბატონებო,

უაღრესად შთამბეჭდავი და შედეგიანი იყო შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტთან, სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. პრეზიდენტი ჟაკ შირაკი თანამედროვეობის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის საოცარი მიზანსწრაფულობით და შეუპოვრობით გამოირჩევა. დიდი საფრანგეთის ასეთი ლიდერის მზადყოფნა – ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქვეყნის აღორძინებას, რაღა თქმა უნდა, იმედით და რწმენით აღგვავსებს.

მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და ბატონ რენე მონორის მადლობა მოვახსენო საქართველოში ჩამობრძანებისათვის. მისი ვიზიტის შემდეგ კავკასიას ეწვია ბატონი ერვე დე მარეტი. წინათგრძნობა მკარნახობს, საფრანგეთის პრეზიდენტი მიიღებს ჩემს გულითად მოწვევას და მოინახულებს „კავკასიის ელდორადოს". მჯერა, რომ ჩემი უახლოესი მეგობრები და მეზობლები ჰეიდარ ალიევი და ლევონ ტერ-პეტროსიანი გულით გაიხარებენ, თუკი საფრანგეთის პრეზიდენტი ჩვენი საერთო სტუმარი გახდება.

ქალბატონებო და ბატონებო,

თქვენ მოაწყვეთ კოლოქვიუმი ჩემს უსაყვარლეს თემაზე. თქვენ მიუძღვენით იგი ჩემს უძვირფასეს „საგანს". მას საქართველო ჰქვია.

მთელი ჩემი სიცოცხლე ამ „საგანში" ვაბარებ გამოცდას.

უკანასკნელ წლებში იგი აუტანლად მკაცრი იყო.

ჩვენ ვაბარებდით მას გამოუვალი კრიზისისა და სამოქალაქო ომის, შინაამბოხებისა და აგრესიის ვითარებაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველაფერს გავუძელით, გადავრჩით, დავადექით აღმავლობის გზას და ეს მაძლევს უფლებას მონაწილეობა მივიღო სემინარში თქვენს მიერ არჩეული თემის მიხედვით:

– საქართველო. საგრძნობი ეკონომიკური აღმავლობა.

– რეფორმა და პოლიტიკური სტაბილურობა.

– თანამშრომლობის საუკეთესო პერსპექტივები.

მზად ვარ გავიმეორო ის, რაც სემინარის ორგანიზატორებმა ბრძანეს: „საქართველო ღირსია იმისა, რომ საფრანგეთმა და ფრანგებმა აღმოაჩინონ იგი". მით უმეტეს, რომ თქვენ კარგი წინამორბედნი გყავდათ.

ერთმა მათგანმა, გასული საუკუნის ნეგოციანტმა ჟან-ფრანსუა გამბამ დაწერა წიგნი იმის შესახებ, თუ რაოდენ მდიდარია საქართველო და რაოდენ ხელსაყრელია ევროპელებისათვის კავკასიასთან ვაჭრობა. მაგრამ იქამდე, სანამ წიგნს დაწერდა, მან სარფიანად გაყიდა საფრანგეთში 16 ათასი აკრი ქართული ტყე და დასავლეთ საქართველოში მოაწყო სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო მამული. ვგონებ, თანამედროვე ენაზე ამას ორმხრივი ხელსაყრელი თანამშრომლობა ეწოდება. მე მოგიწოდებთ, მიბაძოთ ამ მაგალითს.

მით უმეტეს, რომ იგი არ არის ერთადერთი.

მე ვიცი, რომ წინა ორატორმა საქართველო დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მოიხსენია.

მართლაც, ისტორიულად საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ყველაზე მოსახერხებელი და მოკლე მონაკვეთი იყო. ხოლო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის პროექტი (ტრასეკა) რეალობად აქცევს მას.

მე ვფიქრობ, საფრანგეთის საქმიანი სამყარო ვერ იქნება გულგრილი აზიიდან ევროპაში და ევროპიდან აზიაში საქონლის, ნედლეულისა და მომსახურების სწრაფი გადაადგილების იდეისამდი, ისევე, როგორც, არ ყოფილა გულგრილი XVII საუკუნის მიწურულს, როდესაც მსოფლიო საზღვაო გზებზე სულ სხვა ფლოტი

იხ. გვ - 2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი

ნ. გალაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და საქართველოში დაბრუნების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალი ნომრევან გალაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი

ა. სამსონიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალი ალექსანდრე სამსონია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

პარლამენტი

პარლამენტი აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობასთან ერთად მკაცრად განახორციელებს საპარლამენტო კონტროლს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 4 თებერვალს მუშაობა დაიწყო საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიამ.

საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომას ესწრებოდა 158 დეპუტატი. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის საგაზაფხულო სესიის დაგეგმვის შესახებ, რომლის თანახმადაც მიმდინარე სესია დაიგეგმება ორკვირიანი ციკლით – კვირამონაცვლეობით. პირველი კვირა – 4-7 თებერვალი დაეთმობა პლენარულ სხდომებს, რომლებიც გაიმართება სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, მეორე კვირა კი – კომიტეტების მუშაობას და ადგილებზე ამომრჩევლებთან შეხვედრას.

შემდეგ წარმოთქმულ[illegible] პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გააკეთა მოხსენება.

იხ. გვ - 2 გვ.

მიიღეს ახალი კანონები

5 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მორიგი პლენარული სხდომა.

ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განიხილა და გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით – მიიღო კანონპროექტი „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" კანონპროექტში დამატებების შეტანის თაობაზე", რომელიც დეპუტატმა თამაზ აქუბარდიამ წარმოადგინა. კანონის მიხედვით სამედიცინო დაწესებულებები თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

დეპუტატებმა განიხილეს კანონპროექტი „საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ". იგი წარმოადგენს სახელმწიფოში მიმდინარე სამხედრო რეფორმის აუცილებლობით ნაკარნახევ სამართლებრივ დოკუმენტს თავდაცვის სფეროში, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვისა, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებულ სამხედრო შენაერთებსა და ნაწილებში ოფიცერთა, ზემდეგთა (მიჩმანთა), სერჟანტთა და რიგითთა (მატროსთა), აგრეთვე ნებით დაქირავებულ პირთა რაოდენობას 1997 წლისათვის.

ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მოახდინა „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან" ხელშეკრულების და „საქართველოს რესპუბლიკასა და ნიდერლანდის სამეფოს შორის მათ შესაბამის ტერიტორიებსა და მის მიღმა საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმების რატიფიკაცია. დოკუმენტები რატიფიკაციაზე წარმოადგინა საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ.

საქინფორმი.

გვიპასუხებენ

არც ისეა საქმე, უპირობა რომ დაგვაბრალონ

„საქართველოს რესპუბლიკის" 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული მკითხველის – ელვარდ აბესაძის წერილის „[illegible] პირიანობითაა" კვალდაკვალ თერჯოლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი ამირანაშვილმა საჭიროდ ჩათვალა კვლავ მოეხსენებინა სტიქიის მიერ დაზარალებული ოჯახები, მათ შორის, წერილის ავტორის სახლ-კარიც.

„ელვარდ აბესაძის კომლი შედგება მხოლოდ ერთი სულისაგან – თვითონ იგი და არავითარი დედა და ძმა არ ჰყავს მას სარჩენი და მოსავლელი, როგორც აცხადებს, – გვწერს რაიონის გამგებელი.

ელვარდ აბესაძე და მისი ოჯახი 1992 წლის 19 აპრილამდე, პენსიაში გასვლამდე, ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა ქ. ტყიბულში, საიდანაც ამოწერილია მარტო თვითონ იგი, რომ ოჯახის დანარჩენი წევრები დარჩნენ საცხოვრებლად ქ. ტყიბულში, მის საცხოვრებელ ბინაში. იგი 1992 წლის აპრილის თვეში ჩაწერილია თერჯოლის რაიონის სოფელ თუზში დედის კომლში, 1996 წლის აგვისტოში გამოყოფილია დედის კომლიდან ცალკე კომლად და ჩაწერილია თავის საცხოვრებელ სახლში.

საცხოვრებელი სახლი, რომლის შესახებაც ელვარდ აბესაძე წერს, მის მიერ აშენებულია 1980-83 წლებში უკანონოდ, უნებართვოდ და უპროექტოდ. ვინაიდან, ელვარდ აბესაძე ჩაწერილი არ იყო სოფელში, მას სახლის აშენების უფლებაც არ ჰქონდა. თუ პროექტით აწარმოებდა იგი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, მაშინ, იმ ადგილზე სახლის აშენების უფლებას არ მისცემდნენ, როგორც მეწყრული ზონა და თუ მისცემდნენ აშენების უფლებას, სათანადო დამატებითი საამშენებლო სამუშაოებიც იქნებოდა გათვალისწინებული პროექტში (კერძოდ, მეორე სართულზე სეისმური სარტყელის შემოვლება და შენობის ირგვლივ წყალშემკრები მიწისქვეშა არხების მოწყობა).

1990 წლიდან სტიქიური მოვლენების შედეგად რაიონში დაზიანებულია 1070 საცხოვრებელი სახლი, მათგან მთლიანად იყო დანგრეული 128, აღდგა მხოლოდ 60 სახლი. დანარჩენების აღდგენა ჯერ ვერ მოხერხდა სათანადო სახსრების უქონლობის გამო. მაგრამ ამისათვის რაიონის გამგეობის გარდა (მათ შორის, არც პრესა) დღემდე არ დაინტერესებულა.

აბესაძეს სხვებთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ამჟამად ელვარდ აბესაძის საცხოვრებელი სახლი საცხოვრებლად საშიში არ არის.

გიორგი ამირანაშვილი,
თერჯოლის რაიონის
გამგეობის თავმჯდომარე."

ინფორმაცია

ინსპექტორებიც იღებენ ქრთამს

5 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ჩატარდა საგადასახადო ინსპექციის მუშაკთა თათბირი, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა. თათბირს ესწრებოდნენ სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები თემურ ბასილია და ნუგზარ საჯაია, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის წარმომადგენლები, საგადასახადო ინსპექციის მუშაკები, მეწარმეები, ბიზნესმენები.

საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელმა დავით სალარიძემ თათბირზე განაცხადა, რომ 1996 წლის შემოსავლებმა სახელმწიფო ბიუჯეტში ნაცვლად 27 მილიონი ლარისა 15 მილიონი ლარი შეადგინა, გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი, სალარიძის თქმით უხარისხო მუშაობაა. ამასთან, გამოვლენილია ცალკეულ ინსპექტორთა მიერ ქრთამის აღების შემთხვევები, რის შედეგადაც მარტო თბილისში აღმოჩენილია 100-ზე მეტი ობიექტი, საიდანაც 1996 წელს არავითარი გადასახადი არ აკრეფილა. მისი თქმით, გაფართოვდა და დაიხვეწა გადასახადების დამალვისა და თავის არიდების მეთოდები.

მისი აზრით, კორუფციად არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოდან სამამულო ნაწარმის გატანა, რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტში ძირითადი შემოსავლები სწორედ ამ გზით უნდა შევიდეს.

„ალკატელმა" იმუშავა და დარჩება სამუშაოდ

5 თებერვალს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო ფირმა „ალკატელის" თბილისის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი ალთუღ ოზქანი.

„ალკატელმა" განახორციელა არსებული სატელეკომუნიკაციო სისტემის მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციის პროექტები ბათუმში, ფოთში, ქობულეთსა და რუსთავში.

მსოფლიოში ცნობილი სატელეკომუნიკაციო ფირმა საქართველოში კიდევ რამდენიმე საერთაშორისო პროექტის განხორციელებას აპირებს ენერგეტიკის, კერძოდ, ელექტროსადგურების მშენებლობის სფეროში.

სახელმწიფო მინისტრმა მადლობა მოახსენა სტუმარს გაწეული საქმიანობისათვის და შესთავაზა მას, შეისწავლოს საქართველოში არსებული სამრეწველო პოტენციალი, ტელეგრაფიული აპარატურის, ტელექსების, საფოსტო დანადგარების, ელმავლებისა და თბომავლების წარმოების გამოცდილება და გაითვალისწინოს მომავალ ერთობლივ საქმიანობაში.

ვისია „დინამოს" სტადიონი?

4 თებერვალს სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან გაიმართა თათბირი, რომელიც კვლავ დინამოს სტადიონის პრობლემებს შეეხო.

თათბირზე მოისმინეს ინფორმაცია სტადიონის რეკონსტრუქციისა და დემონტაჟისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარების გეგმების შესახებ. აღინიშნა, რომ მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებისათვის დამაკმაყოფილებელი დონის მისაღწევად საჭიროა 24 მილიონ 114 ათასი ლარის სამუშაოების ჩატარება. ამის სახსრები კი არც ერთ ორგანიზაციას არ გააჩნია, ხოლო იმისთვის, რომ ამ საქმეში ინვესტირება განხორციელდეს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, უცხოური ფირმები, პირველ რიგში სტადიონის კანონიერი მესაკუთრის განსაზღვრას მოითხოვენ.

სახელმწიფო მინისტრის დავალებით, ქონების მართვის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს ყველა შესაბამისი რგოლის ქონებრივი მონაწილეობის საკითხი. ამასთან, შეიქმნას სააქციო საზოგადოება კლუბ „დინამოს", მუნიციპალიტეტის, ფეხბურთის ფედერაციისა და სხვა დაინტერესებულ უწყებათა შემადგენლობით, განისაზღვროს და დაცული იყოს ყველა რგოლის უფლებები და ინტერესები და ერთი კვირის ვადაში მომზადდეს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად.

იმავე დღეს სახელმწიფო მინისტრთან გაიმართა თათბირი, რომელიც დედაქალაქის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგების განხილვას მიეძღვნა.

სეპარატისტები უარს ამბობენ

ლონდონში მოქმედმა საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერნეიშნლ ალერტმა" მოლაპარაკება განაახლა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებთან ერთობლივი ქართულ-აფხაზური კომისიის შექმნის თაობაზე, რათა კომისიის შემადგენლობაში მოგვარდეს ეს კონფლიქტი. მაგრამ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებს არ სურთ ამგვარი კომისიის ჩამოყალიბება და აცხადებენ, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას იმ კომისიაში, რომელიც მხოლოდ აფხაზური და ქართული მხარეებით იქნება დაკომპლექტებული. ისინი მოითხოვენ, რომ კომისიაში იყოს წარმომადგენლები საქართველოდან, აფხაზეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

გალის რაიონში შედარებით სიმშვიდეა

„იბერიას" კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონიდან აცნობეს, რომ ბოლო დღეებთან შედარებით, 5 თებერვალს გალის რაიონში სიმშვიდე იყო. რაიმე ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. აფხაზური მილიცია კვლავ გალშია დაბანაკებული. ბოევიკთა დამატებითი ჯგუფები კი გაყვანილია გალის არხის გასწვრივ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა დაშინებულია.

მასალები მოგვაწოდეს პრეზიდენტის პრესსამსახურმა – საქინფორმმა, „იბერიამ" და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

უკანასკნელ საათს

დუშანბე. ტაჯიკეთის დედაქალაქიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე ერთ-ერთი შეიარაღებული ფორმირების წევრებმა 5 თებერვალს მოიტაცეს გაეროს სამი მეთვალყურე, ექიმი და თარჯიმანი. ტერორისტები მოითხოვენ საზღვრის გახსნას მათი ხალხის გასატარებლად. ბოევიკებს გუშინვე შეხვდნენ ტაჯიკეთის მთავრობისა და გაეროს წარმომადგენლები.

* * *

ყარაჩი. მეჯამდა ეროვნული ასამბლეის არჩევნების შედეგები, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა პაკისტანის მუსლიმანურმა ლიგამ, რომელმაც 217-დან 122 ადგილი დაიგროვა და უკან მოიტოვა პაკისტანის სახალხო პარტია, რომელსაც ყოფილი პრემიერი ბენაზირ ბჰუტო მეთაურობს.

* * *

ბელგრადი. იუგოსლავიის მმართველი კოალიცია ერთსულოვნად მიესალმება სერბეთის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის გადაწყვეტილებას, ცნოს ოპოზიციის გამარჯვება ადგილობრივ არჩევნებში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის რეკომენდაციათა შესაბამისად. იუგოსლავიის პრეზიდენტმა ზორან ლილიჩმა ინტერვიუში, რომელიც სერბეთის ტელევიზიის ყველა არხით გადაიცა, „მილოშევიჩის პოლიტიკურ ნებას ბრძნული კომპრომისული გადაწყვეტილება უწოდა". იმის მიუხედავად, რომ სერბეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა ცნოს ოპოზიციის გამარჯვება ადგილობრივ არჩევნებში. ოპოზიციური ბლოკის „ერთიანობის" ლიდერები დღესაც აპირებენ მიტინგი გამართონ ბელგრადის ცენტრში.

ჯოკარგალა. იჩქერიის რესპუბლიკაში ეუთოს საგანგებო წარმომადგენლის მეოყარიელი ტიმ გულდემანის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებამ დიდი საერთაშორისო რეზონანსი და უკმაყოფილება გამოიწვია. ახლადარჩეული პრეზიდენტი ასლან მასხადოვი დუმს, ხოლო მისი გარემოცვა ზელიმხან იანდარბიევის მთავრობას აბრალებს გულდემანის გაძევებას, რომელიც ამჟამად მეზობელ ინგუშეთში იმყოფება.

* * *

პრაღა. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაიღუპა ბოგუმილ გრაბალი, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჩეხი მწერალი. გრაბალი, რომელიც 82 წლისა იყო, გადმოვარდა საავადმყოფოს მეხუთე სართულის ფანჯრიდან, როდესაც რაფაზე მტრედებს უყრიდა საკენკს. კომუნისტური რეჟიმის დროს გრაბალს პრაქტიკულად აკრძალული ჰქონდა წერა.

საქართველოს რესპუბლი

№29. ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 1997 წელი

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა,

წარმოთქმული საფრანგეთის რესპუბლიკის. სენატში საქართველოს შესახებ საფრანგეთის სენატისა და საგარეო ვაჭრობის ფრანგული ცენტრის მიერ გამართულ კოლოკვიუმზე

(დასასრული)

ბატონობდა, ხოლო აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ყველა სხვა გზა, მათ შორის, სახმელეთო, გადაკეტილი იყო.

მაგრამ აი, ერთხელ, ბოლოს და ბოლოს გამოინახა „მოსახერხებელი და იოლი გზა ჩვენი ფრანგი სოვდაგრებისათვის,“ — ვერ მალავდა სიხარულს სამშობლოში მიწერილ ბარათში მისიონერი რიშარი — „ახლა ისინი შეძლებენ კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვით ჩავიდნენ საქართველოში, იქიდან კი უმოკლესი გზაა ირანში“.

საქართველოს გავლით ფრანგულ-ევროპული ტრანზიტის იდეა ფრთას ასხამდა საუკეთესო ქართველ მამულიშვილებს. 1714 წლის აპრილში ქართველთა მეფის ვახტანგ VI-ის დესპანი ლუი XIV-ს 300 ათას ეკიუს სთხოვდა და, სამაგიეროდ, ფრანგ კომერსანტებს საქართველოდან აღმოსავლეთში მიმავალ ყველაზე მოსახერხებელი გზით გატარების გარანტიას სთავაზობდა.

მე არ გთხოვთ ასეთ თანხებს, მაგრამ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ სატრანზიტო გზას რეგიონებისაკენ, რომლებსაც ბატონ ერვე დე მარეტის აღიარებით, საფრანგეთმა დიდი დაგვიანებით მიაპყრო მზერა.

თქვენ აქ განიხილავდით საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასა და სამრეწველო საქონლის ბაზრის პერსპექტივებს, ენერგეტიკისა და შაქრით ვაჭრობის განვითარების საკითხებს, საკრედიტო ბარათების დანერგვისა და სადაზღვევო საქმის შესაძლებლობებს. მე კი, ჩემი მხრივ დავსძენდი: საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც აქვს განვითარებული მსუბუქი, გადამამუშავებელი და სამთამადნო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, აუთვისებელი „ნოუ-ჰაუთი“ მდიდარი მოწინავე მეცნიერება და უსაზღვრო საკურორტო-სარეკრეაციო შესაძლებლობანი. ქართული მევენახეობა-მეღვინეობა ვაზის 500 უნიკალურ ადგილობრივ ჯიშს მოიცავს. ჰიდრორესურსებით, სასმელი წყლისა და მინერალური წყლების მარაგით საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში.

აქ უკვე მოიყვანეს რამდენიმე მაკროეკონომიკური მახასიათებელი, ისეთი, როგორიცაა ერთობლივი შიდაპროდუქტის ზრდა 1996 წელს 16 პროცენტით. არანაკლებ ნიშანდობლივია ისიც, რომ მასში კერძო სექტორის წილმა 75 პროცენტი შეადგინა. მიწის რეფორმის შედეგად მოსახლეობის სამი მეოთხედი მიწის მესაკუთრე გახდა. ქვეყანაში პრივატიზებულია 10 ათასზე მეტი საშუალო და წვრილი საწარმო და ამ პროცესში მონაწილეობდა 400 ათასი ოჯახი. ჩვენში პრივატიზებულია არა მხოლოდ მიწა, არა მხოლოდ სამრეწველო და აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ ყველა საცხოვრებელი ბინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უმოკლეს ვადაში — სულ რაღაც ორ წელიწადში — საქართველო მესაკუთრეთა ქვეყნად იქცა. ამ ორ წელიწადში ჩვენ გავატარეთ საფინანსო რეფორმა, მიმოქცევაში შემოვიტანეთ ეროვნული ფულადი ერთეული — ლარი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მყარია ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ქვეყანაში ინფლაციის დონე თვიურად 1 პროცენტს არ აღემატება.

დროის ამ მონაკვეთში ძალაში შევიდა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც შემუშავდა მსოფლიოს ყველაზე მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით და რომელიც მიღებულ იქნა 26 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარი პარლამენტის მიერ. ამ კონსტიტუციის საფუძველზე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, გაეროს მეთვალყურეთა თანდასწრებით ჩატარდა თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელთაც დაადასტურეს, რომ საქართველოს ხალხი უარს ამბობს ნებისმიერი სახის რადიკალიზმზე. განახლებულ და დეპუტატთა ასაკითაც და მისწრაფებებითაც გაახალგაზრდავებულ პარლამენტში წარმოდგენილია აქტიური ოპოზიცია, რომელიც სტიმულს აძლევს ეროვნული კონსენსუსის ძიების პროცესს.

ნუ დავივიწყებთ, რა პირობებში გვიწევდა ყოველივე ამის განხორციელება. საომარ კონფლიქტებს აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში ათასობით ადამიანი ეწირებოდა. ქვეყანა ცხოვრობდა ენერგეტიკული ბლოკადის პირობებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ეკონომიკურ კრიზისს. ცოტაც, და დანაშაულებრივი დაჯგუფებები მიაღწევდნენ პოლიტიკის სრულ კრიმინილიზაციას და „კანონიერ“, სახელმწიფოებრივ ელფერს შესძენდნენ თავიანთ თარეშს. აღარ ვამბობ გარე ზეწოლაზე... მოკლედ, თითქმის არავითარი შანსები არ გაგვაჩნდა. მაგრამ ჩვენ ისინი მოვიპოვეთ და შევძელით მათი გამოყენება ორი უმთავრესი ფაქტორის წყალობით.

პირველი — გახლავთ ჩვენს ხალხში არსებული დიდი კაპიტალი — ოპტიმიზმი. გამოკითხვები მოწმობენ, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ჩვენში ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ენით აუწერელი სულიერი და ფიზიკური განსაცდელის, მატერიალური ზარალის მიუხედავად ჩვენმა ხალხმა მესძლო განადგურებას გადაერჩინა მისთვის დამახასიათებელი ადამიანური ურთიერთობები, რამაც, ნაწილობრივ, შექმნა კეთილმყოფელი პირობები კარდინალური რეფორმების გასატარებლად.

მეორე ფაქტორი გახლავთ საზღვარგარეთის დახმარება — ჰუმანიტარული, ტექნიკური, ნებისმიერი სხვა — ჩვენი ქვეყნის მეგობრების დახმარება. ფულად გამოსახულებაში მან 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ყოველივე ამან — საზოგადოების სულიერმა და ზნეობრივმა გაწყობამ, პოლიტიკურმა კონსენსუსმა, მეგობრების დახმარებამ, ქმედითი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირებისკენ მიმართულმა მთავრობის თანმიმდევრულმა კურსმა შესაძლებელი გახადა სტაბილიზაცია და წესრიგის დამყარება.

ჩვენ ვებრძოდით კორუფციას საზოგადოებასა და ხელისუფლებაში და კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით შევებრძოლებით მას. კარგად გვესმის, რომ კორუფციის ზრდა ყველანაირ პერსპექტივას მოუსპობს ქვეყანას, მათ შორის — უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ვფიქრობ, ჩემამდე აქ უკვე ითქვა კანონებზე, მიღებულზე და მისაღებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო გარემოს შეუქმნიან უცხოურ ბიზნესს.

მობრძანდით და დარწმუნდით.

მაგრამ რამდენადაც საქართველოს ეკონომიკა ჩემთვის ყველაზე მთავარი პოლიტიკაა, მე უბრალოდ ვალდებული ვარ განვიხილო პრობლემა ამ თვალსაზრისით.

ვაზუსტებ: დიდი პოლიტიკის თვალსაზრისით.

საქმე ეხება ჩვენს გზას ევროპაში და ევროპის შემხვედრ მოძრაობას ჩვენსკენ.

თავის დროზე საქართველომ ვერ შეძლო გაეკვლია თავისი გზა ევროპაში. თავის დროზე ვერც ევროპამ, საფრანგეთის სახით, ვერ მოახერხა გამოეყვანა თავისი გზა კავკასიაში.

ბევრი რამ ვერ მოხერხდა თავის დროზე. როგორც ჟან-ჟაკ რუსომ თქვა ერთიანი ევროპის ერთი პროექტის გამო, ის კი არ იყო მთავარი, რომ იგი არ ვარგოდა ევროპისათვის, არამედ ის, რომ მაშინდელი ევროპა ჯერ არ მომწიფებულიყო ამ პროექტისათვის.

ვფიქრობ, ახლანდელი ევროპა საკმარისად მომწიფდა საიმისოდ, რომ თავის წიაღში მიიღოს ხალხები და ქვეყნები, რომლებიც მის კალთას ჩამოგლიჯეს ისტორიულმა ქარტეხილებმა.

დაე, ნურვის შეუჯდება ეჭვის ჭია და ნურვინ ინდომებს წინააღმდეგობას.

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს სურს იაროს იმავე გეზით, როგორითაც მიდის რუსეთი, ყველა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც ევროპასთან სრულფასოვან ინტეგრაციას ესწრაფვიან.

ჩვენ ევროკავშირთან პარტნიორობის და თანამშრომლობის შეთანხმებაც გავაფორმეთ, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგამაშიც შევედით და ევროპის საბჭოშიც განსაკუთრებული სტუმრის სტატუსი მოგვენიჭა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად.

თუკი ყველა გზას საქართველო ევროპისკენ მიჰყავს, ეს იგივე ზომით ხდება რამდენადაც ირჩევენ ამ გზებს დანარჩენები.

ჩვენი არჩევანი — ეს არის არა გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა, არამედ მანიშნებელი იმისა, თუ რა ღირებულებებს ვესწრაფვით ჩვენ.

ასეთ არჩევანს ჩვენივე ადგილმდებარეობა გვიკარნახებს.

ეს არის ადგილი საკვანძო სადგურისა ევროპა-კავკასია-აზიის დიად ევრაზიულ ტრასაზე ტრასეკას პროექტში.

როდესაც მე ბრიუსელში პირველად ვახსენე ევრაზიული სატრანსპორტო „დერეფანი“ — ეს იყო 1993 წელს — ამან ბევრის გაოცება გამოიწვია. არადა, ამ დერეფანში ვხედავდი „ცივი ომის“ დასრულების ერთ-ერთ რეალურ შედეგს — პროექტს, რომლის განხორციელება ასევე შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავამარცხეთ საუკუნის ყველაზე ხანგრძლივი ომი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო ცენტრალური აზიისა და კავკასიის ხალხებისათვის იმ გზების დაბრუნება, რომლებიც მას ევროპასთან აკავშირებენ და მასთან ერთად, ევროპისთვის — კავკასიისა და ცენტრალური აზიის ტრადიციული გზების აღდგენა.

წინდაუხედაობა იქნებოდა, ამ გზებზე რაიმე შლაგბაუმის დაყენება, რაიმე დაბრკოლების აღმართვა ამა თუ იმ რეგიონზე, ქვეყანაზე ან თუნდაც ინტერესთან გადაკვეთის წერტილზე ისტორიული „მონოპოლიის“ მომიზეზებით — იქნება ეს კავკასია, საქართველო თუ სასარგებლო წიაღისეულის რაღაც საბადო.

სამწუხაროდ, მილსადენების ალტერნატიულ გზებსაც კი განიხილავენ ვისიმე ინტერესების შებღალვად და თავს მოხვეულ კონკურენტულ ბრძოლად ვისიმე „გავლენის სფეროების“ ხელში ჩაგდების მიზნით.

დარწმუნებული ვარ, ამიერკავკასია უნდა იქცეს არა დაპირისპირების, არამედ თანამშრომლობის ასპარეზად. ნებისმიერი სხვა მიდგომა იმას მოასწავებდა, რომ საქმე გვაქვს „ცივ ომთან“, რომელმაც გადაინაცვლა რეგიონულ დონეზე, იქ, სადაც ხელისუფლებისა და საკუთრებისათვის ბრძოლა დემოკრატიის მხარდასაჭერ თუ მის წინააღმდეგ ბრძოლასთანაა გადანასკვული.

ამ კონტექსტებში მართლზომიერია შეკითხვა: შეგიძლიათ თქვენ, საქმიან ადამიანებს ენდოთ კავკასიას?

მე კარგად ვიცნობ კავკასიას და ამიტომ ვუპასუხებ: შეგიძლიათ!

იგი თვითონ მოგენდობათ, თუკი აჩვენებ, რომ ხედავ მასში თანაბარ პარტნიორს, რომელთანაც საქმის დაჭერა გაინტერესებთ და ხელს გამლევთ.

რა თქმა უნდა, მე უფლება მაქვს მხოლოდ ჩემს ქვეყანაზე მოგახსენოთ. უკვე ვთქვი, რომ აღმავლობა ჩვენში სტაბილიზაციის შედეგად დაისახა. ახლა კი იმასაც გეტყვით, რომ რაც უფრო სწრაფად წარიმართება ასეთი პროცესები რუსეთში, ამიერკავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, უკრაინაში, მით უფრო მეტი ექნება წარმატების შანსი ევრაზიულ ინტეგრიზმს.

ყველა ინტეგრაციული პროცესი, მათ შორის უზარმაზარ ევრაზიულ სივრცეში დროის კანონზომიერებაა. მაგრამ თუ არ გვექნება საიმედო გარანტიები და ევრაზიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები, ეს პროცესები ვერ შეიძენს შეუქცევად ხასიათს.

საჭიროა უსაფრთხოების გარანტიები.

ეს მე ვთქვი ლისაბონში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელმაც, სიტყვამ მოიტანა, და უპირობოდ დაგმო ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა აფხაზეთში.

მე ვთქვი, რომ ვერც ერთი სამხედრო თავდაცვითი ფარი, რა საზღვრებთანაც არ უნდა დააყენო იგი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ვერ შეედრება სახელმწიფოთა ეკონომიკურ რეაბილიტაციას და აღორძინებას მთელ პოსტტოტალიტარულ სივრცეში, რომელიც თავის მხრივ მოქცეულია ერთიან მსოფლმხედველობრივ არეალში ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე. ლიბერალური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის ფილოსოფიაზე დაფუძნებული საერთო ღირებულებათა ამ სივრცეს — „ცივი ომის“ დაძლევის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს-დაცვა სჭირდება.

ჩვენ გვაქვს საიმისო ბაზა — ჰელსინკის დასკვნითი აქტი და „ქარტია ახალი ევროპისათვის“.

ერთადერთი, რაც მათ აკლიათ — ეს არის დამავალდებულებელი ძალა, რომელიც მათი უცილობელი შესრულების გარანტია იქნებოდა.

ჩვენ ყველას გვაკლია თითოეული ქვეყნის უსაფრთხოების ისეთი გარანტიები, რომლებიც შეუძლებელს გახდიან იუგოსლავიის და აფხაზეთის მსგავს ტრაგედიებს. ევროპას არ გააჩნია უსაფრთხოების მოდელი. იგი ვერც გაერომ შეიმუშავა მთელი მსოფლიოსათვის.

სწორედ ასეთ გარანტიებს ვგულისხმობდი, როდესაც ლისაბონში ოცდამეერთე საუკუნის კონსტიტუციაზე ვლაპარაკობდი.

ახლა კი საქართველოს დავუბრუნდეთ.

სცდებოდა აბატი დე ლა პორტი, როდესაც ამბობდა, რომ „ეს არის მხარე, სადაც უაღრესად არხეინად და მცირე ხარჯით ცხოვრობენ“.

იმ დროშიც — XVIII საუკუნეში — და მის მერეც საქართველოს არ ჰქონია არხეინი ცხოვრება. არც ახლა ვცხოვრობთ დალხენილად.

მაგრამ თუ მეორე ფრანგს უდიდეს კავკასიათმცოდნეს ადოლფ ბერჟეს დავეემოწმებით და დავუჯერებთ, ჩვენ გვაქვს „კახეთი — კავკასიის ბაღი, საქართველოს ვენახი, რომლის ვაზითაც აყენებენ ღვინოებს, ტოლს რომ არ დაუდებენ ფრანგულს“. ჩვენ გვყავან მათი დიდი მცოდნენი და მოყვარულნი, რომლებზეც მეორე განთქმულმა ფრანგმა თქვა: „რაც შეეხება იმ მშვენიერ ნაკლოვანებებს, რომლებიც ქართველებს ბუნებამ დაანათლა — ისინი რჩეული ქმნილებანი არიან“. და კიდევ, მან თქვა — „არსად არ მიშრომია ისეთი სიამოვნებით, როგორც აქ“. ამ ფრანგს ერქვა ალექსანდრე დიუმა. მან საუკუნე-ნახევრის წინ გადაკვეთა საქართველო სატახტო თბილისიდან სანავსადგურო ფოთამდე — გზით, რომელიც დღეს თითქმის მთლიანად ემთხვევა „ტრასეკა“-ს მარშრუტს და რომელზეც თქვენ შეგიძლიათ ისევე სასიამოვნოდ და ნაყოფიერად გაისარჯოთ, როგორც „სამი მუშკეტერის“ ავტორი.

მოგიწოდებთ, მიბაძოთ მის მაგალითს.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი საქართველოში.

საფრანგეთი საქართველოს საინვესტიციო მხარდაჭერას სთავაზობს

(დასასრული)

ქტორთა საბჭოს წევრს ანრი ბუვატიეს. აღინიშნა, რომ „ტოტალი“, როცა აბანდებს დიდ ინვესტიციებს საფრანგეთის ფარგლებს გარეთ პერსპექტიული პროექტების შემუშავებაში, მზად არის მონაწილეობა მიიღოს არა მარტო საქართველოში მილსადენის მშენებლობაში, რომლითაც განხორციელდება კასპიის ნავთობის ექსპორტირება ევროპაში, არამედ ქართველ პარტნიორებთან ერთად ხელი მოჰკიდოს ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობის და გაზის დაზვერვასა და მოპოვებას. მიღწეულია მორიგება, რომლის შესაბამისად უახლოეს ხანში ნავარაუდევია დაიწყოს წინასწარი კვლევითი სამუშაოები.

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის წევრები ეწვინენ ქალაქ ნანტს, რომელიც აი უკვე მრავალი წელია თბილისის პარტნიორია. ლუარ-ატლანტიკის დეპარტამენტის პრეფექტურასა და ქალაქ ნანტის მერიაში საპატიო სტუმრისა და მისი მეუღლის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა. ქალაქის მერიაში ედუარდ შევარდნაძემ დატოვა ჩანაწერი: „ქალაქ ნანტს, ამ ულამაზესი ქალაქის ყველა მოქალაქეს ვუსურვებ დიდ სიხარულს, ბედნიერებას, მშვიდობას და საქართველოს სახელით მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის, მეგობრობისა და ძმობისათვის“.

ნაშუადღევს საქართველოს პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად გაემგზავრა სენ-სირში, სადაც მდებარეობს ცნობილი სამხედრო სკოლა. ამ სკოლაში, ოციან წლებში სწავლობდა ქართველი ემიგრანტი დიმიტრი ამილახვარი, კაცი, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს „საფრანგეთის შვილი მისთვის დაღვრილი სისხლით“. სწორედ ასეთად იშვილა იგი საფრანგეთმა და აღიარა თავის ეროვნულ გმირად. ქართველი თავადიშვილი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის რაინდის წოდებასაც ფლობდა და თავად გენერალ დე გოლის მიერ გადაცემულ თავისუფლების ჯვარსაც ატარებდა. საფრანგეთის საპატიო მოქალაქის წოდებაზე კი უარი განაცხადა, რადგან ასე სწამდა: უნდა ყოფილიყო ბოლომდე ქართველი, მაგრამ ასევე ბოლომდე და თავგანწირვამდე ერთგული შვილი უნდა ყოფილიყო საფრანგეთისა, რომელმაც მას თავშესაფარი უბოძა. „ჩვენ, უცხოელებს, ერთადერთი საშუალება გვაქვს, რათა დავუმტკიცოთ საფრანგეთს ჩვენი მადლიერება და ეს საშუალება მისთვის სიკვდილია“ — ეს დიმიტრი ამილახვარის სიტყვებია. ამ რწმენით იცხოვრა და აღესრულა იგი — საფრანგეთის არმიის ლეიტენანტ-პოლკოვნიკი, ლეგენდარული გმირი, რომლის სახელიც, როგორც საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ სამხედრო ცერემონიაზე ითქვა, საფრანგეთის მიწაზე წმინდა სახელად დარჩება.

საქართველოს პრეზიდენტი სამხედრო მისალმების ცერემონიის შემდეგ შეხვდა სასწავლებლის ხელმძღვანელებს, რომლებმაც საპატიო სტუმარს გააცნეს სკოლის ისტორია და აჩვენეს მისი დღევანდელობის ამსახველი ვიდეო მასალა. ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა სენ-სირის სამხედრო მუზეუმი, სადაც წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა.

სამხედრო სასწავლებელში გამართული შეხვედრის დროს საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბერნარ ფასიემ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს აუწყა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის აღსანიშნავად საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს გადასცეს საველე სამხედრო ჰოსპიტალი უახლესი აღჭურვილობით.

სენ-სირის სამხედრო სკოლაში გამართული შეხვედრებით დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთის რესპუბლიკაში.

5 თებერვალს, გვიან საღამოს, საქართველოს პრეზიდენტი დელეგაციასთან ერთად თბილისს გამოემგზავრა.

პარლამენტი

ეროვნული

პარლამენტი აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობასთა ერთად მკაცრად განახორციელებს საპარლამენტო კონტროლს

(დასასრული)

მან გააანალიზა პარლამენტის განვლილი საქმიანობა. დეპუტატთა ყურადღება მიაპყრო საკითხებს, რომლებიც კანონშემოქმედებითი საქმიანობის დახვეწასა და საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის ნორმალური განხორციელების მექანიზმებს ეხებოდა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მართალია პარლამენტის საქმიანობა, შეიძლება ითქვას, ნაყოფიერი იყო, თუმცა მუშაობის პერიოდში მრავალი პრობლემაც გამოჩნდა. უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 1996 წელს ბევრი მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, მაგრამ ბევრის განხილვა ვერ მოესწრო და მათი მიღება პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე მოუწევს. განსაკუთრებით იმ კანონებისა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რომ საარსებო მნიშვნელობისაა. შემოდგომაზე გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მოწყობა. ამდენად, პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე მოუწევს მეტად მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვა. დაიწყება, აგრეთვე, სასამართლო რეფორმებთან დაკავშირებული კანონპროექტთა პაკეტის განხილვა. მოხდა ისე, რომ ქვეყნის 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საგაზაფხულო სესია განიხილავს. წლეულს პარლამენტის ყურადღების სფეროში მოექცევა სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსები, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ სამართლებრივი რეფორმის გაგრძელებისათვის მუშაობა დასრულდეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე. აქტიური მუშაობა გაგრძელდება ეკონომიკურ კანონპროექტებზე. უკვე მიმდინარე სამუშაო კვირას პარლამენტი განიხილავს გარკვეულ თავებს საგადასახადო კოდექსიდან. პარლამენტის სამუშაო გეგმაშია საბაჟო კოდექსი, მნიშვნელოვანი კანონპროექტები თავდაცვის, საგარეო ურთიერთობის, აგრარულ სფეროებში.

ბუნებრივია, თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ, რომ კანონშემოქმედებითი მუშაობის გარდა, პარლამენტი მიმდინარე სესიაზე მნიშვნელოვან დროს დაუთმობს პოლიტიკურ დებატებს. უწინარესად, მთელი პასუხისმგებლობით დაუბრუნდება აფხაზეთის საკითხის განხილვას.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, აუცილებლად უნდა გამოინახოს დრო, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ სერიოზულად შეასრულოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — განახორციელოს საპარლამენტო კონტროლის ფუნქცია. ამ თვალსაზრისით, ზურაბ ჟვანიას თქმით, მიმდინარე საგაზაფხულო სესიაზე მნიშვნელოვან მოხსენებებს მოისმენენ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები ახლავს პარლამენტის მიერ კანონების მიღებას, არსებობს პრობლემები, როგორც შიდასაპარლამენტო ურთიერთობაში, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში.

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი ამოცანა არის გახსნილობა — მაქსიმალურად ყველა უწყებასა და ორგანოს უნდა ჰქონდეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს კანონპროექტების განხილვის პროცესში, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის არ ხორციელდება. ამიტომ უნდა გადაიხედოს პარლამენტის რეგლამენტი, რათა კანონების მიღების პროცედურა უფრო დახვეწილი და გამართული იყოს, თქვა მან.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სამწუხაროდ, ვერ აეწყო ნორმალური ურთიერთობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კანონშემოქმედებითი მუშაობის თვალსაზრისით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, კანონპროექტები, უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა პროექტები მათი პლენარულ სხდომაზე განხილვამდე მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე შემოაქვთ პარლამენტში. გარდა იმისა, რომ ხდება საკანონმდებლო და კონსტიტუციური ნორმების დარღვევა, გამოიკვეთა ისეთი მიდრეკილებაც, რომ თუ პარლამენტის მიერ ნაუცბათევად მიღებული კანონი რაღაც პრობლემებს იწვევს, ცდილობენ პასუხისმგებლობა პარლამენტს დააკისრონ. მაგალითისთვის, ზურაბ ჟვანიამ დაასახელა ის ფაქტი, რომ ვინაიდან 1997 წლის ბიუჯეტის დროული განხილვა ვერ მოხერხდა, აღმასრულებელი ხელისუფლების მოთხოვნით, რათა ახალ საბიუჯეტო რეჟიმში დაწყებულიყო მუშაობა, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საგადასახადო კანონმდებლობაში. ეს ცვლილებები პარლამენტს პლენარული სხდომის გამართვამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე წარუდგინეს. მოსახლეობაში განსაკუთრებული კამათი ავტომანქანების დაბეგვრის საკითხმა გამოიწვია. ოფიციალური პირები, მათ შორის საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა საჯაროდ აცხადებს, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რითაც, პრაქტიკულად, ბაზარი ჩაუკეტა საზღვარგარეთიდან მანქანების შემოტანას. ეს მაშინ, როდესაც საბაჟო დეპარტამენტი არის სწორედ ის უწყება, რომელმაც ყოველნაირი კანონების გვერდის ავლით დამატებული ღირებულების გადასახადით დაიწყო დაბეგვრა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისა, რაც არანაირად არ არის გათვალისწინებული პარლამენტის მიერ მიღებული კანონით. იქ დაბეგვრა არ არის გათვალისწინებული იმ პირთათვის, ვისაც ავტომანქანა არაკომერციული მიზნებისათვის შემოაქვს. ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, თქვა ზურაბ ჟვანიამ. მან კიდევ ასეთი ფაქტი დაასახელა: აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტის სახელით სპეკულაციას ეწევიან, შესანიშნავად იციან რა, რომ თუკი პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით შემოვა დოკუმენტი, მას დეპუტატები ბევრად უფრო ყურადღებით ეკიდებიან, ვიდრე ჩვეულებრივად ამა თუ იმ უწყებიდან შემოსულს. ჩვენს პრაქტიკაში, თქვა ზურაბ ჟვანიამ, შანტაჟის მძიმე მაგალითებსაც ვაწყდებით.

ზურაბ ჟვანიამ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ პარ
მენტი არჩევისთანავე კონ
ტრირებული იყო კანონშ
მედებით საქმიანობაზე და
რკვეული სტრუქტურაც ჩამ
ლიბდა. ამავე დროს, სერი
ლად ვერ მიაპყრო ყურადღ
საპარლამენტო კონტროლ
ნქციის შესრულებას, რამა
ეთა შორის ილუზია გაუჩნა
გორც რეგიონული, ასევე
კეული მაღალი თანამდებ
პირებს. პრეზიდენტმა 1997 წ
უმთავრეს პრიორიტეტად გა
ზღვრა ბრძოლა კორუფციას
რომელიც პარლამენტისათ
მნიშვნელოვანი თემაა.
ქრობთ, სწორედ საპარლამ
კონტროლის ყოველისმომც
განხორციელებით ჩვენ უნდ
მოვეხმაუროთ საქართველ
პრეზიდენტის ამ უმნიშვნ
ვანეს, ისტორიულ ინიციატ
მან განაცხადა, რომ მაკონტ
ლებელი ფუნქციების განხორ
ელებისათვის საჭიროა საპ
ლამენტო კომიტეტებმა ბევ
უფრო აქტიურად ჩაიხედონ
უწყებათა საქმიანობაში, რ
ლებიც ამ კომიტეტების კომ
ტენციაში შემოდიან. დასვა
კითხი საქართველოს პარლ
ნტში მომხსენებლის ინსტიტ
შემოღების თაობაზე, რაც ს
ალებას მისცემს პარლამენტს
ქტიანად განახორციელოს
მარტო მაკონტროლებელ
ნქცია, არამედ თუნდაც იმავ
ნონშემოქმედებითი საქმიან
ნორმალური განხორციელებ
თვის აუცილებელი ფუნქცია

დღეს პარლამენტს აქვს
ვისი მყარი იმიჯი არა მარ
საქართველოში, არამედ მის
ზღვრებს გარეთაც. საქართ
ლო საზოგადოდ ერთმნიშ
ლოვნად აღიქმება, როგო
დემოკრატიის მოდელი ყოფ
საბჭოთა სივრცეში, და ბევ
ერი ვარ, რომ შემიძლია ვთ
რომ ამ საქმეში პრეზიდენტ
ერთად თავის მნიშვნელო
როლს საქართველოს პარ
მენტიც ასრულებს. ჩვენგან
ლიან ბევრს ელიან, არა მ
ლოდ ჩვენი მოქალაქეები,
ლა, ვინც თვალყურს ადევნ
საქართველოს განვითარებ
ბოლო წლების განმავლობა
ბუნებრივია, ჩვენ, ყველანი
ლდებული ვართ, გავაღრმა
და განვამტკიცოთ დემოკრა
ული პარლამენტარიზმის
ტრადიციები, რაც საქართ
ლოში უკვე შეიქმნა. ეს ს
ჯი არ არის მხოლოდ პრეს
ის საკითხი, ყველას უნდა
სმოდეს, რომ იგი მნიშვნე
ვანი წინაპირობაა ჩვენი
ქალაქეების ხვალინდელი
თილდღეობისა, თქვა დასას
ლს საქართველოს პარლა
ნტის თავმჯდომარემ.

სხდომაზე სიტყვები წარ
თქვეს პარლამენტის ფრაქ
თა თავმჯდომარეებმა, მოკ
მიმოიხილეს პარლამენტის
ნელილი საქმიანობა, დეპ
ტებს და პარლამენტის ხელ
ლვანელობას მესთავაზეს წი
დადებები საგაზაფხულო სე
აზე განსახილველ საკითხებ
დაკავშირებით.

ამით დილის სხდომამ მუ
ობა დაამთავრა.

საქინფორ

სოფელი: მეცხოველეობა

იმედი არის!

დღეს რესპუბლიკის მეცხოველეობა კრიზისულ მდგომარეობაშია. მისი სწრაფი განვითარებისათვის, „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მეცხოველეობის სანაშენო საქმის სამართლებრივი ბაზის ამოქმედებისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 1996 წლის 25 დეკემბერს გამოსცა ბრძანებულება „მეცხოველეობაში სანაშენე საქმის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. განკარგულების შესაბამისად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში მეცხოველეობის სანაშენო საქმის დეპარტამენტი შეიქმნა.

რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ (დეპარტამენტის თავმჯდომარე — აპოლონ წულაია) ამ დღეებში გამართა, მოწვეული იყვნენ სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ჯიმთსაშენების, სანაშენე სახელმწიფო მეურნეობისა და მეფრინველეობის ფაბრიკების დირექტორები, სპეციალისტები.

ახლადშექმნილი დეპარტამენტის წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ ისაუბრა დეპარტამენტის თავმჯდომარემ აპოლონ წულაიამ.

ითქვა, რომ 1996 წელს დეპარტამენტის უშუალო დახმარებით ამოქმედდა სანაშენე მუშაობისა და ცხოველთა ხელოვნური დათესვის ცენტრალური სადგური, აღდგა ქაოსისა და ანარქიის პერიოდში განადგურებული ქართული ჯიშის ღორის ყვარლის სახელმწიფო ჯიმთსაშენი, ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული სანაშენე — სასელექციო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით, შემუშავდა მეფუტკრეობის ვრცელი კონცეფცია და, მის შესაბამისად, კანონპროექტი „მეფუტკრეობის შესახებ“, რომელიც საფუძველს შეუქმნის მსოფლიოში უნიკალური ქართული ფუტკრის შენარჩუნებასა და მოშენებას.

აპოლონ წულაიამ დამსწრეთ გააცნო ასევე უახლესი და მორეული პერსპექტივისათვის გათვალისწინებული სტრუქტურული ღონისძიებები, შემუშავებული და დამტკიცებულია სამხარეო და რაიონული სანაშენე სამსახურების დებულება, ასევე სანაშენე საქმის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორთა დებულება.

რეგიონული და რაიონული სანაშენე სამსახურები იქმნება სამხარეო ადმინისტრაციებში და რაიონულ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოების აპარატებში ზოოტექნიკოს-სელექციონერთა შტატების შემოღებით.

რეგიონული და რაიონული სანაშენე სამსახურები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ სანაშენე მეცხოველეობის განვითარებას, ანგარიშვალდებულნი არიან, როგორც ადგილობრივი ორგანოების, ისე მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის წინაშე.

აღინიშნა, რომ დიდი სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკის მეფრინველეებმა შეინარჩუნეს საწარმოო სიმძლავრეების 80-90 პროცენტი. მათ შეუძლიათ წელიწადში აწარმოონ 400 მილიონამდე კვერცხი და 20-25 ათასი ტონა ფრინველის ხორცი.

თათბირზე ხაზგასმით ითქვა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება ქართველ მეცხოველეთა უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს.

თათბირზე სიტყვით გამოვ
დნენ სართიჭალის მეცხოვ
ლეობის მეურნეობა-კომპლ
ქსის, კრწანისის სანაშენე მ
ურნეობა-კომპლექსის, მეფ
ტკრეობის სანაშენე საწარმ
ცენტრის, თელავის მეურნეობ
ჯიმთსაშენი, ნორიოს მეფრ
ნველობის ფაბრიკის, სენაკ
და ზესტაფონის ხელოვნ
დათესვის სახელმწიფო სა
გურების დირექტორები. მ
ერთხმად აღნიშნეს, რომ მ
ცხოველეობა მხოლოდ მას მ
მდეგ გაიმართება წელში, რ
ცა მისი მესვეურები მიზნო
რივად, გერგილიანად გამ
იყენებენ მათთვის გამოყოფ
შეპირებულ კრედიტს.

გულდასაწყვეტი ფაქტ
რომ ზოგიერთი რაიონის ე
ათო ხელმძღვანელობამ სა
უჯეტო დავალიანება ძირით
ქონების რეალიზაციის ხარჯ
მოახდინა, ფაქტობრივად გ
ყიდა ყველაფერი, რაც ჰქონდ

შემაჯამებელი სიტყვა წ
რმოთქვა საქართველოს პა
ლამენტის აგროსამრეწველ
კომპლექსის ქვეკომიტეტის თ
ვმჯდომარემ გიორგი ხვე
შიელმა. მან მეცხოველე
აღუთქვა, რომ თებერვალში პ
რლამენტი განიხილავს საგ
დასახადო კოდექსს, რომლ
მიხედვითაც მეცხოველეებს გ
რკვეული შეღავათები აუც
ლებლად ექნებათ.

იმედოვნებენ, რომ საქა
თველო იმპორტიორი ქვეყ
დან მალე გადაიქცევა მეცხ
ველეობის პროდუქტების ე
სპორტიორ ქვეყნად.

შეხვედრაზე შეთანხმდნ
რომ 1997 წელს წარმოების მ
ცულობა 15 პროცენტით გა
ზრდება...

ნაზი იმნაიშვილ
ლია ჭიღლაძ

განმარტებითი წერილი კანონპროექტზე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ“

დემოკრატიის ტრადიციულ სახელმწიფოებშიც კი მას-მედიის სფეროს მოწესრიგება დღემდე რჩება მნიშვნელოვან და რთულ საქმედ, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკაზე. ხოლო საქართველოში, ისევე როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, შექმნილია იმდენად არასტანდარტული მდგომარეობა, რომ ბევრი პრობლემა კარდინალურად ახალ გადაწყვეტას ითხოვს. ახალი გადაწყვეტა კი უფრო ძნელი მოსაძებნია, უფრო ძნელი შესამოწმებელი და უფრო ადვილი გასაკრიტიკებელი, ვიდრე ჩვეული. ამის გამო იყო და კვლავაც იქნება შრომატევადი მუშაობა მას-მედიასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე.

პარლამენტის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქვეკომიტეტში გაანალიზდა ოცდაათამდე ქვეყნის კანონმდებლობა, ჩატარდა კონსულტაციები ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან (მათ შორის – სოროსის ფონდის დახმარებით), შეიქმნა კანონის საკუთარი პროექტი და დაიწყო დიალოგი ზოგიერთი ალტერნატიული პროექტის ავტორთან (გაზეთები „რეზონანსი“ და „7 დღე“). ჩასატარებელი იყო კონსულტაციების სხვა რაუნდები, რომ მოულოდნელად დავდექით რამდენიმე ფაქტის წინაშე – ქვეკომისიისთვის უცნობი (უკვე რიგით მეოთხე) პროექტი გაზეთ „კავკასიონმა“ პირდაპირ გაზეთის ფურცლებზე გაიტანა. ამავე დროს, პრესაში გამოჩნდა ჟურნალისტების ერთი ნაწილის შეფასებები გამოუქვეყნებელ კანონპროექტებზე. ეს უკვე საჯარო დისკუსიის დაწყებას ნიშნავს.

კანონპროექტების ასეთ სიჭარბეში საჯარო დისკუსია გაახანგრძლივებს და გაართულებს საბოლოო შედეგამდე მისვლას. საკაბინეტო პირობებში საერთო აზრის გამომუშავება, ჩვენის აზრით, უფრო ადვილი იქნებოდა; მაგრამ რადგან უკვე დაიწყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, მისი ცალმხრივობის თავიდან ასაცილებლად უნდა გამოქვეყნდეს და საჯარო დისკუსიის საგანი გახდეს ყველა პროექტი, პარალელურად კი გაგრძელდეს მუშაობა აკადემიურ რეჟიმში.

* * *

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1.პრესის დაცვის გაძლიერება.

საქართველოს ამჟამად მოქმედი კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ“ მიზნად ისახავდა და შეძლო კიდეც საბჭოთა ტრადიციიდან დემოკრატიული საინფორმაციო პოლიტიკისკენ გადაედგა პირველი ნაბიჯი – გაეუქმებინა ცენზურა, შეექმნა პრესის თავისუფლების იურიდიული საფუძველი; მაგრამ პრესის თავისუფლების იურიდიული აღიარება ხშირად არ არის საკმარისი, მით უმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო და სამართალდამცავი სისტემა რეფორმას საჭიროებს. ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაზე პრესის უფლებების განსაკუთრებული დაცვა აუცილებელია, რადგან ყველა სახელმწიფოში მოიძებნება ის, ვინც განსაკუთრებით იქნება დაინტერესებული პრესის თავისუფლების შეზღუდვაში.

რადგან მხოლოდ გაბედული და მიუკერძოებელი პრესა აგვარებს ბევრ შიდაპოლიტიკურ საკითხს (მათ შორის, კორუფციის პრობლემას, რომელიც დღეს ჩვენთვის ძალზე აქტუალურია), და რადგან ეს თვისებები მხოლოდ კარგად დაცულ პრესას გააჩნია, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში პრესის დაცვა პოლიტიკური საკითხის რანგშია აყვანილი. დასავლეთის რიგ ქვეყნებში პრესის უფლებათა დასაცავად ომბუდსმენის სპეციალური ინსტიტუტიც იქნა შემოტანილი. ანალოგიური მექანიზმების შექმნაზე ზრუნვა „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნისთვის კიდევ უფრო ბუნებრივია.

2. თვითრეგულაციის მექანიზმის შექმნა.

პრესა, თავისი სპეციფიკის გამო, ეთიკური ნორმის ზღვარზე მოქმედებს ხოლმე და საკმაოდ ხშირად სცილდება კიდეც ამ ზღვარს. აღნიშნული საბაბით რომ არ მომხდარიყო პრესაზე ზეწოლა, დასავლეთის ქვეყნებში ეთიკური პრობლემების მოგვარება მას-მედიის ნებაყოფლობითმა გაერთიანებებმა ითავეს – შეიმუშავეს ეთიკური კოდექსი და წევრებისგან მკაცრად მოითხოვეს მისი დაცვა. თვითრეგულაციის ამ მექანიზმმა მეტნაკლებად დაიცვა პრესა ხელისუფლებისგან და საზოგადოება – პრესის აგრესიისგან.

ჩვენთან ჟურნალისტებმა ჯერჯერობით ვერ შექმნეს იმ დონის ნებაყოფლობითი გაერთიანებები, რომ თვითრეგულაციის მექანიზმად გამოდგეს. თვითრეგულაციის რაიმე სხვა სახის მექანიზმის შექმნა არის ამოცანა, რომლის გადაწყვეტა აუცილებელია ეთიკური პრობლემების ისე მოსაგვარებლად, რომ არ შეიზღუდოს პრესის თავისუფლება.

3. საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზიის შექმნა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდი ნაწილის მაუწყებლობაში წამყვანი ადგილი უკავია სახელმწიფო რადიოტელევიზიას, რაც ევროპელი ექსპერტების კრიტიკის საგანია. ამავე დროს მიუთითებენ, რომ იქ, სადაც მოხდა სახელმწიფო ელექტრონული პრესის აქციონირება, ხშირად, აქციებს ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებული კომერციული სტრუქტურები დაეუფლა, რაც ისევ ეჭვქვეშ აყენებს პრესის მიუკერძოებლობას. ამიტომ, დასავლეთის ექსპერტები მაუწყებლობის პრივატიზაციასთან შედარებით უფრო მართებულად მიიჩნევენ სამთავრობო მას-მედიის საზოგადოებრივად გადაკეთებას, ოღონდ ევროპული სტანდარტების მიხედვით.

დასავლეთის ქვეყნებში საზოგადოებრივი რადიოტელევიზიის მიზანი, კომერციულისგან განსხვავებით, არ არის მოგება. იგი ორიენტირებულია საზოგადოებრივად მნიშვნელოვან კულტურულ, საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ინფორმაციაზე. ის ფინანსდება მოსახლეობისგან სააბონენტო გადასახადით აკრეფილი სახსრებით და იმართება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, სადაც თანამშრომლობენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, მას-მედიის თუ საზოგადოების წარმომადგენლები. აქვე აღსანიშნავია, რომ სამაუწყებლო არხების გაცემაც ამ პრინციპზე დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ხდება.

დემოკრატიის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებების ლოგიკური გაგრძელება იქნება სახელმწიფო მას-მედიის საზოგადოებრივით ჩანაცვლება.

4. კიდევ ერთი, ჩვენთვის სპეციფიკური საკითხი. საქართველოს საინფორმაციო სივრცე ღიაა, ენობრივი ბარიერიც კი არ იცავს მას. დემოკრატიის ამ სტანდარტის შემოტანას ლოგიკური აუცილებლობით თან სდევს საფრთხე – ჩვენი მას-მედია თუ არ აღმოჩნდა კონკურენტუნარიანი, მისი ხარისხი თუ საგრძნობლად ჩამორჩა სხვა ქვეყნების მას-მედიის ხარისხს (რისი ტენდენციაც სახეზეა), მოსახლეობამ შეიძლება დაკარგოს ინტერესი ქართული მას-მედიის მიმართ და ინფორმაციის სხვა წყაროებზე აიღოს ორიენტაცია. ამას შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი კულტურული, სოციალური და პოლიტიკური შედეგები.

დემოკრატიის პირობებში საინფორმაციო სივრცეში საკუთარი ინტერესების დაცვის ერთადერთი გზა არის მუდმივი ზრუნვა საკუთარი საინფორმაციო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მარტო საბაზრო კონკურენციის მექანიზმი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ხარისხის ზრდას – კომერციულ საინფორმაციო სტრუქტურებში ძალზე სუსტია კონკურენცია, სახელმწიფოში – მით უმეტეს. თანაც, სავარაუდოა, რომ საქართველოს საინფორმაციო სივრცეზე გავლენის მოპოვებას ეცდებიან ის გარეშე ძალები, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ქვეყანაზე პოლიტიკური ან ეკონომიკური გავლენით. მათ ხელს მისცემს მათგან დამოუკიდებელი მას-მედიის სისუსტე. ამგვარი მიზანმიმართული სტრატეგიის არსებობა გამოსარიცხი არაა. მიზანმიმართულ სტრატეგიას კი სტიქიური პროცესით ვერ დაუპირისპირდები. ჩვენ გაგვიჭირდება საინფორმაციო სივრცეში საკუთარი ინტერესების დაცვა, თუ არ იქნა სტრუქტურები, რომლებიც შეისწავლიან საინფორმაციო სივრცეს, აუდიტორიას, შეიმუშავებენ მას-მედიის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ მიზანმიმართულ სტრატეგიას, კონკრეტულ რეკომენდაციებს და გაატარებენ მათ. ამგვარი სტრუქტურების დაწესება მას-მედიის კანონმდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია.

* * *

ჩამოთვლილი ამოცანების გადაჭრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთლიანი სისტემის რეფორმას გულისხმობს, რისი იურიდიული ბაზაც კანონმა უნდა შექმნას (შეიძლება – კანონების პაკეტმა, რომელსაც ჩარჩო კანონი გაამთლიანებს ერთ სისტემაში). რაც შეეხება რეფორმის მიმართულებას, ორ მომენტს ვთვლით არსებითად: პირველი – მოხდეს სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის ბაზაზე საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზიის ჩამოყალიბება, და მეორე – შეიქმნას დამოუკიდებელი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც საზოგადოებრივი მას-მედიის მართვასთან ერთად იტვირთავს პრესის დაცვის, თვითრეგულაციის მექანიზმის, სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავებისა და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად ვთვლით ერთი ამგვარი ორგანოს ფორმირებას (საკუთარი გამოცდილების დაგროვების შემდეგ მომავალში მის ბაზაზე შეიძლება სხვადასხვა ფუნქციის რამდენიმე დამოუკიდებელი ერთეული ჩამოყალიბდეს, როგორც ამას გვკარნახობს დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკა). ამ ორგანოს შექმნა მოგვაგონებს დასავლეთის საზოგადოებრივ რადიო-ტელევიზიაში დამკვიდრებულ მოდელს, ოღონდ გაზრდილი ფუნქციებით და სტრუქტურაში – თვითრეგულაციის ელემენტით.

* * *

წარმოდგენილი კანონპროექტი მოქმედი კანონისგან არსებითად განსხვავდება შემდეგი მომენტებით:

1. პროექტი აწესებს მასობრივი ინფორმაციის სისტემაზე პასუხისმგებელ ორგანოს „ინფორმაციის ეროვნულ საბჭოს“, რომლის შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტის, პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს და, თვითრეგულაციის ფუნქციით – ჟურნალისტთა კორპუსის წარმომადგენლები.

ინფორმაციის ეროვნული საბჭო ორგანიზაციულად უზრუნველყოფს:

ა) რეკომენდაციების შემუშავებას კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტებისთვის, საგადასახადო და სადოტაციო პოლიტიკისთვის;
ბ) ლიცენზიების გაცემას;
გ) ქართული პუბლიცისტიკის ძეგლების დაცვას;
დ) მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივ საშუალებებში პროექტების დაფინანსებას;
ე) დავაში მონაწილეობას მედიატორის ან „პრესომბუდსმენის“ ფუნქციის ფარგლებში.

2. ყალიბდება ინფორმაციის ეროვნული საბჭოს ფონდი, რომელშიც აკუმულირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებული გადასახადებით და ჯარიმებით ამოღებული თანხები, სახელმწიფო გრანტები, დაკვეთები და დოტაციები, საქველმოქმედო სახსრები. ეროვნული საბჭოს განკარგულებაში არსებული ეს სახსრები ხმარდება მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივ საშუალებებს და კერძო მას-მედიის მხარდაჭერას. ამ მექანიზმით დოტაციურიდან სააბონენტო დაფინანსებაზე მომავალში თანდათანობით გადავა საზოგადოებრივი მას-მედია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ზრდის პროპორციულად.

3. კანონდება მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალებები. დასავლური პრაქტიკისგან განსხვავებით, რადიო-ტელევიზიის გარდა ეს ფორმა მოიცავს სხვა საშუალებებსაც, რათა ეკონომიკურმა სირთულეებმა არ მოსპოს საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა კომერციულად არაეფექტური პროფილის ჟურნალ-გაზეთების გამოცემის კულტურა.

4. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივ საშუალებათა დაწესებულებები უშუალოდ არ ფინანსდება. კონკურსის წესით სპეციალურად გამოყოფილი გრანტებით ფინანსდება პროექტები. სავარაუდოა, რომ კონკურენციის ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს კადრების განახლებას, მათი კვალიფიკაციის ზრდას, სახსრების ეკონომიურ და მიზნობრივ ხარჯვას და, რაც მთავარია – პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. სავარაუდოა, რომ საზოგადოებრივი მას-მედიის ხარისხის ზრდა კომერციულ მას-მედიასაც მუდამ უბიძგებს პროდუქციის გაუმჯობესებისკენ.

სახელმწიფო პოლიტიკის გაშუქება ნავარაუდებია პრეზიდენტის და პარლამენტის სპეციალური გრანტების საშუალებით.

5. პოლიტიკურ პროპაგანდაში დაინტერესებულ სუბიექტებს (სახელმწიფო, პოლიტიკური ორგანიზაციები და მოღვაწეები) ეზღუდებათ რადიო-ტელევიზიის დაფუძნების უფლება, რათა არ მოხდეს მონოპოლიზაცია ბუნებრივი პირობებით ლიმიტირებულ ამ საშუალებებში.

* * *

საქართველოს პარლამენტის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქვეკომიტეტი წარმოგიდგენთ მისი შრომის შედეგს. ჩვენი ცხოვრების სპეციფიკამ შეუძლებელი გახადა სხვა ქვეყნების ნორმების მექანიკური გადმოტანა, რამაც ბევრი ახალი საკითხი გააჩინა. იმედია, მკითხველი ამ საკითხებით დაინტერესდება და დაგვეხმარება მათ დამუშავებაში – გაგვიზიარებს თავის შეფასებებს, კრიტიკულ შენიშვნებს და სურვილებს.

რამაზ საყვარელიძე,
საქართველოს პარლამენტის
მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა
ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

პროექტი

საქართველოს კანონი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ

კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველჰყოს:

– ყოველი ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით;

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, მათი ფუნქციონირება ცენზურის გარეშე;

– სახელმწიფოს ან ცალკეული პირების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის დაუშვებლობა;

– მასობრივ ინფორმაციასთან დაკავშირებულ უფლებათა განხორციელება იმ პირობების დაცვით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის.

ნაწილი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის ტერმინოლოგია

აუდიტორია – საჯარო (მასობრივი) ინფორმაციის კონკრეტული საშუალების მომხმარებელთა ერთობლიობა.

განცხადება – ხელისუფლების, იურიდიული ან ფიზიკური პირის დაკვეთით გაკეთებული ინფორმაცია რაიმე მოვლენის, ან მოვლენასთან დაკავშირებული პოზიციის თაობაზე.

საჯარო (მასობრივი) ინფორმაცია – ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრული ადრესატი არა ჰყავს და განკუთვნილია ყველასათვის;

მასობრივი ინფორმაციის საშუალება – საჯარო ინფორმაციის გამავრცელებელი მატერიალური ერთეული (გაზეთი, ჟურნალი, რადიომაუწყებლობა, ტელემაუწყებლობა, დოკუმენტური ფილმი და ა. შ.), რომლის ინფორმაციასაც აქვს ერთიანი სტრუქტურა და დასახელება. ხშირად ამავე ტერმინით აღინიშნება თვით მასობრივი ინფორმაციის საშუალების მწარმოებელი (ბეჭდვითი ორგანო, რედაქცია, რადიოსადგური, ტელეკომპანია და ა. შ.). მასობრივი ინფორმაციის საშუალებად არ ითვლება საარჩევნო ბიულეტენები, ფორმულარები, კატალოგები, პროკლამაციები, სარეკლამო ბროშურები, საოჯახო შეტყობინებები, კომერციული, წლიური და ადმინისტრაციული ანგარიშები, კომერციული, ტრანსპორტის ან სხვა სახის ცნობარები, განსაზღვრულ საქმიან ან შინაურ წრეში ადამიანთა ურთიერთობისთვის გამიზნული საინფორმაციო ფორმები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემა – ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სახეების მთელი ერთობლიობა, მათი ფორმირების, ფუნქციობის და კოორდინირების მექანიზმები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების სახე – მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რაიმე ნიშნით გამოყოფილი ერთობლიობა.

მასობრივი ინფორმაციის კომერციული საშუალება – მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომლის შემოსავალს, ძირითადად, წარმოადგენს საკუთარი შესაძლებლობების (ადგილი და დრო საინფორმაციო საშუალებაში) და პროდუქციის გაყიდვით მიღებული სახსრები.

მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალება – მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომლის შემოსავალს, ძირითადად, წარმოადგენს მოსახლეობისგან აკრეფილი თანხები და რომელსაც მართავს საჯარო ინფორმაციაში დაინტერესებულ მხარეთა მაკოორდინირებელი ორგანო. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალება მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს საზოგადოების შემეცნებითი, კულტურული და სხვა ის ინტერესები, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის კომერციულ საშუალებათა საქმიანობის მიღმა რჩება.

ფარული რეკლამა – ინფორმაცია, რომელსაც აქვს რეკლამის სტრუქტურა და შინაარსი, მაგრამ არ არის მოწოდებული ამ რუბრიკით, გამოქვეყნებულია როგორც შეტყობინება, რეპორტაჟი ან ინფორმაციის სხვა სახეობა.

მუხლი 2. კანონის ძირითადი პრინციპები

კანონი ეყრდნობა საინფორმაციო პოლიტიკის შემდეგ პრინციპებს:

1) დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ხელისუფლებას ირჩევს ხალხი მის მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციის და სიტყვის თავისუფლების დაცვა კონსტიტუციური წყობილების დაცვას გულისხმობს;

2) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობა გულისხმობს მათ თავისუფლებას სტრუქტურულ, საკადრო და საინფორმაციო პოლიტიკის გატარებაში, მათ დაცვას სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების გავლენისგან;

3) დაუშვებელია მასობრივი ინფორმაციის ცენზურა, ანუ რედაქციისგან მასალების წინასწარი შეთანხმების მოთხოვნა და იმ ორგანიზაციების, დაწესებულებების, ორგანოებისა და თანამდებობების შექმნა და დაფინანსება, რომლის ფუნქციასაც მასობრივი ინფორმაციის ცენზურა წარმოადგენს.

4) დაუშვებელია ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების შეზღუდვა, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5) საჯარო ინფორმაცია უნდა იყოს მიუკერძოებელი;

6) არ შეიძლება სიტყვის თავისუფლება განხორციელდეს სხვა უფლებათა ხელყოფის ხარჯზე.

მუხლი 3. მასობრივი ინფორმაციის ენა

1. საქართველოს ტერიტორიაზე ინფორმაციის გავრცელება ნებადართულია ყველა ენაზე.

2. საქართველოს მოსახლეობასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სახელმწიფო ურთიერთობას ახორციელებს, როგორც წესი, სახელმწიფო ენაზე – ქართულად, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურად.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვის კონტროლი ხორციელდება ენის სახელმწიფო პალატის მიერ.

მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კანონმდებლობა და მისი მოქმედების არე

1. საქართველოს კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტებისგან.

2. კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის ყველა იმ საშუალებაზე, რომლის მწარმოებელი ან გამავრცელებელი იურიდიული პირი რეგისტრირებულია საქართველოში.

3. ეს კანონი არ არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც აღმოცენდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფილირებულ (საწარმოო, ტექნოლოგიური, სასწავლო, სამსახურებრივი და ა. შ.) სისტემებში, კავშირის სხვა სახეებს, რომლებიც მოქმედებენ ინდივიდუალური კომუნიკაციის პრინციპით და არ არიან გამიზნული მასობრივი მიღებისთვის.

ნაწილი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემა

თავი 1. ინფორმაციის ეროვნული საბჭო

მუხლი 5. ინფორმაციის ეროვნული საბჭო და მისი ფუნქციები

1. ინფორმაციის ეროვნული საბჭო (შემდგომში „ეროვნული საბჭო“) წარმოადგენს დამოუკიდებელ საკოორდინაციო ორგანოს, რომელიც მოწოდებულია ამ კანონისა და საკუთარი დებულების ფარგლებში კვალიფიცირებული გადაწყვეტა მოუძებნოს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში წამოჭრილ საკითხებს.

2. ეროვნული საბჭოს ფუნქციაა ორგანიზაციულად უზრუნველჰყოს:

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება კანონპროექტების, ტექნიკური სტანდარტების, გადასახადების სტრუქტურის, ანტიმონოპოლიური ღონისძიებების და საინფორმაციო პოლიტიკის სხვა საკითხებზე;

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სარეგისტრაციო რეესტრის და ლიცენზირების წარმოება;

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული პუბლიცისტური და მხატვრული ეროვნული ნიმუშების შეკრება და დაცვა;

– მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივ საშუალებებსა და საზოგადოებრივ პროგრამებზე გრანტების გაცემა, საკონკურსო პროექტების ექსპერტიზა, შერჩევა და დაფინანსება.

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებასთან დაკავშირებული მოდავე მხარეების დახმარება მედიატორის ფუნქციის ფარგლებში, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა;

– უფლება აქვს სახელმწიფო ორგანიზაციებისგან მოითხოვოს ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში.

მუხლი 6. ეროვნული საბჭოს სტრუქტურა

1. ეროვნული საბჭო შედგება 12 წევრისგან.

ეროვნული საბჭოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი (პირად წარმომადგენელს, განათლებისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებს); 2 დეპუტატს ეროვნული საბჭოს წევრად ირჩევს პარლამენტის უმრავლესობა; 1-ს ერთობლივად ოპოზიციური ფრაქციები; 1 წევრს ნიშნავს სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიალური ორგანო.

5 ადგილზე წარმომადგენლებს ფარული კენჭისყრით ოთხი წლის ვადით ირჩევს ჟურნალისტთა კონფერენცია. ჟურნალისტთა კორპუსის წარმომადგენლად შეიძლება დასახელდეს ნებისმიერი პიროვნება, თუ მის კანდიდატურას მხარს უჭერს ამ სისტემის 10 იურიდიული პირი. თუ კონფერენცია გადაწყვეტს, აირჩიოს ვაკანსიაზე მეტი რაოდენობის წარმომადგენელი, ისინი საბჭოში როტაციის წესით შეცვლიან ერთმანეთს. დეპუტატებს კონფერენციაზე ფარული კენჭისყრით ირჩევენ სარედაქციო კოლექტივები. კონფერენციის დეპუტატის უფლებამოსილების ვადა არის 4 წელი. ეროვნულ საბჭოში ჟურნალისტების წარმომადგენელთა არჩევის ორგანიზაციაზე პასუხისმგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. ეროვნული საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომლის ხმა გადამწყვეტია ხმათა თანაბარი განაწილებისას.

3. ეროვნული საბჭოს წევრებს აქვთ ვეტოს დადების უფლება განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტისას. ჟურნალისტურ საქმიანობაზე რეკომენდაციის ან შეფასების გაკეთების დროს ვეტოს უფლება აქვს ჟურნალისტთა წარმომადგენლობას; თუ მიაჩნია, რომ საბჭოს გადაწყვეტილება სცილდება საბჭოს კომპეტენციას, ვეტოს უფლება აქვს სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელს; საპრეზიდენტო გრანტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს ვეტოს უფლება აქვს ეროვნულ საბჭოში პრეზიდენტის წარმომადგენელს; საპარლამენტო გრანტის თაობაზე ვეტოს დადება შეუძლია პარლამენტის წარმომადგენლობას.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია ვეტოს მოხსნის საკითხი დააყენოს იმ ორგანოსთან, ვისი წარმომადგენელიც არის ვეტოს ავტორი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ორგანო.

4. ეროვნული საბჭო თავის ფუნქციებს ახორციელებს სტრუქტურებით, რომელთა შორისაა:

ა) ეროვნული საბჭოს ფონდი – მისი შემოსავალია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებული შესაკრებლები, გადასახადები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიცემული დოტაცია და დაკვეთები, საქველმოქმედო სახსრები; ფონდი განაგებს უძრავ ქონებას და წარმოების საშუალებებს; მოქმედებს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ბ) საექსპერტო კომისია – ამუშავებს კონკრეტული გრანტის გაცემის პირობებს, აცხადებს და ატარებს პროექტების კონკურსს, ინტელიგენციის და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, საქართველოს და უცხოელ ექსპერტთაგან აკომპლექტებს საკონკურსო კომისიებს კონკრეტულ გრანტზე პრეტენდენტთა შესარჩევად, ამტკიცებს მათ გადაწყვეტილებას; აწყობს ტენდერს პრობლემატურ საკითხზე გამოკვლევის ჩასატარებლად, ამტკიცებს მიღებულ შედეგებს.

გ) იურიდიული სამსახური – მიმართვის შემთხვევაში განიხილავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, ცდილობს მოაგვაროს დავა სასამართლოს გარეშე; ჟურნალისტის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში – თავის კომპეტენციის ფარგლებში მიმართავს სასამართლოს.

დ) ეროვნული საბჭოს არქივი – უზრუნველყოფს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვანი ძეგლების მოგროვებას, შენახვას და მოვლას, მათ გამრავლებას და გაცემას მომხმარებელზე საავტორო უფლების დაცვით; ქმნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საინფორმაციო ბანკს და ა. შ.

ე) სალიცენზიო კომისია – აწარმოებს სარეგისტრაციო რეესტრს; ანაწილებს საეთერო დროსა და სიხშირეებს; გასცემს ლიცენზიებს და აკონტროლებს მათი პირობების დაცვას.

5. ყოველი სტრუქტურული ერთეულის მმართველ ორგანოებს ეროვნული საბჭო აკომპლექტებს ოთხწლიანი ვადით, ამტკიცებს ამ ორგანოების დებულებას, მუშაობის გეგმას, ბიუჯეტს, ამტკიცებს მათ ანგარიშს.

საექსპერტო და სალიცენზიო კომისიების გადაწყვეტილების შეცვლა ეროვნულ საბჭოს, როგორც წესი, არ შეუძლია. მათი წევრების ვადამდე გათავისუფლება ეროვნულ საბჭოს შეუძლია მხოლოდ კონსენსუსის პირობებში.

6. ეროვნული საბჭოსა და მისი ყველა სტრუქტურის მუშაობა, გადაწყვეტილებები და რეაგირების დოკუმენტები ღიაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის.

თავი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სახეები

მუხლი 7. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალება

1. კანონი აწესებს ისეთ სახეს, როგორიცაა მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალება.

კონკრეტული გაზეთის, ჟურნალის, რადიო ან ტელეკომპანიის, სხვა სამაუწყებლო ან საგამომცემლო სტრუქტურის მიკუთვნება მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივ საშუალებათა კატეგორიისთვის ხდება პარლამენტის დადგენილებით. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალების საქმიანობაზე პასუხისმგებელია ეროვნული საბჭო.

მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივ საშუალებას წარმოადგენს, აგრეთვე, ცალკეული შემოქმედებითი ჯგუფის პროდუქცია (საგაზეთო რუბრიკა, პროგრამა, ფილმი და ა. შ.), თუ მასზე მუშაობას აფინანსებს ეროვნული საბჭოს ფონდი.

2. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალება:

– მოსახლეობას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით;

– უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმაციით ხელისუფლების ნებისმიერ განშტოებაში მიმდინარე პროცესებზე, აქვეყნებს შესაბამის სამართლებრივ აქტებს და ცნობებს;

– ახორციელებს პროექტებს, რომლითაც დაკმაყოფილდება შემეცნებითი და ესთეტიკური მოთხოვნილებები მცირერიცხოვან აუდიტორიას (ბავშვები, მოსწავლეები, სოციალურად დაუცველი ფენები, პროფესიული ჯგუფები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები და ა. შ.);

– ახორციელებს მსოფლიო და, განსაკუთრებით, ეროვნული კულტურის პოპულარიზაციას;

– ახორციელებს სასწავლო, შემეცნებით და გასართობ პროექტებს.

3. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება პროექტების დაფინანსებით. დაფინანსების ფორმა არის ეროვნული საბჭოს დაკვეთა ან გრანტი, რომელშიც განისაზღვრება გრანტის ფუნქცია, მოცულობა, რეალიზაციის დრო და ადგილი.

გრანტი გაიცემა მხოლოდ კონკრეტული სამუშაოს პროექტზე. დასაფინანსებელი პროექტის შერჩევა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს საექსპერტო კომისია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმით შედიან კონკურენტების წარმომადგენლები; შემოქმედებით გრანტებზე კონკურსის დროს – ვეტოს უფლებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მისი ვეტოს მოხსნა შეუძლია ეროვნულ საბჭოს.

4. კონკურსზე პროექტის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ პიროვნებას, სამუშაო ჯგუფს ან იურიდიულ პირს.

5. გრანტებით ფინანსდება ორგანიზაციის ადმინისტრაციული მართვის და ტექნიკური ბაზის განვითარების, შემოქმედებითი საქმიანობის პროექტები.

6. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალების ორგანიზაციის დირექცია კომპლექტდება ჯგუფით, რომელმაც მოიპოვა ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გამოყოფილი გრანტი (ჯგუფის ხელმძღვანელი იკავებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობას);

სარედაქციო კორპუსი კომპლექტდება შემოქმედებით საქმიანობაზე გამოყოფილი გრანტების მფლობელებით.

7. საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებისთვის წესდება საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის გრანტები.

8. შემოქმედებითი ჯგუფი ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალთან ურთიერთობაში არის დამკვეთი, ის თავისუფალია პარტნიორის შერჩევაში და თავის გრანტიდან ანაზღაურებს ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და სხვა სახის მომსახურებას.

თუ სხვადასხვა გრანტის მფლობელებს შორის წამოიჭრა დავა, რომელიც ეხება პროექტით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მას განიხილავს ეროვნული საბჭო. თუ დავის საგანი შრომის კანონმდებლობის დარღვევაა – საკითხს განიხილავს სასამართლო.

9. ეროვნულ საბჭოს შეუძლია გასცეს გრანტი, რომლის პირობებში მითითებული არ არის, რომ მფლობელმა მისი რეალიზაცია უნდა მოახდინოს მხოლოდ საზოგადოებრივ რადიოში ან ტელევიზიაში, ან ბეჭდურ საზოგადოებრივ საშუალებაში. ამგვარი შეუზღუდველი გრანტის მფლობელს

(დასასრული მე-4 გვ.)

პროექტი

საქართველოს კანონი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ

(დასასრული)

უფლება აქვს მიიტანოს იგი მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერ, მათ შორის, კერძო და საუწყებო საშუალებაში.

10. თუ ეროვნული საბჭოს გრანტები არ ამოწურავს მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალების პოტენციალს, ეროვნული საბჭოს ნებართვით მის ადმინისტრაციას უფლება აქვს მოიზიდოს სახსრები, შემოქმედებითი კადრები და იმუშაოს კომერციული სტრუქტურის ანალოგიურ პირობებში.

11. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალების დებულებას ამტკიცებს ეროვნული საბჭო.

მუხლი 8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სახეები

1. მასობრივი ინფორმაციის სახეები გამოიყოფა მესაკუთრის მიხედვით (კერძო ანუ კომერციული, უწყებრივი, საზოგადოებრივი), ინფორმაციის შინაარსის მიხედვით (ზოგადი და სპეციალიზებული, კერძოდ: ახალი ამბების, სპორტული, საგანმანათლებლო, მუსიკალური, მხატვრული, სარეკლამო, ეროტიკული თუ სხვა თემაზე სპეციალიზებული გაზეთი, ჟურნალი, რადიო და ტელეპროგრამა), ენის მიხედვით (ერთენოვანი სახეობების გარდა დაშვებულია მასობრივი ინფორმაციის ორ ან მრავალენოვანი საშუალების გავრცელება), გავრცელების ტექნოლოგიის მიხედვით (ბეჭდვითი ანუ პოლიგრაფიული საშუალებები – გაზეთი, ჟურნალი და ელექტრონული საშუალებები – ტალღური და საკაბელო რადიო-და ტელემაუწყებლობა, აუდიო-და ვიდეოკასეტები; ელექტრონული ტექნოლოგიით გავრცელებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განეკუთვნება აგრეთვე მასობრივი მოხმარების კომპიუტერული ქსელის საინფორმაციო სისტემაც); პერიოდულობის მიხედვით (მასობრივი ინფორმაციის ერთჯერადი და პერიოდული გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი, ალმანახი, რადიო და ტელეპროგრამა, კინოქრონიკალური პროგრამები, რომელთა პროდუქციის გამოშვების პერიოდი არ აღემატება ერთ წელიწადს); გავრცელების არეალის მიხედვით (რესპუბლიკური და ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები); მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემას განეკუთვნება და რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება საინფორმაციო სააგენტო, პრესსამსახური, ფოტო, რადიო და ტელესტუდია და სხვა ორგანიზაციები, რომელიც სპეციალიზებულია მხოლოდ გარკვეული ტიპის საინფორმაციო მასალის შექმნაზე.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალების სახე განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაფუძნების და ფუნქციონირების წესს, მის გადასახადებს.

3. მასობრივი ინფორმაციის სისტემას არ განეკუთვნება ის უცხოური საშუალებები, რომლებიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთა მწარმოებელი ან გამავრცელებელი არაა რეგისტრირებული საქართველოში.

ნაწილი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებ

თავი 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაარსება

მუხლი 9. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაცია

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალება ფუძნდება და რეგისტრაციას გადის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ არსებული კანონის შესაბამისად.

2. სასამართლო, სადაც მოხდა მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაცია, აცნობებს ამის შესახებ ეროვნული საბჭოს ლიცენზირების კომისიას, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალება შეაქვთ სარეგისტრაციო რეესტრში.

3. რეგისტრაცია არ ესაჭიროება.

– 500 ან ნაკლები ტირაჟის პერიოდულ გამოცემებს (საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოცემული ბიულეტენის გარდა); წინასაარჩევნო მასალებს, რომელიც ვრცელდება კანონის შესაბამისად; რადიო და ტელეპროგრამებს, თუ ისინი საკაბელო სისტემით ვრცელდება ერთ სასწავლო, სახელმწიფო ან სამრეწველო დაწესებულების ტერიტორიაზე, ან 50-ამდე აბონენტს შორის; აუდიო და ვიდეოკასეტებს 10 ან ნაკლები რაოდენობის ტირაჟით.

მუხლი 10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ლიცენზირება

1. მასობრივი ინფორმაციის ის საშუალება, რომელიც სარგებლობს გავრცელების ლიმიტირებული საშუალებებით, ინფორმაციის გავრცელებას იწყებს მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემდეგ.

ლიცენზიას საჭიროებს ტალღური გადაცემით გასავრცელებელი რადიო და ტელეკომპანია, რადგან ბუნებით ლიმიტირებულია არხების რაოდენობა.

2. რადიო და ტელემაუწყებლობის არხებს და ლიცენზიებს ფოსტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექნიკური დახასიათების საფუძველზე კონკურსის წესით გასცემს ეროვნული საბჭოს სალიცენზიო კომისია.

3. ლიცენზია გაიცემა განსაზღვრული ვადით. ლიცენზიის სხვისთვის გადაცემა ნებადართულია სალიცენზიო კომისიაში განცხადების შემდეგ. ლიცენზიაში ცვლილება შეიძლება მოხდეს დამფუძნებლის (მესაკუთრის) შესაბამისი განაცხადის საფუძველზე.

4. ლიცენზია არ გაიცემა თუ: ა) განაცხადში მითითებული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს; ბ) დარღვეულია დაფუძნების წესი, ერთ-ერთ დამფუძნებელს ან რედაქტორს არა აქვთ დაფუძნების თუ ხელმძღვანელობის უფლება; გ) განაცხადში მითითებული მონაცემებით ტექნიკურად შეუძლებელია გავრცელება;

აღნიშნულ შემთხვევებში სალიცენზიო კომისია 3 თვეში მოტივირებულ უარს ეუბნება განმცხადებელს, რაც დამფუძნებელს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

5. ლიცენზია ჩამოერთმევა მფლობელს, თუ: ა) ლიცენზია გამოუყენებელი დარჩა 1 წლის განმავლობაში;ბ) დარღვეულია ლიცენზიის პირობები;

6. თუ ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი განიხილება სასამართლოში სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის სარჩელის საფუძველზე, სასამართლო ატყობინებს ეროვნულ საბჭოს და ითხოვს მისგან სათანადო საექსპერტო დასკვნას.

თავი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალების სტრუქტურა

მუხლი 11. დამფუძნებელი (მესაკუთრე)

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი (მესაკუთრე) შეიძლება იყოს: ა) ერთი ან რამდენიმე იურიდიული ან ქმედუნარიანი ფიზიკური პირი; ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც კანონით არა აქვს შეზღუდული უფლებები;

2. დამფუძნებელს (მესაკუთრეს) აქვს უფლება:

– დანიშნოს შემოქმედებით და ადმინისტრაციულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები (რედაქტორი, დირექტორი), რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;

– შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეცვალოს მასობრივი ინფორმაციის საქმიანობა, რაც არ უხსნის მას პასუხისმგებლობას ადრე აღებული ვალდებულებებისთვის.

3. იმისთვის, რომ ბუნებრივი მიზეზებით ლიმიტირებულ საშუალებებში არ შეიქმნას პლურალიზმის შეზღუდვის საფრთხე, ელექტრონული საშუალების (რადიო და ტელეკომპანია) დამფუძნებელი (მესაკუთრე) ან გამავრცელებელი არ შეიძლება იყოს იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია პოლიტიკურ პროპაგანდასთან (სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურა, პოლიტიკური გაერთიანება, პოლიტიკური მოღვაწე).

პროპაგანდაში დაინტერესებულ პირს ეთერით უზრუნველყოფს საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზია, ან კერძო კომპანია, რომელთანაც დაკვეთის სახით განისაზღვრება მომსახურების მოცულობა და ფასი.

მუხლი 12. რედაქცია

1. რედაქცია შეიძლება იყოს იურიდიული პირი, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი, ორგანიზებული, როგორც საწარმო.

2. რედაქცია ფუნქციონირებს მის მიერ მიღებული დებულების საფუძველზე. დამფუძნებლის (მესაკუთრის) მიერ რედაქციის დებულების დამტკიცებამდე ურთიერთობებს არეგულირებს ხელშეკრულებები.

მუხლი 13. ჟურნალისტი

1. რედაქცია თავისუფალია შემოქმედებითი კადრების (ჟურნალისტების) არჩევაში. მასობრივი ინფორმაციის სფეროში მუშაობა არ იზღუდება საგანმანათლებლო და პროფესიული ცენზის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

2. კანონი იცავს ჟურნალისტისა და რედაქციის თანამშრომლის პროფესიულ უფლებებს – სამსახურში მიღება, თანამდებობაზე დანიშვნა და გადააადგილება უნდა მოხდეს მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციის და ეთიკის საფუძველზე.

3. პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ჟურნალისტს უფლება აქვს:

1) მოიპოვოს ინფორმაცია და მისი შემცველი მატერიალური მასალა (დოკუმენტი, ნივთი და სხვა) ყველა ხერხით, გარდა კანონით აკრძალულისა; 2) ნებისმიერ პირს სთხოვოს მოვლენის კომენტარი (ინტერვიუ, გამოსვლა, წერილი); 3) ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, არ შეასრულოს დავალება, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და მის საკუთარ მრწამსს; 4) დაიცვას წყაროს საიდუმლოება; 5) დაიცვას თავისი საავტორო უფლება; 6) ერთდროულად ითანამშრომლოს მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებაში დამოუკიდებელი ჟურნალისტის სტატუსით, თუ ეს არაა შეზღუდული ხელშეკრულებით.

4. პროფესიული საქმიანობის დროს ჟურნალისტი მოვალეა:

ა) მკაცრად დაიცვას კანონი ინფორმაციის მოპოვებისას; ინფორმაციის მნიშვნელობა არ ათავისუფლებს ჟურნალისტს ინფორმაციის მოპოვების დროს კანონის დარღვევის პასუხისმგებლობისგან; ბ) გააფრთხილოს წყარო, რომ მისი ინფორმაცია ან კომენტარი გამოქვეყნდება; გ) არ დაამახინჯოს ფაქტი; დ) თავის საქმიანობით არ ჩაერიოს მოქალაქის პირად ცხოვრებაში; ე) მკაფიოდ გამოყოს ერთმანეთისგან ფაქტი და კომენტარი;

თავი 6. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა.

მუხლი 14. საერთო მოთხოვნები

მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებისთვის დაუშვებელია:

– ხელი შეუწყოს კანონით აკრძალული მოქმედების ჩადენას; გაუწიოს პროპაგანდა სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის ძალით დამხობას ან შეცვლას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ეროვნულ, კლასობრივ, სოციალურ, რელიგიურ შეურიგებლობასა და ომს; შეურაცხყოფა მიაყენოს სახელმწიფოს, საზოგადოებას, სოციალურ ჯგუფებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს; შეურაცხყოს სახელმწიფო ენა მისი სამეტყველო ნორმების უგულებელყოფით; გაამჟღავნოს პიროვნების პირადი და ინტიმური ცხოვრება მისი ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირადი ცხოვრება ეხება საზოგადოებრივ ინტერესებს; აწარმოოს პორნოგრაფიის, დანაშაულისა და ნარკომანიის გამიზნული ან უნებლიე პროპაგანდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა აუდიტორიასთან.

მუხლი 15. ინფორმაციის მოპოვება

1. მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება სარგებლობს ინფორმაციის მოპოვების თანაბარი უფლებით.

ხელისუფლების მხრიდან დაუშვებელია პრიორიტეტი ინფორმაციის გაცემაში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ უწყების პრეს-სამსახური, რომელსაც აქვს ინფორმაციის მიღების პრიორიტეტული უფლება, ოღონდ, თავის მხრივ, ვალდებულია მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაზე თანაბრად და უსასყიდლოდ გაავრცელოს ინფორმაცია.

2. ინფორმაციის მოპოვება თავისუფალია, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო პირი მშვიდობიან, საგანგებო თუ საომარ მდგომარეობაში ვალდებულია უზრუნველყოს ჟურნალისტის სამუშაო პირობები და უსაფრთხოება ინფორმაციის მოპოვების დროს. ინფორმაციის დაფარვა ან დახმარების აღმოუჩენლობა მის მოპოვებაში იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. რედაქციას ან ცალკეულ ჟურნალისტს შეუძლია მიმართოს ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობისთვის, როცა ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურაში ფერხდება ინფორმაციის მოპოვება. თუ ეროვნული საბჭოს ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა, იგი მოვალეა რედაქციასთან ერთად აღძრას საქმე სასამართლოში.

4. ინფორმაციის მოპოვების უფლება იზღუდება ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფოს უფლებით იქონიოს და დაიცვას საიდუმლო.

სახელმწიფო საიდუმლოსთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სპეციალური კანონი. სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნების მოულოდნელი საფრთხის აღმოცენებისას ეროვნული საბჭო დროებით ზღუდავს ინფორმაციის მიღებას კრიტიკული (დახურული) ზონიდან.

პირად ცხოვრებასთან, ჯანმრთელობასა და კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების უფლება, როგორც წესი, აქვს ნებისმიერ მოქალაქეს. გამონაკლისი შეიძლება იყოს დაშვებული, თუ ინფორმაცია მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის არჩევნებსა თუ სხვა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

5. ინფორმაციას პარლამენტის, უწყებების საქმიანობის და მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ რედაქცია მოიპოვებს ჟურნალისტის აკრედიტაციით. აკრედიტაცია ან მოტივირებული პასუხი სააკრედიტაციო განაცხადზე უნდა გაიცეს განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში. აკრედიტაციის გაჭიანურებისთვის რედაქციას უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია აკრედიტაციის გამცემი იურიდიული პირისგან. აკრედიტებულ ჟურნალისტს უფლება აქვს დაესწროს სამუშაო სხდომებს და გაეცნოს დოკუმენტაციას.

ჟურნალისტს შეიძლება არ მიეცეს ან ჩამოერთვას აკრედიტაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უწყებაში აკრედიტაცია ლიმიტირებულია და უწყება თავისი გადაწყვეტილების მიხედვით ანაწილებს ლიმიტს. უარი აკრედიტაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

6. დაუშვებელია ინფორმაციის მოპოვება აკრძალული ხერხებით: ინფორმაციის, როგორც საკუთრების, ხელყოფა მფლობელის ნებართვის გარეშე — მოპარვის, მოტყუების, ჟურნალისტის ვინაობის ან გამოქვეყნების განზრახვის დამალვის და სხვა უკანონო გზით.

მუხლი 16. კომენტარი (ინტერვიუ, წერილი, გამოსვლა)

1. ჟურნალისტს უფლება აქვს გააკეთოს ნებისმიერი მოვლენის კომენტარი ან სთხოვოს კომენტარი ნებისმიერ პიროვნებას.

2. პირს, რომელიც მასობრივი ინფორმაციის კონკრეტული საშუალებისთვის აკეთებს სპეციალურ კომენტარს (ინტერვიუში, წერილში, გამოსვლაში), საავტორო უფლება აქვს კომენტარზე, მისი გამოქვეყნების ფორმაზე, დროსა და ადგილზე. ჟურნალისტი მოვალეა რედაქტირებისთვის წინასწარ გააცნოს მას მასალა. თუ კომენტარის ავტორს არ აქვს საკუთარი მასალის რედაქტირების პრეტენზია, ეს უნდა დაუდასტუროს ინტერვიუერს წერილობით, აუდიო ან ვიდეოჩანაწერით.

3. თუ დაცულია კომენტარის ავტორის (რესპოდენტი, ჟურნალისტი) საავტორო უფლებები, ის აგებს პასუხს კომენტარის შინაარსზე.

მუხლი 17. შეტყობინება და რეპორტაჟი

1. ჟურნალისტურ მასალაში (ტექსტი, ვიდეომასალა) მოვლენის დაუმახინჯებელ გადმოცემაზე და საკუთარ კომენტარზე პასუხისმგებელია ჟურნალისტი.

შეტყობინებასა და რეპორტაჟში აღწერილ ქცევაზე ან ციტირებულ ტექსტზე პასუხისმგებელია ქცევის ან ციტატის ავტორი, თუ მოწმეთა ჩვენებით, აუდიო – ან ვიდეო ჩანაწერით დამტკიცდა ჟურნალისტის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სისწორე.

მუხლი 18. გამოქვეყნება

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალება ყოველი გამოშვების გამოქვეყნების დროს აუდიტორიას აცნობს საკუთარ რეკვიზიტებს, რომელთა ნუსხას ადგენს ეროვნული საბჭო. რეკვიზიტების გარეშე გამოქვეყნებული გამოშვება კვალიფიცირდება, როგორც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და რედაქცია შესაბამისად აგებს პასუხს.

2. ინფორმაციის (შეტყობინების) გამოქვეყნების დროს განსაზღვრული უნდა იყოს წყარო – საკუთარი კორესპონდენტია,სააგენტოა, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაა, დოკუმენტია, კონკრეტული პიროვნებაა თუ პირი, რომელმაც ისურვა ანონიმურობა.

წყაროს განსაზღვრების გარეშე, ან მცდარი განსაზღვრებით, ან შინაარსის დამახინჯებით ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევაში რედაქცია პასუხს აგებს საავტორო უფლების ხელყოფისთვის.

3. ინფორმაციის ან კომენტარის (ინტერვიუ, წერილი, გამოსვლა) გამოქვეყნებისას წყარო შეიძლება დასახელდეს, შეიძლება იყოს ანონიმი, შეუძლია ფსევდონიმის გამოყენება.

თუ აღძრულია საქმე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ანონიმური ან ფსევდონიმით დაფარული წყაროს მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის შეურაცხყოფის გამო, რედაქციას უფლება აქვს სასამართლოს არ აცნობოს წყაროს ვინაობა. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელია რედაქცია.

თუ აღძრულია საქმე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ანონიმური ან ფსევდონიმით დაფარული წყაროს მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის ბრალდების გამო, ჟურნალისტს არა აქვს ინფორმაციის წყაროს დასახელების უფლება მისი ნებართვის გარეშე. ჟურნალისტს შეუძლია წყაროს თანხმობით კონფიდენციალურად გაუმხილოს წყაროს ვინაობა მხოლოდ მოსამართლეს, რომელიც პასუხისმგებელია წყაროს ვინაობის საიდუმლოდ დაცვასა და მის უსაფრთხოებაზე.

4. საიდუმლოს შემცველი შეტყობინების ან რეპორტაჟის გამოქვეყნებაზე პასუხს აგებს ჟურნალისტი, თუ მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ინფორმაცია საიდუმლოა. სხვა შემთხვევაში პასუხისმგებლობა საიდუმლოს გამჟღავნებაზე ეკისრება ინფორმაციის წყაროს.

5. სასამართლო პროცესის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციასა და რეპორტაჟში დაუშვებელია:

– „პრესის სასამართლო", ანუ რომელიმე მხარის წინასწარი დადანაშაულება ან გამართლება;

– მიმდინარე სასამართლო პროცესისა და პროცესის მონაწილეთა ქმედების პირდაპირი ან ირიბი შეფასება;

– მხარეთა ვინაობის სრულად გადმოცემა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილია მათი ვინაობა);

– სასამართლოს მიერ გამოსაქვეყნებლად აკრძალული ინფორმაციის გამოქვეყნება.

6. დოკუმენტური, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოების (ლიტერატურული ძეგლი, ფილმი და ა.შ.) გამოქვეყნება აკრძალულია საავტორო უფლების მქონე პირის ან მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

7. თუ ქვეყნდება მასალა, რომლის მომზადების ან გამოქვეყნებისთვის რედაქციამ მიიღო საზღაური, თვალსაჩინო ფორმით უნდა მიეთითოს დაფინანსების ფორმა (სპონსირება, გრანტი, სარეკლამო დაკვეთა, განცხადება) და დამფინანსებელი.

8. კომერციულ რეკლამას წაეყენება იგივე საერთო მოთხოვნები, რაც ჩამოთვლილია მუხლ 14-ში.

იკრძალება იმ საქმიანობის რეკლამირება, რომელიც აკრძალულია კანონით. სოციალურად არასასურველი მოვლენის რეკლამირებას ან ეზღუდება წილი ინფორმაციის მთლიან მოცულობაში, ან იბეგრება სპეციალური გადასახადით (თამბაქოს, ალკოჰოლის რეკლამა).

9. პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებას განსაზღვრავს ეროვნული საბჭოს მიერ, ხოლო საარჩევნო კამპანიის პერიოდში – ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი რეგლამენტი.

პოლიტიკურ რეკლამას წაეყენება იგივე საერთო მოთხოვნები, რაც ჩამოთვლილია მუხლ 14-ში.

10. ფასიანი განცხადების გამოქვეყნება იბეგრება ისევე, როგორც რეკლამისა.

საგანგებო მოვლენებთან (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კატასტროფა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა და ა.შ.) დაკავშირებით ოფიციალური პირის განცხადება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაში ქვეყნდება უფასოდ და დაბრკოლების გარეშე.

მასობრივი ინფორმაციის ცალკეული საშუალება ვალდებულია უფასოდ გამოაქვეყნოს განცხადება ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ განცხადება წარმოადგენს:

– ადრე გამოქვეყნებული მასალის კანონიერ უარყოფას, რომელიც ქვეყნდება სპეციალური რუბრიკით („უარყოფა" ან სხვა ანალოგიური დასახელება);

– სასამართლოს ან ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებასთან დაკავშირებით;

– ინფორმაციას, რომელიც ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით მისაგანია მასობრივი ინფორმაციის საშუალების აუდიტორიამდე.

11. თუ სარედაქციო მასალა, შესაბამისი ექსპერტიზის შემდეგ კვალიფიცირებული იქნა, როგორც ფარული რეკლამა, აუდიტორიის შეცდომაში შეყვანისთვის და გადასახადისგან თავის არიდებისთვის რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) აგებს პასუხს.

12. პასუხისმგებლობა ეკისრება იმ რედაქციას, რომელიც საკუთარ გამოქვეყნებულ მასალაში ქართული ენის სახელმწიფო პალატის ექსპერტთა შეფასებით სისტემატურად არღვევს ჟურნალისტური მეტყველების წინასწარ დადგენილ ნორმებს.

მუხლი 19. გავრცელება

1. აკრძალულია მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ხელის შეშლა ან გავრცელების რომელიმე ფორმის შეზღუდვა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. გამავრცელებელი პასუხისმგებელია, რომ არ გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის პროდუქცია რეგისტრაციის ან ლიცენზიის გარეშე. მას შეუძლია ეს პასუხისმგებლობა დააკისროს გამომცემელს, რაც უნდა აისახოს მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

3. გავრცელება შეზღუდული აქვს მხოლოდ ეროტიკული შინაარსის პროდუქციას. ამ კატეგორიის მიკუთვნების კრიტერიუმებს შეიმუშავებს ეროვნული საბჭო.

ეროტიკული პროფილის საცალო პროდუქცია (გაზეთი, ჟურნალი, აუდიო – და ვიდეოჩანაწერები) შეიძლება გავრცელდეს 16 წელს გადაცილებულ პირებზე მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ან სპეციალური ფორმით (დაბეჭდილ გამჭვირვალე პაკეტში). ელექტრონულ პრესაში ეროტიკული შინაარსის პროგრამების გავრცელება დაიშვება 24 საათიდან დილის 6 საათამდე.

4. თუ ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოში ავრცელებს მასობრივი ინფორმაციის ერთი სახის (ბეჭდურ ან ელექტრონულ) საშუალებათა 33 პროცენტზე მეტს, იგი განიხილება მონოპოლისტად და ეროვნული საბჭოს რეკომენდაციით დგება ამ სფეროს დემონოპოლიზაციის საკითხი.

5. მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალების ყოველი ნომრის 5-5 ეგზემპლარი გადაეცემა ეროვნული საბჭოს არქივს და ეროვნულ ბიბლიოთეკას, რაზედაც პასუხისმგებელია მთავარი რედაქტორი. ელექტრონული პრესის მასალებიდან ეროვნული საბჭოს მოთხოვნით და ეროვნული საბჭოს ხარჯზე კეთდება ჩანაწერი და არქივს გადაეცემა.

6. მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალება ვალდებულია შეინახოს გამოქვეყნებული მასალა გავრცელებიდან, სულ მცირე, ორი კვირის განმავლობაში. თუ გამოქვეყნებული მასალა ამ პერიოდში გაპროტესტდა რედაქციასთან, პრესაში, ეროვნულ საბჭოში ან სასამართლოში, მასალის პირი რედაქციის ხარჯზე უნდა დამზადდეს და გადაეცეს ეროვნული საბჭოს არქივს. სადაო მასალის შენახვასა და არქივისთვის გადაცემაზე პასუხისმგებელია მთავარი რედაქტორი.

თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალების ფინანსური ურთიერთობები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მუხლი 20. საწესდებო კაპიტალი

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალების აქციები უნდა იყოს სახელობითი.

2. კაპიტალისა და ხმების უმეტესი წილი არ შეიძლება ჰქონდეს დამფუძნებელს (მესაკუთრეს), რომელიც:

ა) რესპუბლიკაში აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის ამავე პროფილის ყველა საშუალების 33 პროცენტს ან მეტს; ბ) არ არის საქართველოს მოქალაქე ან არის უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირი.

3. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების პროდუქციის წილი გარკვეულ [illegible] საინფორმაციო სივრცეში აღწევს ეროვნული საბჭოს მიერ დემონოპოლიზაციის გამო დადგენილ ზღვარს, მას ეკრძალება წლიური ბრუნვის გაზრდა ან საზოგადოების გამსხვილება.

მუხლი 21. გადასახადები

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საგადასახადო სტრუქტურას ეროვნული საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე არეგულირებს საგადასახადო კანონმდებლობა.

2. საგადასახადო პოლიტიკისთვის რეკომენდაციების შემუშავებაში ეროვნული საბჭო ხელმძღვანელობს იმით, რომ ხელი უნდა შეეწყოს ჟურნალისტური აზრის მრავალფეროვნებას, მასობრივი ინფორმაციის საბავშვო და საგანმანათლებლო საშუალებებს.

მუხლი 22. შემოსავლები

მასობრივი ინფორმაციის საშუალების შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს:

ა) საკუთარი პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი; ბ) სააბონენტო გადასახადის ან ხელმოწერის თანხა; გ) გრანტები; დ) შემოქმედებითი პროდუქციის დაკვეთა; ე) დოტაცია ბიუჯეტიდან; ვ) საინფორმაციო დროის და ადგილის გაყიდვა რეკლამისა და განცხადებისთვის; ზ) ქველმოქმედება.

გრანტი და ქველმოქმედება (სპონსორობა) არ ზღუდავს შინაარსს და არ ხსნის პასუხისმგებლობას მასზე.

მუხლი 23. მასობრივი ინფორმაციის საშუალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამუშაო ფართი; მას უფლება აქვს ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენოს სხვისი საკუთრება.

2. მასობრივი ინფორმაციის საზოგადოებრივი საშუალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, რომელსაც განაგებს ეროვნული საბჭოს ფონდი.

ნაწილი 4. კავშირები

მუხლი 24. ნებაყოფლობითი პროფესიული კავშირები

მასობრივი ინფორმაციის საშუალება და ჟურნალისტი თავისუფალია პროფესიული გაერთიანების (კავშირის, ასოციაციის და სხვა) შექმნასა და წევრობაში.

მუხლი 25. კავშირი უცხოელ პარტნიორებთან

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალება თავისუფალია უცხოელ პარტნიორებთან კავშირების დამყარებაში, რაც შეიძლება გულისხმობდეს;

– მასობრივი ინფორმაციის ერთობლივი საშუალების დაფუძნებას; ერთობლივი პროდუქციის შექმნას; კანონის დაცვით შექმნილი ლიცენზირებული პროდუქციის გაცვლას, გაყიდვას ან შეძენას; კანონის დაცვით შექმნილი პროდუქციის გავრცელებას პარტნიორის საინფორმაციო სივრცეში.

2. უცხოელ პარტნიორთან ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონითა და პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

3. ნებისმიერი უცხო ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებას შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე შექმნას და დააფინანსოს თავისი წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის შექმნის ნებართვას საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით გასცემს სალიცენზიო კომისია.

წარმომადგენლობა ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა. წარმომადგენლობის საქმიანობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებას.

ნაწილი 5. პასუხისმგებლობა

მუხლი 26. გასაჩივრება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში გამოქვეყნებული მასალის თაობაზე სასამართლოში სარჩელი შეიძლება შეიტანოს ნებისმიერი ქვეყნის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. თუ მომჩივანს ესაჭიროება გამოქვეყნებული მასალის დუბლიკატი, გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში მან უნდა გადაუგზავნოს მოთხოვნა რედაქციას ან ეროვნული საბჭოს არქივს.

მუხლი 27. პასუხისმგებლობა დაფუძნების, რეგისტრაციისა და ლიცენზირების წესის დარღვევისთვის

დაფუძნების, რეგისტრაციისა და ლიცენზირების პირობების დარღვევისას დამფუძნებელს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონის მიხედვით. თუ რეგისტრაციისა და ლიცენზიების წესი დაარღვია ლიცენზირების გამცემმა ან მარეგისტრირებელმა ორგანომ, იგი ვალდებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებას აუნაზღაუროს ზარალი.

მუხლი 28. პასუხისმგებლობა ინფორმაციის დაფარვისთვის

იმ ინფორმაციის დაფარვა, რომელიც არ განეკუთვნება საიდუმლოთა კატეგორიას, განიხილება, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე ზემოქმედება და ისჯება კანონით.

მუხლი 29. პასუხისმგებლობა აუდიტორიის შეცდომაში შეყვანისთვის

არასწორი ინფორმაციით აუდიტორიის შეცდომაში შეყვანისთვის პასუხისმგებელია ინფორმაციის წყარო.

თუ ინფორმაცია რედაქციისაა ან ანონიმურია, ან შეცდომა დაშვებულია რედაქციის მიერ – პასუხისმგებელია რედაქცია ან გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. იგი ვალდებულია იმავე პერიოდული ორგანოს უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოს უარყოფა და აგოს პასუხი. უარყოფა უნდა გამოქვეყნდეს პერიოდული გამოცემის ან პროგრამის იმავე ადგილას, სადაც იყო გამოქვეყნებული მცდარი მასალა. თვალსაჩინოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ეს უარყოფაა. უარყოფის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 2 ნაბეჭდ გვერდს.

აუდიტორიის შეცდომაში შეყვანისთვის ინფორმაციის წყაროსთან ერთად პასუხისმგებლობას იგივე სანქციებით გაინაწილებს რედაქცია, თუ ეროვნული საბჭოს ექსპერტთა აზრით, მან, შეძლებისამებრ, არ შეამოწმა ინფორმაცია. რედაქცია თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ ინფორმაცია გადამოწმებულია, ან აღებულია საინფორმაციო სააგენტოს, ან პრეს-სამსახურისგან.

თუ გამოქვეყნებული შეცდომის შედეგად მორალური ან მატერიალური ზიანი მიადგა რედაქციას და ის არაა პასუხისმგებელი შეცდომაზე, შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია ინფორმაციის წყაროსგან.

საქართველოს რესპუბლიკა
№29. ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაპირისპირების უკანასკნელი დღე.

ბრძოლაში ებმებიან ლიდერთა ცოლები

სერბეთის ორ ყველაზე ცნობილ ქალს შორის ბრძოლა უფრო დაძაბული და კოლორიტული ყოფილა, ვიდრე მათი ქმრების ორთაბრძოლა, წერს „ტაიმსი". კარგად არის ცნობილი, რომ პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის ცოლს, მირა მარკოვიჩს, თავის ქმარზე ძლიერი გავლენა აქვს, მათ შორის პოლიტიკურიც. მაგრამ მას ღირსეული მეტოქე ჰყოლია დენიცა დრაშკოვიჩის, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მეუღლის სახით. ქალები პრესაში ერთმანეთს თავს ლაფს ასხამენ და მიწასთან ასწორებენ მათი ქმრების პარტიებს. მაგალითად, პრეზიდენტის მეუღლემ საჯაროდ უწოდა ოპოზიციას და „ერთობის" ბლოკს ტერორისტები, და მიაჩნია, რომ ისინი საფრთხეს უქადიან „გაცილებით უფრო დემოკრატიულ ქვეყანას, ვიდრე ევროპის ბევრი სხვა სახელმწიფოა". ქალბატონი დრაშკოვიჩი ტერორისტებს უწოდებს მთავრობას და პრეზიდენტს, რომლებიც ხალხს ხოცავს თავისი ბრძანებულებებით, ცოლქმრული საწოლიდან აუდგომლად. უცხოელ დიპლომატებს აფიქრებთ ვუკ დრაშკოვიჩის მეუღლის აგრესიული განწყობა და მიაჩნიათ, რომ იგი არღვევს ბლოკის მშვიდობისმოყვარულ იმიჯს.

„ფოკუსი" ჩეჩნეთის შესახებ

ჟურნალი „ფოკუსი" ამუქებს ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნების შედეგებსა და ურთიერთობის განვითარებას მოსკოვსა და ჯოხარგალას შორის. პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, არჩევნებში ასლან მასხადოვის გამარჯვებამ არ გაამართლა რუსეთის ხელმძღვანელობის იმედები, რომ განაგრძობდა მშვიდობიან მოლაპარაკებას. როგორც ჟურნალი წერს, მასხადოვი ახლა გამოდის ჩეჩნეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განცხადებებით, რომ ბორის ელცინთან მოლაპარაკებას განაგრძობს მხოლოდ როგორც თანასწორთან თანასწორი, და არა როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტის პრეზიდენტი. საკითხის ასეთ დაყენებას მოსკოვი არ დაეთანხმება და მოლაპარაკება არ გაგრძელდება. გარდა ამისა, მოლაპარაკება არ გაიმართება იმიტომაც, რომ მასხადოვი შეუდგა აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას, რათა მიაღწიოს იმას, რომ მსოფლიო გაერთიანებამ ცნოს იჩქერიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ბორგავს ნაპოლეონის მშობელი მხარე

კვირა დილას 50-ზე მეტმა აფეთქებამ იგრიალა საფრანგეთის კორსიკის კუნძულზე, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. აფეთქებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრა კორსიკის ეროვნულმა გამათავისუფლებელმა ფრონტმა, რომელიც ამ ხმელთაშუაზღვის კუნძულის ავტონომიისათვის იბრძვის. რამდენადაც 56-ვე აფეთქება დილის ხუთი საათისათვის მოხდა, მთავრობის დაწესებულებებსა და საზაფხულო კოტეჯებში, არავინ დაზარალებულა. თავიანთ განცხადებაში კორსიკელებმა საფრანგეთის მთავრობას მოსთხოვეს მეტი ავტონომია მიანიჭოს კუნძულს, გადასინჯოს საგადასახადო პოლიტიკა და მიიღოს კორსიკისადმი ფედერალური დახმარების პროგრამა. თუმცა ძალადობა არ არის ჩვენი კრედო, აცხადებენ ტერორისტები, მაგრამ ბრძოლას კვლავაც განვაგრძობთ, თუ ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებთო. არადა, ეს ბრძოლა 20 წელიწადზე მეტია, გრძელდება.

SOONER THAN YOU THINK!

მე და ზაზუნა ერთად...

კვირას, 2 თებერვალს 18 ათასი კაცი შეიკრიბა პენსილვანიის შტატის ქალაქ პანსუტოუნში, რათა საუკუნოვანი ტრადიციის შესაბამისად გაეგო ამინდის პროგნოზი, იუწყება ფრანს პრესი. მეტეოროლოგად გამოდიოდა ვირზაზუნა. როგორც ამბობენ, ვირზაზუნა ზამთრის ძილქუშისაგან იღვიძებს და მიწის ზედაპირზე გამოდის ზუსტად 2 თებერვალს. თუ ეს დღე მზიანია, მაშინ ვირზაზუნა ხედავს თავის ჩრდილს. მაშასადამე, სიცივე კიდევ ექვს კვირას გასტანს; თუ ჩრდილი არ არის, მაშინ გაზაფხული ადრე დადგება. ტრადიცია გერმანელმა ემიგრანტებმა ჩაიტანეს ამერიკაში. თავიანთ სამშობლოში ისინი მეტეოროლოგიური მიზნებისათვის იყენებდნენ მაჩვს. სააგენტო აღნიშნავს, რომ ჩვეულება განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა 1993 წლიდან, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ვირზაზუნას დღე", სადაც მთავარ როლს ბილ მიურეი ასრულებს. 2 თებერვალს პანსუტოუნში ჩასულ ტურისტთა რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვს. როგორც გაზეთი „სან-ხოსე მერკური ნიუსი" წერს, ვირზაზუნას წინასწარმეტყველება მართლდება შემთხვევების მხოლოდ 39 პროცენტში, მაგრამ ტურისტები მაინც ჩამოდიან მის სანახავად.

ან კამილა, ან ტახტი

პრინცი ჩარლზი აღარ მალავს კამილა პარკერ ბოულზის სიყვარულს და მზად არის ცოლადაც შეირთოს იგი, წერს ამერიკული „სან ჰერალდი". ძველი მიჯნურები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ ერთად და აღარ თვლიან საჭიროდ, დაფარონ თავიანთი სიყვარული. ამაში დასაძრახი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ჩარლზი და კამილა ყმაწვილები აღარ არიან, რამდენიმე წელიწადში ორივეს ორმოცდაათ-ორმოცდაათი შეუსრულდება. და, რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არ არის ქორწინებით შებორკილი. ერთადერთ დაბრკოლებას უელსწულისა და მისი მიჯნურის ბედნიერების გზაზე წარმოადგენენ ინგლისელი კონსერვატორები. იმ შემთხვევაში, თუ ჩარლზი მაინც შეირთავს ცოლად კამილას, იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ინგლისელთა პატივისცემას და იძულებული გახდება დაივიწყოს გვირგვინი, წერს დასასრულ „სან ჰერალდი".

ჰიტლერის რეაბილიტაციისათვის

ჰოლივუდში მორიგი სენსაციაა, წერს „სანდი ტაიმსი". კინორეჟისორი პოლ ვერხოვენი იწყებს სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას, რომელიც ეძღვნება ჰიტლერის ცხოვრების გზას. ფილმს საფუძვლად დაედო „ფაშისტური დიქტატორის" ბიოგრაფია. ბოლოს და ბოლოს, კაცობრიობა შეძლებს დაინახოს ჰიტლერში არა მარტო „ბარბაროსი და პირწავარდნილი ანტისემიტი", არამედ უბრალოდ ადამიანი, მიაჩნია სტატიის ავტორს. ფილმის მიზანია, გაამართლოს ჰიტლერი საზოგადოების თვალში და უჩვენოს მისი ტრაგიკული ბედი. ვერხოვენს კარგად ესმის, რომ მოლიპულ გზას დაადგა (ანტიფაშისტები არასდროს აპატიებენ ამ ფილმს). მაგრამ რეჟისორის აზრით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანიაში, დანიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში ჰიტლერს ყოველთვის თვლიდნენ „თავისიანად". თანაც, როგორც იტყვიან, ჭეშმარიტება ყველაზე მთავარია, დასძენს „სანდი ტაიმსი".

ვინ ჰყიდდა და ვის აბრალებდნენ

გაზეთი „ექპრესი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება სკანდალს, ორი წლის წინათ რომ ატყდა მიუნხენში საგანგებო მიკრიკის დაპატიმრების გამო, რომელსაც რადიაქტიული მასალები გადაჰქონდა. მაშინ გერმანიის სპეც-სამსახურებმა პირველად გამოთქვეს ვარაუდი, რომ ბირთვული იარაღის ნედლეულის ვაჭრობაში გარეული არიან რუსი სამხედროები. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამჟამად ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეძლო, მოეპოვებინა უტყუარი მონაცემები, რომელთა თანახმად, რადიაქტიული მასალების ვაჭრობა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ოფიცრების მიერ იყო ორგანიზებული. სტატიაში აგრეთვე გამოთქმულია აზრი, რომ ამ ცნობების პუბლიკაციის შემდეგ რუსეთი, ალბათ, ველარ გაბედავს ილაპარაკოს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროვოკაციებზე და აღძვროს პანიკა რუსეთის ბირთვული ობიექტების არასაიმედო დაცვის ირგვლივ.



პრეზიდენტს მაფია აფინანსებდა?

ამ დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას, შესაძლოა, მაფია აფინანსებდა, წერს ბრიტანული „ტაიმსი". ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ გასული წლის აგვისტოში ბილ კლინტონის დაბადების 50 წლისთავის დღესასწაულზე მიწვეულ სტუმართა შორის იყო გამოძიების ქვეშ მყოფი ნიუჯერსელი ბიზნესმენი ერიკ უინი. კლინტონის დაბადების დღის აღნიშვნა დემოკრატებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ შეეგროვებინათ სახსრები წინასაარჩევნო კამპანიის მოსაწყობად. ამასთან მოსაწვევი ბარათის ფასი 10.000 დოლარს შეადგენდა. სტუმართა მიერ გაღებულმა შეწირულობამ დემოკრატთა ხაზინას დაახლოებით 10 მილიონი დოლარი შესძინა. ერიკ უინი, რომელსაც სასამართლომ 4 წლის პატიმრობა მიუსაჯა ეკონომიკური დანაშაულობებისათვის, ცნობილია თავის კავშირით ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ბევრმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა ერიკ უინის სურვილი — მიეღო მეწყალება, დაუკავშირა დემოკრატთა სურვილს, შეეკრიბათ რაც შეიძლება მეტი სახსრები წინასაარჩევნო ბრძოლისათვის, და გამოთქვა ვარაუდი, რომ ერიკ უინმა და ბილ კლინტონმა ორმხრივ ხელსაყრელ გარიგებას მიაღწიეს — ერიკ უინი გამოიყენებს თავის გავლენას ორგანიზებული დამნაშავეობის სამყაროში დემოკრატებისათვის წინასაარჩევნო სახსრების შესაგროვებლად, ხოლო ბილ კლინტონი გამოიყენებს თავის გავლენას ერიკ უინის მეწყალების უზრუნველსაყოფად.

ბრუს უილის ქუნწობას სწამებენ

ჰოლივუდის ვარსკვლავებს ბრუს უილისსა და დემი მურს, რომლებიც ფილმში სულ ცოტა 10-10 მილიონ დოლარს იღებენ ხოლმე, ძუნწები უწოდეს იმ სახლის მინამოსამსახურეებმა, რომელშიც ეს წყვილი ცხოვრობს, — წერს „დეილი ტელეგრაფი". მდიდრული აპარტამენტის ბინადარნი დაუწერელი შეთანხმების მიხედვით გულუხვად აძლევენ „ხელის ქირას" ფარეშებს სწრაფი მომსახურებისათვის. ამასთან, ქირის მიუცემლობამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები ნაგვის დროულად გატანასა და ტაქსის გამოძახებასთან დაკავშირებით. საშობაოდ ქირა ულისების სახლში 50 დოლარს შეადგენდა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ მოსამსახურენი აღშფოთდნენ, როდესაც ულისმა და მურმა მხოლოდ 15-25 დოლარის ჩეკები გამოუწერეს. მეორე დილას ჰოლივუდის ვარსკვლავებმა აღმოაჩინეს, რომ მიცემული ფული მათთვის უკან დაებრუნებინათ. ცოლ-ქმარი ულისების წარმომადგენლის ჯო მაკ ალისტერის აზრით, გაუგებრობა მოხდა: ბრუს ულისი, როგორც ყოფილი ბარმენი, თურმე ცნობილი ყოფილა თავისი ხელგაშლილობით.

ვის შეუძლია იყაროს კენჭი პრემიერად

ისრაელის კანონმდებელნი განიხილავენ შესაძლებლობას, რომ აუკრძალონ არაებრაელებსა და იმიგრანტებს, კენჭი იყარონ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე. წინა კვირას მაიკლ კლეინერმა, ნეთანიახუს მთავრობის ერთ-ერთმა მოხელემ, განაცხადა, რომ სულ მალე იგი მთავრობის განსახილველად შეიტანს კანონპროექტს, რომელიც ისრაელის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატისაგან მოითხოვს იყოს ებრაელი და ქვეყანაში ცხოვრობდეს სულ ცოტა 7 წელიწადს. კლეინერის აზრით, „ისრაელის მოქალაქე, რომელიც არ არის ებრაელი, სიმბოლურად ვერ გამოხატავს ისრაელის სახელმწიფოს ებრაულ არსს". კანონპროექტი მაშინვე დაგმეს და რასისტულად მიიჩნიეს უმცირესობათა წარმომადგენლებმა. არაბმა იურისტმა აზმი ბიშარამ, რომელსაც განზრახული აქვს 2000 წელს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოსტზე, განაცხადა, რომ ისრაელი პირველ რიგში უნდა იყოს მისი ყველა მცხოვრების სახელმწიფო და არა მარტო ებრაელი უმრავლესობის სახელმწიფო. ქნესეთის წევრმა და ყოფილმა საბჭოელმა ემიგრანტმა რომან ბრონფმანმა, რომელიც ისრაელის ემიგრანტთა პარტიას წარმოადგენს, კლეინერის კანონპროექტს უწოდა ანტიდემოკრატიული, რასისტული და უპასუხისმგებლო. ბრონფმანის აზრით, ემიგრანტები ისრაელში ჩამოდიან არა იმიტომ, რომ მონაწილეობა მიიღონ აპარტეიდის სისტემის შექმნაში, არამედ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შემატონ ქვეყნის დემოკრატიასა და კულტურას.

ჩერჩილის საიდუმლო

ერთ-ერთი უდიდესი თამბაქოს საიდუმლო გახსნა თავის ფურცლებზე ყოველკვირეულმა „სანდი ტაიმსმა" — სერ უინსტონ ჩერჩილი თავის სიცოცხლის ბოლო წლებში ძალიან ცოტას ეწეოდა, თუმცა გამუდმებით გამოდიოდა ჟურნალისტთა წინაშე კბილებში სიგარაგაჩრილი. სიგარა გახდა ნაწილი ჩერჩილის სახისა, ისევე როგორც განთქმული ნიშანი „ვიქტორია", და მისი ლეგენდარული უნარი — ესვა უამრავი ვისკი და არ დამთვრალიყო. სიგარა იმდენად გახდა ჩერჩილის, როგორც პოლიტიკოსის იმიჯის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომ ხანდაზმულობის ჟამსაც კი იგი იძულებული იყო ჯიბით ეტარებინა მოზრდილი ნამწვი და ამოელო ხოლმე იგი ფოტო სურათის გადაღების წინ. „სანდი ტაიმსის" ინფორმაციით, ჩერჩილმა ძლიერ შეამცირა სიგარის წევა 75 წლის ასაკში, როდესაც ექიმს მესჩივლა, რომ ხველა ახრჩობდა. როგორც ამბობენ, იგი 60 წლის მანძილზე ყოველდღიურად ეწეოდა სულ ცოტა შვიდ უმარმაზარ ჰავანის სიგარას. და უფრო თავშეკავებული რომ ყოფილიყო, თავის 91 წლისთავსაც მიაღწევდაო, დასძენს „სანდი ტაიმსი".

ფარული ექსპერიმენტები

ყოველკვირეული „სანდი ტელეგრაფი" ექსკლუზიურ მასალაში წერს ბაქტერიოლოგიური იარაღის საიდუმლო ექსპერიმენტებზე, რომლებსაც ბრიტანეთის სპეცსამსახურები აწყობდნენ „ცივი ომის" დროს ლონდონსა და აღმოსავლეთ ინგლისში. 1964 და 1977 წლებს შუა პერიოდში ამ რაიონებში სხვადასხვა ხერხით აფრქვევდნენ სამი სახეობის ბაქტერიებს. მთავრობის მოხელეთა თქმით, ეს ბაქტერიები აბსოლუტურად უვნებელია ადამიანისათვის. „ჩვენ უბრალოდ გვსურდა გვენახა, როგორ გადაიტანდნენ ადამიანები ამ ბაქტერიებს და არავისთვის არ გვინდოდა ცუდი", — განაცხადა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა მოხელემ. მაგრამ მედიკოსები თვლიან, რომ ასეთი ბაქტერიები მაინც წარმოადგენენ გარკვეულ საფრთხეს. მათ აჰყვა თემთა პალატის წევრი ლეიბორისტი კენ ლივინგსტონი. მან უკვე მოითხოვა მოეწყოს დამოუკიდებელი გამოძიება, რათა განისაზღვროს ლონდონის მცხოვრებლებზე ბაქტერიების ზემოქმედების დონე.

ფერფლი განგის წყალს გაატანეს

ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ბელადის მაჰატმა განდის შვილიშვილი თუშარ განდი (შუაში) ასრულებს თავისი წინაპრის ნეშტის დაკრძალვის უკანასკნელ ცერემონიას — ფერფლს ატანს განგის წმინდა წყალს. რელიგიური ფანატიკოსის მიერ 1948 წელს მოკლული განდის ფერფლი სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს აღმოსავლეთ ინდოეთის ერთ-ერთი ქალაქის ბანკის სეიფში და სასამართლოს გადაწყვეტილებით გადასცეს თუშარ განდის დაკრძალვის ტრადიციული რიტუალის შესასრულებლად.

პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ჩირის ფასი აქვს

— ნუ მოვიტყუებთ თავს ილუზიებით. პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჩეჩნეთის რესპუბლიკამ უკვე მოიპოვა დე-ფაქტო. ამის უკანასკნელი დასტურია არჩევნების მოწყობა რუსეთის ფედერაციის კანონების სრული უგულებელყოფით. მაგრამ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თუ არ დაემატა ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობაც, პრაქტიკულად მას იგივე აზრი აქვს, რაც წიგნის ცარიელ ყდას უწიგნოდ, — განაცხადა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელმა ვალენტინ კოვალიოვმა.

იურიდიულად ჩეჩნეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სუბიექტია. ამ გარემოებას დღეს არავინ აყენებს ეჭვქვეშ. თანამედროვე ვითარებაში დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებ იარაღით ხელში. ასეთ გზას არასდროს არ სცნობს მსოფლიო გაერთიანება. მაშასადამე, ჩეჩნეთის კრიზისის მოწესრიგების გზა იურიდიულ პროცედურაზე გადის. მისაღებია ფედერალური საკონსტიტუციო კანონი „ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლის წესის შესახებ". და ახლა სწორედ ამ კანონპროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. დღეს ჩეჩნეთში ძალა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სამართალი. ეს გაივლის. ვინაიდან მსოფლიო სხვა კანონებით ცხოვრობს და ჩეჩნეთის რესპუბლიკამ უნდა იცხოვროს მსოფლიოში, სადაც სამართლის პრიორიტეტი უცილობელია.

ტარაკანსაც მოაქვს სარგებლობა

ბრაზილიელები მეცნიერების საკეთილდღეოდ და არცთუ უანგაროდ მიშველი ხელით იჭერენ ტარაკანებს, იუწყება როიტერის სააგენტო. ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ სამედიცინო ლაბორატორიას, რომელიც ალერგიის საწინააღმდეგო ვაქცინის შესაქმნელად მუშაობს, ცდებისათვის დასჭირდა 20 კილოგრამი ეს მწერი. რაც დაახლოებით 600.000 ტარაკანს შეესაბამება. ლაბორატორიამ ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომ იყიდის ტარაკანებს 100 გრამს 25 დოლარად. მოსახლეობა ენთუზიაზმით გამოეხმაურა რეკლამას. „ეს არც ისე ძნელია. თქვენ ოდნავ დაარტყამთ ხელს ტარაკანს, მერე კი ფრთხილად იღებთ ულვაშებით", განაცხადა ბრაზილიის ტელეკომპანიისადმი ინტერვიუში დიასახლისმა ელვირა დე ოლივეირამ, და ამაყად უჩვენა კორესპონდენტს მოფუთფუთე ნადავლი.

იტალიელი ტაქსისტები მეთანს ამჯობინებენ



გაზი... მეთანი?.. საქითხავი აი ეს არის!

იტალიის ნავთობგაზქიმიური კონცერნის ენი-ს გაერთიანების ექსპერტებმა მოაწყვეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და დაადგინეს: იტალიელთა 65 პროცენტი თანახმაა ქალაქის ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფების გადიდებისა, ოღონდ იმ პირობით, თუ ავტომანქანების უმრავლესობა გაზის სათბობზე გადავა.

სტატისტიკა მოწმობს: 500 მილიონი ავტომანქანიდან, რომლებიც მსოფლიო გზებს სერავენ, 1,2 მილიონი „იკვებება" ბუნებრივი გაზით — მეთანით, რომელიც არ შეიცავს გოგირდს, ტყვიას და სხვადასხვა მინარევებს. იტალიაში მეთანის ავტოპარკის წილი უფრო მაღალია — ყოველი მეასე ავტომობილი მუშაობს გაზით. მცირე ღირებულება და ეკოლოგიური სისუფთავე — აი, რა არის პოპულარობის მიზეზი. 2000 წლისათვის გაზისსათბობიანი მანქანების რაოდენობა 5-ჯერ გაიზრდება, ხოლო „ფიატი" უკვე 3 წელიწადია ეწევა მეთანით მომუშავე „კრომა" ავტომობილების სერიულ წარმოებას.

კომპრომისს ვერ მიაღწიეს

გაზეთი „დი ველტი" ამუქებს ბორის ელცინის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და რუსეთის პოლიტიკური სიტუაციის განვითარებას. გაზეთის პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ოფიციალურად გამოცხადებულმა პრეზიდენტის გამოჯანმრთელებამ ვერ შეიტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერავითარი ცვლილება ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკის მხრივ. გაზეთი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ კრემლში ელცინის გამოჩენის მიუხედავად რეალური ძალაუფლება რჩება იმ ჩინოვნიკების ხელში, რომლებსაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. გაზეთი აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ელცინის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას არ მოჰყოლია რუსეთისა და ნატოს ურთიერთობის პრობლემების გადაჭრა. მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებაზე ელცინმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა თავიანთი შეხვედრის 90 პროცენტი დაუთმეს სწორედ ამ საკითხს, მაგრამ კომპრომისს მაინც ვერ მიაღწიეს.

რომის პაპმა ისრაელის პრემიერი დალოცა

კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა იოანე პავლე მეორემ მიიღო ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ. დპა-ს სააგენტოს ინფორმაციით, აუდიენცია მიეძღვნა წმინდა ადგილებში რომის პაპის ვიზიტს, რომელიც უახლოეს ხანს არის დაგეგმილი. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ კათოლიკური ეკლესიის მეთაურის მომავალი ვიზიტი ისრაელში დიდად შეუწყობს ხელს ებრაული სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცებას მსოფლიო გაერთიანებაში. ამ ბოლო დრომდე, იხსენებს სააგენტო, ისრაელს მკაცრად აკრიტიკებდა ვატიკანი, რომელსაც არ სურდა მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. მხარეებმა საელჩოები მხოლოდ 1994 წელს გაცვალეს.

მსხვილკალიბრიანი არჩევნები

მწვავე პოლიტიკური ბრძოლა უძღოდა წინ პაკისტანის საპარლამენტო არჩევნებს. მთავრობამ ძალადობის აფეთქებისა და მოქიშპე პარტიებს შორის ამკარა შეტაკებათა შიშით დასახმარებლად მოუხმო არმიას.

ქვეყნის დასახლებულ პუნქტებში პოზიციები დაიკავა 250 ათასმა ჯარისკაცმა. სურათზე თქვენ ხედავთ, როგორ აირჩია ერთმა მათგანმა საარჩევნო უბნის მოპირდაპირე სახლის სარკმლის გისოსი მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის დასაყენებლად.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

სხვისი თვალით

როცა თვალები გაგირბის

მაიკლ გორდონი
„ნიუ-იორკ ტაიმსი“.

ქართველებმა ეს ყველაზე ბოლოს შეიტყვეს. ამ ქვეყნის ხელისუფლებთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე რუსმა მესაზღვრეებმა, რომლებიც ჯერ კიდევ პატრულობენ საქართველოს საზღვრებს, ხელში ჩაიგდეს უკრაინის გემი „ალმაზი“ და მიიყვანეს იგი საქართველოს ბათუმის ნავსადგურში. რუსეთის სამხედრო ძალის უხეშმა და დამამცირებელმა დემონსტრაციამ ქვეყანაში გამოიწვია დისკუსია რუსეთის ჯარების ყოფნის განგრძობის მიზანშეწონილებისა და საქართველოს ახალი, უფრო დასავლური ორიენტაციის შესახებ.

„სასაზღვრო ჯარების გენერალი მოსკოვში დარწმუნებულია, რომ მას დღესაც შეუძლია კონფისკაციაჰყოს ესა თუ ის გემი საქართველოს დაუკითხავად, — განაცხადა ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. — ეს მოწმობს აზროვნების ინერციას“. „ისინი, ვინც ცენტრში იყვნენ, მიეჩვივნენ, რომ მათს სიტყვას კანონის ძალა აქვს, და ისინი, ვინც პერიფერიაში არიან, უნდა დაემორჩილონ“, — თქვა შევარდნაძემ.

მოიპოვა რა დამოუკიდებლობა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს ამაყი და ლატაკი ერი, რომლის რიცხოვნობა 5,5 მილიონს შეადგენს, შეუდგა თავისი ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლას — რუსეთიდან დასავლეთზე. თურქეთი და არა რუსეთია ახლა საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი. დასავლეთი, და არა უსახსროდ დარჩენილი მოსკოვია კრედიტებისა და უცხოური დახმარების ძირითადი წყარო. საერთაშორისო სავალუტო ფონდი — ეს არის ერთადერთი სავაჭრო ორგანიზაცია, რომელსაც წარმომადგენლობა აქვს თბილისის ცენტრში აღმართულ მთავრობის შენობაში.

საქართველოს დიდი გეგმები აქვს დასავლელი სავაჭრო პარტნიორების მიმართ. მარტში უნდა დაიწყოს მილსადენის მშენებლობა, რომლითაც გადაიტუმბება ნავთობი კასპიის ზღვის რეგიონიდან საქართველოს შავიზღვისპირა სუფსაში. ეს მილსადენი, როგორც ვარაუდობენ, საქართველოს ყოველწლიურად მოუტანს მოკრძალებულ შემოსავალს 8 მილიონი დოლარის ოდენობით. მაგრამ საქართველოს ოფიციალური პირნი გამოთქვამენ იმედს, რომ იგი საქვეყნოდ ცხადყოფს ამ სახელმწიფოს, როგორც სავაჭრო გზაჯვარედინის, პოტენციურ შესაძლებლობებს. საქართველო უკვე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც უზბეკური ბამბის ტრანზიტული გზა — უზბეკეთს პირველად მიეცა შესაძლებლობა გაიტანოს თავისი ბამბა უცხოეთის ბაზრებზე რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. ამასობაში კი რუსეთისა და საქართველოს დამაკავშირებელი რკინიგზები და საავტომობილო მაგისტრალები გადაკეტილია ჩამოცილებულ აფხაზეთში არასტაბილური ვითარებისა და მეზობელ ჩეჩნეთში ამასწინანდელი ომის გამო, რომელსაც სურს რუსეთს გამოეყოს.

„წინათ ჩვენ საბჭოთა კავშირში ვიყავით მიბმული ნედლეულისა და ბაზრების გამო, — თქვა ზურაბ ჟვანიამ, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა. რუსეთი ჰკარგავს თავის პოზიციებს ჩვენს ბაზარზე როგორც ტრადიციულად გაბატონებული ძალა და რუსეთზე საქართველოს დამოკიდებულება მკვეთრად კლებულობს“.

ყველაფერი ჭირს. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან საქართველომ რთული პერიოდი გადაიტანა სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის მხრივ გამოწვევის გამო. ეკონომიკა დეპრესიაში აღმოჩნდა. საშუალო თვიური ხელფასი კერძო სექტორში შეადგენს დაახლოებით 40 დოლარს, მთავრობის მონაცემების თანახმად, ხოლო სახელმწიფო მოსამსახურენი საშუალოდ იღებენ 16 დოლარს თვეში. ყოველთვიური პენსიით შეიძლება მხოლოდ ორი პატარა ნაჭერი ხორცი იყიდო.

ელექტროენერგიის უკმარისობის გამო მთავრობა ზღუდავს მის მოხმარებას. როდესაც ელექტრონის მიწოდება წყდება, ქუჩებში ტროლეიბუსების რიგი დგება, ლიფტები ჩერდება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ინფლაცია 1994 წლის ყოველთვიური 62 პროცენტიდან დღეს 2 პროცენტამდე და მეტად შემცირდა. შემოღებულია ახალი ვალუტა. ქუჩებში საშიში აღარ არის სიარული, ხოლო დასუსტებულ ეკონომიკაში დაისახა მატება დაახლოებით 10 პროცენტის ოდენობით, რამაც საქართველო გადააქცია ერთ-ერთად იმ რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის, სადაც ეკონომიკის ზრდა დაიწყო.

მაგრამ თუმცა საქართველო თავის მომავალს სავაჭრო გზაჯვარედინის როლში ხედავს და ამჯობინებს კაპიტალისტური დასავლეთის უმცროსი პარტნიორი იყოს, გეოგრაფიულად იგი რუსეთის გავლენის სფეროს ეკუთვნის. დასავლეთს აქვს ფული. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს არ სურთ მფოთიანი კავკასიის პრობლემებში გარეულნი აღმოჩნდნენ, რამაც საქართველო აიძულა მიემართა რუსეთისათვის უშიშროების უზრუნველსაყოფად. მას შემდეგ, რაც დასავლეთის ქვეყნებმა საქართველოს აგრძნობინეს, რომ ისინი არ არიან დაინტერესებულნი აფხაზეთში გაეროს მშვიდობისმყოფელი ძალების განლაგებით, შევარდნაძემ გარიგება დაუდო რუსებს. საქართველო რუსეთს შეჰპირდა ხუთ სამხედრო ბაზას თავის ტერიტორიაზე, რის სანაცვლოდაც რუსეთი უნდა დახმარებოდა აფხაზეთისადმი კონტროლის აღდგენასა და მცირერიცხოვანი ქართული არმიის აღჭურვაში. რუსეთის ჯარების რიცხოვნობა უკვე დაახლოებით 8 ათას კაცს შეადგენს, და რუსებთან შეთანხმება ოფიციალურად დააკანონებს ამ ძალების სტატუსს, საშუალებას მისცემს რუსეთს გააფართოოს თავისი სამხედრო ყოფნა და მიანიჭებს დამატებითს შესაძლებლობას, განახორციელოს მანევრები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ზღუდავს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების რიცხოვნობას.

ბევრი ქართველისათვის ეს შეთანხმება აბუჩად აგდებაა — აკი სწორედ რუსეთის ფარულმა მხარდაჭერამ მისცა შესაძლებლობა პრორუსულად განწყობილ აფხაზებს ხელში ჩაეგდოთ, რუსების აზრით, სტრატეგიული მნიშვნელობის შავიზღვისპირა მონაკვეთი. „რუსეთს აქვს აფხაზეთის გასაღები, — თქვა შევარდნაძემ. — თუ იგი ამ გასაღებს სწორად იხმარს, მაშინ მიიღებს ბაზებს“.

მაგრამ თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგა, დასძინა შევარდნაძემ, „საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს შეთანხმებას რუსეთისათვის სამხედრო ბაზების მიცემის შესახებ“.

საქართველო, აგრეთვე, დათანხმდა, ნება დაერთოს 10 ათასზე მეტ რუს მესაზღვრეს უპატრულონ თურქეთის საზღვარს და შავი ზღვის სანაპიროს. ქართველ მესაზღვრეთა მცირერიცხოვანი კონტინგენტი, რომელიც 5 ათასს შეადგენს, სხვა საზღვრებს პატრულობს. საქართველოს ოფიციალური პირნი ამბობენ, რომ რუსი მესაზღვრეები ქრთამს იღებენ და, რაც თბილისთან შეთანხმებას ეწინააღმდეგება, ახორციელებენ საბაჟო კონტროლს, რითაც ძირს უთხრიან საქართველოს ძალისხმევას თურქეთთან და ევროპასთან ვაჭრობის გასაფართოებლად.

შემდეგ მოხდა ინციდენტი „ალმაზთან“ დაკავშირებით, რომლის შესახებაც საქართველოს ოფიციალურმა პირებმა, როგორც ისინი ამბობენ, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყვეს უკრაინელი დიპლომატებისაგან. რუსების მოქმედებით გაწბილებულმა საქართველოს ოფიციალურმა პირებმა ჩუმჩუმად დაიწყეს გზების ძებნა რუსი მესაზღვრეების შესაცვლელად. როგორც საქართველოს წარმომადგენლები გვაცნობებენ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ცოტა ხნის წინათ მიმართა გერმანიას დახმარების თხოვნით.

საქართველო ასევე მიმართავს დასახმარებლად ამერიკელებს, რათა შეცვალონ რუსი მესაზღვრეები. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ამ პრობლემას დიდი სიფრთხილით უდგება. ვაშინგტონი შიშობს, საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდები რომ მისცეს, ვაითუ მან ეს ხომალდები აფხაზეთში მიმავალი თურქული ტვირთის გზაში დასაჭერად გამოიყენოსო, რითაც ვნება მიადგება ნატოს წევრს — თურქეთს და მის მომხრეებს კონგრესში.

„პრობლემა ის არის, რომ რუსებს ჯერ კიდევ ხელთ აქვთ ბევრი აქაური ბერკეტი და ჩვენ ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ“, — თქვა კახა ჩიტაიამ, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

„მაგრამ იმას, რომ ჩვენ რუსეთს მოწყვეტილი ვართ, ძალზე საინტერესო შედეგები მოჰყვა, — განაგრძო ჩიტაიამ. — ქართველებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე რუსების დაუხმარებლადაც შესძლებიათ ასე თუ ისე უშველონ თავს. ჩვენ შემზარავი დრო გადავიტანეთ. მაგრამ მაინც, გადავიტანეთ და გადავრჩით“.

ოღონდ მიუშვით!

სოფრომაძის ილუზიები „მეტეხ-პალასიდან“

ისე გამოდის, რომ დღეს ყველას ყველგან შეუძლია პრეზენტაციის გამართვა, ან პრესკონფერენციის ჩატარება, — თუნდაც იმ ფეშენებელურ „მეტეხ-პალასში“...

ამჯერად ბიზნესმენი ვასილ სოფრომაძე გვიმასპინძლებს, 33 წლის იმიგრანტი. მუშაობდა რუსეთშიც, ისრაელშიც. 1989 წელს ჩამოაყალიბა საკუთარი ფირმა „იტუსი“. ამ ფირმამ თავისი საქმიანობა დაიწყო 150 დოლარით. არასოდეს აუღია კრედიტები, არასოდეს ჰქონია სახელმწიფოს ვალი და... 1995 წლის შედეგებით სანკტ-პეტერბურგის ბიუჯეტში შეიტანა 1.100.000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ამერიკული დოლარის ეკვივალენტის თანხა.

ფირმის პროფილი — თითქმის უნივერსალური — ძირითადად მაინც ტურიზმი, მედიცინა, მშენებლობა...

ერთი სიტყვით, უზარმაზარი საქმე, უზარმაზარი შემოსავალი და... გამაოგნებელი ნაბიჯი... ვასილ სოფრომაძეს 16 წლის შემდეგ „უცებ“ გაახსენდა, რომ ქართველია, რომ მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ ცოცხლობს ქართული და...

იგი სტოვებს ყველას, ყველაფერს, საკუთარ ცოლშვილსაც კი. გამორბის საქართველოში. უჭირს სამშობლოს. მას მხარში უნდა ამოუდგეს, არა მარტო სანუგეშო სიტყვა უთხრას, არამედ პრაქტიკული საქმეც აკეთოს...

თუ გახსოვთ, „პეტერბურღიდამ“ ილია ჭავჭავაძეც სწორედ ამ ფიქრებითა და მიზნებით წამოვიდა თავის დროზე!

ვასილ სოფრომაძემ აქ თავის გამოჩენის, ნიჭის გამომჟღავნების, იდეის გაქანების ვეებერთელა ფრონტი ნახა: სოფლის მეურნეობა, მედიცინა, განათლება, ენერგეტიკა, განსაკუთრებით ენერგეტიკა...

რატომ? სწორედ აქაა, — არც მეტი, არც ნაკლები — ერის კრიზისი. ჩვენი ჰესები უნდა გამოიმუშავებდნენ 850 მეგავატს, სინამდვილეში გამოიმუშავებენ... 248-ს.

ჰესი მუშაობს, დენი არსად არ მიდის, — არის ასეთი შემთხვევები. 60.000 დოლარის ღირებულების გენერატორი იწვის, შენობას ჭერი არა აქვს. ამას 1.000 დოლარიღა სჭირდება. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ამ თანხას ვერ „შოულობს“. ან ასეთი მინისტრია გასაშვები ან ასეთი სამინისტროა დასაშლელი... ასეთია სოფრომაძის კატეგორიული დასკვნა.

ვასილ სოფრომაძეს შეუძლია ჩვენ მოგვცეს 10-ჯერ უფრო იაფი ელექტროენერგია. თანაც გაცილებით მეტი, ძველებურად თავსაყრელი, ოღონდ მიუშვით! მან იცის როგორ გააკეთოს ეს. კრედიტები არ უნდა. არც სახელმწიფოს ვალი. ჯერ თავად ხარჯავს. მერე აუნაზღაურეთ, ოღონდ მიუშვით!

და ასე — სოფლის მეურნეობაშიც, მედიცინაშიც, განათლებაშიც... ყველგან აგვაყვავებს, ყველგან გაჭირვებიდან ამოგვიყვანს.

მარტო ეს?

აფხაზეთი დაკარგულია სამუდამოდ, მას ჩვენ ვეღარ დავიბრუნებთ ვერც მშვიდობიანი გზით, ვერც ომითო... ვასილ სოფრომაძემ იცის გზები, რომლებითაც შეიძლება აფხაზეთის დაბრუნება. უფრო მეტიც, ვასილ სოფრომაძეს ძალუძს საქართველოსადმი თავიანთი დამოკიდებულება შეაცვლევინოს რუსეთს, თურქეთს, თვით აშშ-ს, ცხადია, დადებითისაკენ.

ოღონდ ერთი უცილობელი პირობით, — ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მომავალ არჩევნებში კენჭი აღარ უნდა იყაროს. საქართველოს მომავლისათვის სხვა პიროვნებაა საჭირო. იქნებ ისეთი, როგორიც თვითონ!

ოჰ, მაპატიეთ!

მოკლედ, მოგვევლინა უდიდესი აღმაშენებელიც, უდიდესი პოლიტიკოსიც. მარტო დროს ითხოვს — ცოტა მაცალეთო.

დღეს ბევრი ამბობს, — ქართველი ხალხი გაოგნებულიაო. მე არ ვთვლიდი ჩემს თავს გაოგნებულად. ამ პრესკონფერენციის შემდეგ კი... არ ვიცი რა ვთქვა...

ნეტა ვინ მოგვევლინა? ყოვლისშემძლე ბიზნესმენი თუ ჩვეულებრივი ილუზიონისტი?

ბონდო გულიაშვილი.

გახსენება

თამაზ სუდაძე

ჩვენო ძვირფასო თამაზ! რა მალე მიილია ორმოცი დღე, შენი ამქვეყნიური ცხოვრებიდან უდროოდ წასვლის უმძიმესი, ცრემლიანი დღეები. ჩვენი ტკივილი მოუშუშებელია, ვერ გაანელა იგი განვლილმა დღეებმა, არ ყოფილა დრო მკურნალი; ვერ უშველა მან ჩვენს უსაზღვრო ტკივილს, ვერ მოგვიშუშა შენი დაკარგვით გამოწვეული იარა, არ შეგვშრობია თვალზე ცრემლები. ან კი როგორ ვძლებთ უშენოდ... როგორ უსაზღვროდ გვიყვარდი, როგორ ვამაყობდით შენი კაცური კაცობით. შენ ხომ მარტო ჩვენ არ გვეკუთვნოდი, შენი დიდი კაცობით ყველას უნაწილებდი სიყვარულს, უსაზღვრო სიკეთეს თესავდი და აკი მთელმა საქართველომ დაგიტირა. იშვიათად ვინმეს რგებია ასეთი გულითადი ლაფასება, რაც შენი სიკეთის, ქველმოქმედების და უანგარობის შედეგი იყო უსათუოდ.

ჩვენო საყვარელო და დაუვიწყარო თამაზ! ამიერიდან შენი სული ზეცაში, მარადიულობაში გადავიდა და ალბათ გაუნათებ გზას შენნაირი კაცურ კაცობისაკენ შენს ერთადერთ ვაჟიშვილს.

რაოდენ გვაკლიხარ, როგორ გვაკლია შენი მოფერება, შენი ალერსი, განუმეორებელი ღიმილი. ამიტომაც ძალიან, ძალიან გვიჭირს უშენობა ყველას;

ო, როგორ გვენატრები, ჩვენო თამაზ!
ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენგან დამწუხრებული მეუღლე, შვილი, მშობლები.

წითელი ჯვარი [illegible] მარტოხელა პენსიონერთა დახმარების მეორე რაუნდს

გასულ კვირას საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ დაიწყო სოციალურად დაუცველი მოსახლეობისადმი ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის მეორე რაუნდი.

პროგრამის დონორია ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისი (ECHO) და ბრიტანეთის წითელი ჯვარი. ზემოაღნიშნული პროგრამა გახლავთ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციის პროგრამის ნაწილი, რომელიც მთლიანად 50 000 მარტოხელა პენსიონერს მოიცავს სრულიად საქართველოს მასშტაბით.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება პროგრამას განახორციელებს დედაქალაქის ათივე რაიონსა და დასავლეთ საქართველოს 3 რაიონში: ბაღდათი, აბაშა და ჩხოროწყუ, აგრეთვე აჭარის ერთ რეგიონში — ქობულეთში.

ქალაქ თბილისში მარტოხელა პენსიონერებისათვის განკუთვნილი სასურსათო ამანათების განაწ იწარმოებს შემდეგი თანამიმდევრობით:

რაიონი	დაიწყება	დასრულ
მთაწმინდა	დაწყებულია	6 თებერ
ვაკე	დაწყებულია	11 თებერ
ისანი	დაწყებულია	18 თებერ
დიდუბე	6 თებერვალი	18 თებერ
კრწანისი	11 თებერვალი	18 თებერ
ჩუღურეთი	18 თებერვალი	28 თებერ
საბურთალო	18 თებერვალი	4 მარტი
ნაძალადევი	18 თებერვალი	12 მარტი
გლდანი	28 თებერვალი	14 მარტი
სამგორი	4 მარტი	13 მარტი

ამანათშია პურის ფქვილი, ბრინჯი, ზეთი, ლ მაკარონი, შაქარი, საფუარი, საპონი, სან ასანთი, ხორცის კონსერვი.

მარტოხელა პენსიონერთა სიები შედგენილია რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში მოწოდებულია წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო დერაციის აღმოსავლეთ საქართველოს ოფისის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს წითელი ჯვრის საინფორმაციო სამსახურს, ტელეფონით: 95-13-86.

ბინები, აგარაკები

იყიდება სამოთახიანი იზოლირებული, ინდივიდუალური პროექტის ბინა ქ. ხაშურში, ფასი 2 500 დოლარი. ან იცვლება ქ. თბილისში 1,5 ოთახზე. მსურველმა მიაკითხოს ქ. ხაშურში ჩაიკოვსკის ქ. № 1-ში (პატარა ბაზართან). ავთო.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება სამოთახიანი ბინა ვაკეში, ყიფშიძის ქუჩა № 8, 12-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, გარაჟით ორი მანქანისათვის და გარაჟის ქვეშ სარდაფი 12 კვ. მ. ბინის საერთო ფართია 100 კვ. მ. ტელეფონი: 29-34-11.

იყიდება საკუთარი ბინა ბელეტაჟზე; სამი ოთახით, ლოჯიით, სამზარეულოთი და ტელეფონით. 55 კვ.მ. სათავსოებით. აქვს პატარა ბაღი, ხეხილით. მისამართი: ნაძალადევის რ-ნი, კ/თ. „საქართველოსთან“. საწყისი ფასი. 14 000 დოლარი. ტელ: 60-73-12. დარეკეთ საღამოს საათებში.

ქირავდება ქალაქის ცენტრში ერთი ოთახი თავისი სათავსოებით, მისამართი: მთაწმინდა, ყიფიანის 7. მე-3 სართული. მიქელაძე ეთერი. 93-52-07.

იყიდება, წყნარ და ეკოლოგიურად სუფთა ადგილას 2-სართულიანი სახლი, ეზოთი, ხეხილიანი ბაღით, ტელეფონით. I სართულზეა მარანი, სამზარეულო, დიდი დარბაზი, გარაჟი; II სართულზეა 7 ოთახი (ფართი 25X25X21X16X14X14X12) სამზარეულო, შესასვლელი, აბაზანა, ტუალეტი, პირსაბანი ცალ-ცალკე. ეზოში ცალკე სამეურნეო კაპიტალური ნაგებობა, რომელზეც შესაძლებელია დაშენება. სინათლე და ცხელი წყალი მუდმივად არის. მისამართი: საქ. სამხედრო გზის მე-15 კმ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის იქით, ავტოინსპექციის ტეკთან), საბურთალოს რაიონი. გთხოვთ დარეკოთ: 34-55-27, ნანა ან ვალერი.

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან“ ახლოს, ტელ.: 36-48-87.

ვყიდი ოროთახიან ბინას დიდი ლოჯიით, სარდაფით, მანქანის ადგილით, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. მე-10 კორ. ბინა 43, ტელ.: 31-56-97.

ვიყიდი ერთოთახიან, ურემონტო ბინას გლდანულაში, ან გლდანის მასივში. ტელ.: 93-10-83 ინგა, დღისით 68-43-59 საღამოს, მაია.

სასწრაფოდ იყიდება კერძო, კაპიტალური, ერთოთახიანი სახლი ბუხრით, 25 კვ. მ. ფართობით, სახლს აქვს მიშენებული რკინის კარკასი ერთი ოთახისათვის 15 კვ. მ. ფართობით, ეზოს ფართია 1000 კვ. მ. მისამართი: გურამიშვილის გამზირი, 70, ჩიხი № 10. მე-8 საავადმყოფოს გაჩერების მოპირდაპირე მხარეს. ფასი 14000 დოლარი. მოგვაკითხეთ 12-დან 18 სთ-მდე. ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.

სასწრაფოდ იყიდება სამსართულიანი სახლი ავლაბრის ბაზართან, კარგად გარემონტებული, ეზოთი, გარაჟით, გამოდგება საოფისედ. ტელ: 95-74-63.

იყიდება კოსტავას ქუჩაზე, სპორტის სასახლესთან 7-ოთახიანი ბინა კარგად გარემონტებული. ტელ: 95-74-63.

ვყიდი ქავთარაძის ქ. № 25-ში ოროთახიან, კეთილმოწყობილ, გარემონტებულ ბინას მე-13 სართულზე. ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 30-44-11. მანანა.

ვაქირავებ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას დიღომში, პროსპექტზე, მეტროსთან ახლოს, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 34-37-31.

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ბახტრიონის ქუჩაზე. (20x14x13x9), ლოჯი 18 კვ.მ. მიშენება 38 კვ.მ. 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე სარდაფით, რკინის კარებით, წყლის გამაცხელებლით, საკაბელო ტელევიზიით. ფასი 57000 დოლარი. ტელეფონი: 37-75-41. 17 საათის შემდეგ.

იყიდება ხუთოთახიანი, არასტანდარტული პროექტის ახლადაშენებული ბინა ატენის ქუჩაზე, ვაკეში (დარჩენილია სამღებრო სამუშაოები). 18-სართულიანი კორპუსის მე-9 სართულზე. 220 კვ.მ. საერთო ფართით. საწყისი ფასია 120 000 დოლარი. ტელ: 99-72-18, 34-16-07, იკითხეთ ბიჭიკო.

ვყიდი შატბერაშვილის ქ. № 4-ში, ბინა 36, ქუჩიდან მაღალ ბელეტაჟზე, ეზოდან მე-2 სართულზე, არასტანდარტულ 3-ოთახიან ბინას, რომლის ფართობია 120 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-26-45.

იყიდება სამსართულიანი აგარაკი სოფელ გლდანის თავზე, რემონტით, საუნით, ეზოში აუზით, კაპიტალური გარაჟით, საკუთარი გათბობით. ფასი 12 000 დოლარი. ტელ: 95-30-47. ჯიმშერი.

იყიდება ვაკეში, ვაკის პარკთან, მოსაშვილის ქუჩაზე, 6-სართულიანი სახლის მესამე სართულზე 2,5 ოთახიანი ბინა ლოჯიითა და მისი გაფართოების პერსპექტივით (1 სართული უკვე მიშენებულია 22 კვ.მ.) ძველი რემონტით, რკინის კარებით, ტელეფონით, ავტომანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-30-13 (საღამოს საათებში).

ქირავდება საოფისედ ვაკეში ერთი ოთახი, რომლის ფართია 14 კვ.მ. და სარდაფი 12 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-65-15.

ქირავდება ვერაზე, ბარნოვის მე-2 შესახვევში ოროთახიანი ბინა, რომლის ფასია თვეში 150 დოლარი. წინასწარ სამი თვის გადახდით. ტელ: 36-49-12. თამაზი, ნელი.

იყიდება ოროთახიანი ბინა ვაშლიჯვარში ცხრასართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ბინაში მიმდინარეობს რემონტი, შესრულებულია შავი სამუშაოები, ფასი 12 000 დოლარი. ტელ: 95-06-03.

იყიდება, ან იცვლება ქალაქის ცენტრში, მეტრო „გოცირიძესთან“, (ყოფილი დელისი) სახლი 10X14, პირველი სართული სქელი ბეტონისაა (სისქე 60 სმ. აგურის ტიხრებით), სარდაფით, ჭერის სიმაღლეა 2-60 სმ. მეორე სართული (თლილი ტუფითაა აშენებული, ტიხრები აგურისაა), ჭერის სიმაღლეა 3-50, 500 კვ.მ. ხეხილის ბაღით, მუდმივი ცხელი წყლით, საუკეთესო ხედით, ძირითადი სარემონტო მასალით, ღია აივნით, დაშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-26-54. დილით და საღამოს.

ვაქირავებ ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-6 კვარტალში, ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ტელეფონით, ავეჯით, ტელევიზორით, მაციერით. ფასი 100 დოლარი. ტელ.: 37-36-37, გიორგაძე.

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი, პერსპექტიული ბინა — ვაჟა-ფშაველას გამზირი 30, VI სადარბაზო IV სართული, ბინა — 87, სამედიცინო ინსტიტუტის მოპირდაპირე მხარეს. ვაჟა-ფშაველას მხრიდან აივანია. ეზოს მხრიდან (ყაზბეგის პროსპ.) 20 კვ. მ. ლოჯია. გარდა ამისა სახლს 36 კვმ. მშენებარე კარკასები აქვს. ფასი 28 ათასი დოლარი. ტელ.: 29-26-77; 38-67-11.

იყიდება ოთხოთახიანი გადაკეთებული სამოთახიანად, გარემონტებული ბინა მაღალჭერიანი, აგურის ხუთსართულიანი სახლის IV სართულზე სამი აივნით. ოთახების ფართი 32x17x12. არის უხმარი შეფუთული ავეჯი — საძინებელი „ანტონინა“, სამზარეულო „ლილა“, მისამართი: შავი ზღვის ქუჩა № 10, მეტრო 300 არაგველებთან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 68-01-29; 94-19-45; 23-02-46.

ვყიდი სამოთახიან სარემონტო ბინას წყნეთის ქუჩაზე, რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე, ტელეფონით, სარდაფით, ფასი 26000 დოლარი. 23-12-21, 94-12-75, გადი.

ვყიდი ოროთახიან იზოლირებულ, კეთილმოწყობილ ბინას ალმაშენებლის № 26-ში (ვარანცოვის მხარეს) ან ვაქირავებ 200 დოლარად. ტელ.: 96-34-31.

ვყიდი 5 ოთახიან, სარემონტო, სუფთა ბინას ალმაშენებლის № 26-ში, III სართულზე. ტელ.: 96-38-89.

იყიდეთ, იყიდეთ, რამე...

უფასო განცხადებები

სხვადასხვა

იყიდება ახალი აკორდეონი „აკორდი“ 80 ბანიანი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-11-06.

იყიდება პოლონური წარმოების 2 მ. სიმაღლის ტურისტული კარავი (6 კვ. მ. ფართობის წყალგაუმტარი იატაკით და ამავე ფართობის ავტოსადგომით). ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-11-06.

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით — ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი, საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-68-61, 37-06-96.

იყიდება ქარხნული წესით დამზადებული უჟანგავი ლითონის კასრები ტევადობით 300 ლიტრით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სითხისათვის. 1 ცალის საწყისი ფასი 120 ლარი. ტელ.: 34-84-83.

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მეორე გამოცემა, 52 ტომი. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ხარაგაულში, 9 აპრილის 35-ში, ტელ.: 2-11-61.

იყიდება შავი ფერის პიანინო „[illegible]“ ფასი 300 ლარი. იყიდება აგრეთვე ერთსაწოლიანი საძილე, რომელშიც შედის ორკარიანი კარადა, საწოლი და სარკე თავისი სადგამით. ფასი 300 ლარი, საბარგული ტახტი — 120 ლარი, ქუთაისის მაგიდა 22 კაცზე — 150 ლარი, ძველებური კაკლის კარადა — 300 ლარი. ტელ.: 66-07-22.

იყიდება ახალი არაბული მისაღები ოთახის კომპლექტი ექვსი ნაჭრით. ფასი 1400 დოლარი. ტელ.: 61-11-39 ან 61-33-45.

ვამზადებ მოწაფეებს ინგლისურ ენაში ბინაზე მისვლით, შეღავათიან ფასებში. მსურველებს ვთხოვ დარეკოთ ტელ: 93-10-04, თამუნა. 15 საათის შემდეგ.

იყიდება ანტიკვარული, გერმანული პიანინო საშუალო ზომის, მანდლებით, შავი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-75-87, იკითხეთ კობა.

ვყიდი საქსოვ მანქანას კარგ მდგომარეობაში, ფასი 200 ლარი. ასევე თეთრ საძინებელ გარნიტურს, ფასი 1500 ლარი, სამეულს — 1000 ლარი. ტელ: 99-90-66. მედიკო.

შევიძენთ ავტოგასამართ სადგურებს. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ტელ: 99-72-18 (34-16-07) იკითხეთ ილია, ლევანი;

იყიდება მსუბუქი ავტომანქანა „ზიმის“ ახალი სათადარიგო ნაწილები: 1. კაპოტი, საბარგულის სახურავი; უკანა საქარე მინა; გვერდითი სარკმელები; ძარის მონიკელებული ნაწილები; ბენზინის ავზი; სიჩქარეთა კოლოფი; გიდრომუფტა; წინა და უკანა ხიდების დეტალები; ტრავესი; და სხვა მრავალი წვრილმანი. ტელ: 23-57-18.

იყიდება თერთმეტი ცალი ბალტიისპირეთის სკამ-სავარძელი, ავეჯის დიქტი სისქით 20 მმ, 155 სმ.X155 სმ. საველე თერმოსი 24 ჯამით; წყლის თერმოსი 50-ლიტრიანი; ფრანგული თეთრი აკმიგრანი ჭერისათვის, თვრამეტმილიმეტრიანი არმატურა II კლასის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-38-34, 18 საათიდან.

იყიდება როიალი „ფრიდრიხ ფრერე“ და პატარა კაბინეტი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-95-47.

იყიდება რუსეთის ქარხნული წარმოების ღვინის ბოთლის საცობები, 8000 ცალი. ცალის ფასია 8 თეთრი, ტელ: 93-46-83.

იყიდება ანტიკვარული გერმანული პიანინო შანდლებიანი „შრედერი“. ფასი შეთანხმებით. 95-74-60, გოგი.

იყიდება მოხარშული კაკლის ხის ძველებური გერმანული საძინებელი გარნიტური, რომელიც სარესტავრაციოა. ფასი შეთანხმებით. 95-70-58.

იყიდება ნახევარი ტონა თეთრი ქაღალდი, რომელიც გამოიყენება ბროშურის გარე ყდად, კონვერტებად, ეტიკეტებად და ა. შ. ფასი შეთანხმებით.
ტ. 39-47-96.

ვყიდი რუსეთის ახალ ელექტროგენერატორს 2 ვოლტის სიმძლავრისას. იგი არის 230 ვოლტის ერთ ფაზიანი. ფასი 500 დოლარი. ტელ: 95-50-55 ან 36-41-23.

ვყიდი ჩეხურ ორპედლიან პიანინო „პეტროფს“. კარგ მდგომარეობაშია. ფასი 900 ლარი. ვყიდით ამასთანავე იაპონური ყავის სერვიზს „დრაკონს“ 6 კაცზე. საწყისი ფასი 170 ლარი. ტელ: 74-37-08, ქეთუნა.

იყიდება ორასკილოვატიანი სიმძლავრის დიზელგენერატორი. იყიდება აგრეთვე გერმანული ძეხვის ცელოფანი. ტელ: 38-58-60, გია.

ვყიდით იუგოსლავურ ხუთ სექციან „კედელს“. ტელ: 22-51-26.

სასწრაფოდ იყიდება ახალი არაბული ავეჯის კომპლექტი სასადილო ოთახისთვის, სულ 6 ნაჭერი ჩუქურთმებით, ხავერდი მუქფერებში, ფასი 1370 დოლარი. 61-11-39 ან 61-33-45.

[illegible] აპარატი „[illegible]“, ლაზეროთერაპიის აპარატი „ИСКРА-1“, გერმანული წნევის გასაზომი აპარატი, წყლის გამოსახდელი, წარმადობა 6 ლიტრი საათში. ლაბორატორიული ელექტროსარეველა, კომპრესორი ინჰალიატორისათვის, საპროცედურო საათი. ტელეფონი: 22-22-46.

იყიდება ახალი არაბული წარმოების ორი სავარძელი, მასიური ხის, ჩუქურთმებიანი და ჟურნალის მაგიდა მარმარილოს ზედაპირით, ფასი 600 დოლარი. 61-11-39, 61-33-45.

ვაქირავებ ი. ჭავჭავაძის ზირზე მდებარე კეთილმოწ კაპიტალურ გარაჟს, ფართ 25X18 კვ. მ. გამოდგება კომ ციული ან სხვა საქმიანობისათ ფასი შეთანხმებით.ტელ.: 22-22

იყიდება იაფად ჩეხური წარ ების კაფელი, სალათისფე („პენკა“) ფასი შეთანხმებით. ტ 22-65-15.

იყიდება სამი ცალი 18- ნი ემალირებული აუზი, ერ ლის ფასია 1000 დოლარი. ა ვე მესადუღებელი აპარატი კი“, გაზის მოტორით, ფასი 14 დოლარი. 30-37-09 (საღამოს).

იყიდება ანტიკვარული გამ ცმლის კაკლის კარადა; კარგ მ გომარეობაშია. ფასი 100 დოლარ ტელ: 71-08-76.

იყიდება წითელი ხისაგან დ მზადებული ანტიკვარული კომო ფასი შეთანხმებით. 93-37-86. (დღ საათებში).

ავტომანქანები

იყიდება ავტომანქანა „ფორ სიერა“, რომელიც გამომუშავებუ 1984 წელს. მანქანა თეთრი ფ რისაა და ორკარიანია, მოტ რის სიმძლავრე 1,6 მოცულობის აქვს ყველა სათადარიგო ნაწ ლი, ფასი შეთანხმებით. ტელ: 3 59-20, 31-59-52, 31-93-79, ზაურ გურამი.

იყიდება „გაზ-69“, ძალიან კა მდგომარეობაში, ახლად გაკე ბული ძრავითა და ხიდით, ფ სი შეთანხმებით, ან იცვლება ა რაკზე. დარეკეთ: 95-19-53, დათ

იყიდება ტრაქტორი „ტ-16“ წლის. უკანა მხარეს დამონტ ქებული აქვს ამწე და მისაბმ ლი მექანიზმი, თან მოჰყვება წინ და უკანა ახალი საბურავები სხვადასხვა ნაწილები. ფასი შ თანხმებით. ტელ: 64-36-88.

იყიდება „უაზი“- 471, უფან რებო, 1989 წლის გამომუშ რბენი 1000 კილომეტრი. ფასი 800 დოლარი. ტელ: 93-37-86. ბი.

იყიდება ავტომანქანა „ვაზ მარკის [illegible], 4200 ტრის [illegible], კარგ მდგომ ფასი შეთანხმებით. ტელ: 78-5 89, სალ

იყიდება ავტომანქანა „ვაზ ქრომა“, 1988 წლის გამომუშ ფასი 5700 დოლარი. ტელ: 96-2 75, გიორგი.

იყიდება ავტომანქანა „[illegible] ტიკარი“ ახალი ძრავით, კარგ მ გომარეობაშია. [illegible] ტონა. ფასი შეთანხმებით. 71-25-11.

ვყიდი [illegible] ავ ტომანქანა „ვოლგა-21“-ის სათა დარიგო ნაწილებს [illegible] ნა ფრო [illegible] ტელ: 98-40-29.

იყიდება „ბენზ-157“, ძალიან მხიდიანი [illegible] ფასი 2000 დო ლარი. მისამართი: ჩაპაევის სახვევი, № 11, ტელ: 66-70-98.

[illegible] ტელ: 22-22-46.

იყიდება „ვაზ 21-09“ მარკის ავ ტომანქანა 1991 წ. გამომუშავებუ ლი. კარგ მდგომარეობაშია. [illegible] შეთანხმებით. ტელ: 93-10-80.

ვყიდი 1990 წლის გამოშვების „ზაპოროჟეცს“. ტელ: 94-23-43.

სასწრაფოდ იყიდება თეთრი ფერის „ვაზ-21-06“, გამოშვებული 1989 წელს, ფასი 2800 ლარი. 37-28-23, ანიკო.

საზღვარი მარტო ხაზი როდია!

„საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და ამ ხაზის გაყოლებით გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც გამოყოფს საქართველოს ტერიტორიას — ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს მომიჯნავე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან“.

ამ ხაზიდან იწყება სამშობლო. აქ არის აღმართული მისი თავდაცვის კედელიც.

— საზღვარი მარტო ხაზი როდია! არაერთხელ უთქვამს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გენერალ-მაიორ ვალერი ჩხეიძეს.

დიახ, მრავლისმომცველია ეს გამოთქმა.

მტკიცე საზღვარი ქვეყნის უსაფრთხოების, საზოგადოების სტაბილურობის, მოსაზღვრე ქვეყნებთან მეზობლური ურთიერთდამოკიდებულების გარანტია. საუკუნეების მანძილზე დიდი ცვლილებები განიცადა საქართველოს საზღვრებმა. თანდათან შევიწროვდა, შეიზღუდა და დღეს ამიტომაც სჭირდება მას თვალისჩინივით გაფრთხილება. ეს სრულიად საქართველოს, მისი ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი და მესაზღვრეთა წმიდათაწმიდა ვალია.

ბოლო წლებში საქართველო საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში მოექცა, ყველა სფეროში მათთან ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურება — განმტკიცებამ, რასაც მოჰყვა დამატებითი კაპიტალის, ნედლეულისა და სხვა რესურსების შემოტანა და სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსიური ზრდა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხი ახლებურად დააყენა.

მესაზღვრეების წინაშე ახალი ამოცანები დაისახა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა ამიტომაც განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები.

ნაყოფიერი გამოდგა მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნული უშიშროების აპარატთან, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან, მეცნიერებათა აკადემიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან — შეიქმნა კანონპროექტი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“.

კანონი, რომელსაც მალე მიიღებს პარლამენტი, ხელს შეუწყობს საქართველოს ინტერესების დაცვას მის საზღვრებზე.

ლეილა კოშკაძე.

General-Major Valeriy Chkheidze —
With best wishes
CJCS

ვალერი ჩხეიძე (შუაში) ამერიკელებთან. მარცხნივ დგას ჯონ შალიკაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გენერალ-მაიორ ვ. ჩხეიძეს

საქართველო, თბილისი

პატივცემულო გენერალო ჩხეიძევ!

ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენთან შეხვედრა ვაშინგტონში, აშშ-ს სანაპირო დაცვის შტაბში და ბობ კრამეკთან თქვენი ვიზიტის დროს. ასეთი გაცვლები ხელს უწყობს ურთიერთგაგებას და ჩვენი ურთიერთობების სამომავლო განვითარებას. თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საგანგებო მნიშვნელობისაა, ხოლო პროფესიული კავშირები თქვენსა და ადმირალ კრამეკს შორის მნიშვნელოვანი ნაბიჯია სამშვიდობო მოღვაწეობაში. დიდი მადლობა იმ საჩუქრისათვის, რომელიც ჩვენს შეხვედრასა და საქართველოს მდიდარ კულტურას მომაგონებს.

საუკეთესო სურვილებით
ჯონ შალიკაშვილი,
გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარე.

პატივცემულო გენერალო ჩხეიძევ!

მოხარული ვარ, რომ ერთმანეთის გაცნობის, აგრეთვე, ორივე ხალხისა და სამსახურის ინტერესებისათვის სასარგებლო საკითხების განხილვის საშუალება მოგვეცა. ჩვენ მაქსიმალური პირობები შევიქმენით, რომ გასცნობოდით ჩვენს საზღვაო-სასაზღვრო სამსახურს, რაც დაგეხმარებათ ანალოგიური სამსახურის შექმნაში.

გიგზავნით ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ამსახველ ფოტოსურათებს, რაც უთუოდ მოგეწონებათ. ვფიქრობ, როდესაც მას შეხედავთ ხოლმე, დარწმუნდებით, რომ ასეთ ვიზიტებს ერისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

გისურვებთ ყოველივე კარგს და მოუთმენლად ველი აშშ-ს სანაპირო დაცვასა და საქართველოს სასაზღვრო ძალებს შორის თანამშრომლობის გაგრძელებას.

პატივისცემით
აშშ-ს სანაპირო დაცვის
ადმირალი
რ.ე. კრამეკი.



საქართველოს სახელმწიფო საზღვარი

საქართველოს უჭირავს ამიერკავკასიის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი. რესპუბლიკის ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ფსოუს სათავეებიდან (დასავლეთით) ტინოვროსოს მთამდე (აღმოსავლეთით) უპირატესად კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს გასდევს; აღმოსავლეთი საზღვარი ემვება კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ტინოვროსოს მთის ახლოს, გასდევს მდ. ალაზნის ქვემო დინებას და უახლოვდება იმ ადგილს, სადაც ალაზანი ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს; სამხრეთი საზღვარი მიუყვება მდ. იორს, გადადის ივრისა და მტკვრის წყალგამყოფზე, კვეთს მტკვარსა და დებედას, გრძელდება ლოქისა და ნიალისყურის ქედებზე, გადაკვეთს ერუშეთის მთიანეთს, გადადის შავშეთის ქედის გაყოლებით, გადაკვეთს მდ. ჭოროხის ქვემო დინებას და გამოდის შავ ზღვაზე მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით; დასავლეთით, მდ. ფსოუს შესართავსა და სოფ. სარფს შორის აკრავს შავი ზღვა, საზღვრების საერთო სიგრძე 1968,8 კმ-ია, აქედან სახმელეთო საზღვრებისა 1660,4 კმ.

საქართველოს ესაზღვრება ჩრდილოეთით რსფსრ, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთით სომხეთი, სამხრეთ დასავლეთით — თურქეთი. რესპუბლიკის უკიდურესი დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები გადის ა.გ. 40° 05, და 46° 44, ხოლო სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები — ჩ.გ. 41° 07, და 43° 35,. ვერტიკალურად რესპუბლიკის ტერიტორია ვრცელდება შავი ზღვის დონიდან 5068,8 მ-დე (მწვერვალი მხარა). საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნებრივი მრავალფეროვნება. საქართველო განირჩევა რთული რელიეფით. ტერიტორიის თითქმის 2/3 მთაგორიანია. ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ კავკასიონის მთიან სისტემას უჭირავს რესპუბლიკის ფართის 1/3-ზე მეტი. ფართობით რამდენადმე ნაკლებია სამხრეთი მთიანეთი, სადაც ქედებს შორის მთის პლატოები და ქვაბულებიც გვხვდება, მაგრამ მთლიანად ეს ზონაც ნაკლებ ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მეურნეობისა და განსახლების მთავარი არეალია ორ მთიან სისტემას შორის მოქცეული დადაბლებული ზონა და შავიზღვისპირა ზოლი (კოლხეთის დაჭაობებული ნაწილის გამოკლებით), რაც მაქსიმალურადაა ათვისებული და მჭიდრო დასახლებით გამოირჩევა.

იცნობდეთ

ჯავშანჟილეტი

ადამიანის გამომგონებლური ტვინი, ხმალთან ერთად ფარსაც ქმნიდა. ამიტომაც ცეცხლსასროლ იარაღს ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე — ჯავშანჟილეტი.

თანამედროვე ჯავშანჟილეტების კონსტრუქციაში გადატრიალება მოახდინა მაღალგამძლე ქსოვილმა „კევლარ“-მა (მისი საბჭოთა ანალოგია CBM). სწორედ ამ ქსოვილით შეიქმნა მსუბუქი ტყვიაგამძლე ჯავშანჟილეტი, რომელიც ტანსაცმლის ქვეშ ფარულად ტარებისათვის არის განკუთვნილი. ასეთი ჟილეტის წონა სულ 1,5 — 3 კილოგრამია. იგი უზრუნველყოფს 10 მეტრი მანძილიდან მაკაროვის და ნაგანის ტიპის პისტოლეტების ტყვიებისაგან თავდაცვას. თუმცა, ასეთ ჯავშანჟილეტებს აქვთ სუსტი ადგილებიც. ყელის ნაწიბური და ჟილეტის ქვემო ნაწიბური. ამ ადგილებში ტყვიის მოხვედრისას შეიძლება წარმოიქმნას „გვერდითი ეფექტი“ ანუ ტყვია წავიდეს იმ მიმართულებით, სადაც ნაკლები წინააღმდეგობაა. პირველ შემთხვევაში ის მოხვდება ყელში, მეორე შემთხვევაში — ხახაში. ჯავშანჟილეტების მოდელი თანდათან იხვეწება და იქმნება ახალი, უფრო სრულყოფილი. მაგალითად: „შიტ-3“ ჯავშანჟილეტს აქვს სპეციალური „მახე“, რომელიც ხელს უშლის ყელში ტყვიის რიკოშეტს. გულს, თირკმელსა და ღვიძლს კი ფარავს ანატომიური ფორმის ძლიერი ფრაგმენტული ჯავშანი. გვერდები დაფარულია მოსახსნელი ჯავშნის საფარით. დაკომპლექტებულია რეგულირებადი მუცლისქვედა საფარით, მხრებზე დასადები ჯავშნითა და მოსახსნელი ჯავშნიანი საყელოთი. ამ ჟილეტის წონა 1,5 კილოგრამია.

გარდა ამისა, არსებობს საარმიო და პოლიციური ჯავშანჟილეტები, რომლებიც ავტომატურ იარაღზეა გათვლილი. საარმიოებს აქვთ დიფერენცირებული ჯავშანი. მასში მაგარ ელემენტებად გამოიყენება ფოლადი, ტიტანი და ლითონკერამიკა. თუმცა, ასეთ ჟილეტზე, 300 მეტრიდან გამოსროლილი ავტომატური ტყვიების მოხვედრამ შეიძლება კონტუზია გამოიწვიოს (მისი წონა 8-დან 14 კილოგრამია). პოლიციური ტიპის ჟილეტები კი უფრო სრულყოფილია. მათ 4 მმ-იანი მაგარი ჯავშანი აქვთ. ასეთი ტიპის ჯავშანჟილეტები ავტომატ აკ-47-ის ჯავშანგამტარ ტყვიებსაც კი უძლებენ.

მორალური სიმტკიცის ბერკეტები

ომისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია ცხადყოფს, რომ კარგად აღჭურვილ ჯარს ხშირად განუცდია დამარცხება პირად შემადგენლობაში არსებული დაბალი მორალური მდგომარეობის გამო და პირიქით, ბევრი მაგალითია იმისა, რომ ცუდად აღჭურვილ ჯარს მაღალი მორალური სიმტკიცით გამარჯვებისთვის მიუღწევია.

ამიტომ ჯარისკაცებსა და ოფიცრებში მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ჩამოყალიბება ყოველთვის იყო ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. ყველა უდიდესი მხედართმთავარი ჯარის სიმტკიცეს სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორად თვლიდა. სწორედ ამ პოზიციიდან უნდა შევხედოთ ჩვენი ჯარის სულიერ სფეროში არსებულ მდგომარეობას. აღზრდის სფეროში ე. წ. ვაკუუმი შეიქმნა, სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ აფასებს მორალური ფაქტორის როლს არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფაში. დარღვეულია ჯარის მომზადების მნიშვნელოვანი პრინციპი, სწავლებისა და აღზრდის მთლიანობა.

სამხედრო მოსამსახურეთა აღზრდას ორი მხარე აქვს: სულიერ-შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული. პირველი დაკავშირებულია სულიერ ფასეულობათა სისტემის შემოწმებასთან, რომელიც მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ყოველი მებრძოლის შეგნებაში, ვინაიდან მას უნდა დაუქვემდებაროს მთელი თავისი საქმიანობა.

სწორედ რომ დაუქვემდებაროს, ვინაიდან სამხედრო შრომა — განსაკუთრებით საბრძოლო მოქმედებები — ღრმად უნდა იყოს გააზრებული. ყოველი სამხედრო მოსამსახურე მოვალეა გარკვევით იცოდეს რა პოლიტიკური მიზნებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ხდება მისი საბრძოლო მომზადება, რის გამო მიდის საბრძოლველად, რატომ იგდებს თავს საფრთხეში.

ამიტომ სამხედრო მოსამსახურეთა აღზრდა სამხედრო-პოლიტიკური თვალთახედვით უნდა მიმდინარეობდეს და საერთო სახელმწიფო პოლიტიკის, სახალხო იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყოს. ეს იოლი საქმე არ არის. კამათია იმის შესახებ, სჭირდება თუ არა ჩვენს საზოგადოებას ისეთი ერთიანი იდეოლოგია, როგორიც იყო ახლო წარსულში. არ დავწვრილმანდები, თუ ვიტყვი, რომ სოციალური იდეალის, იდეოლოგიისა და აზრების გარეშე, რომელიც გამოხატავს ხალხის ინტერესებს, საზოგადოებას არსებობა არ შეუძლია. იდეოლოგია აერთიანებს ხალხს.

ჩვენ უარი ვთქვით ძველზე, მაგრამ არ შეგვიქმნია ახალი იდეოლოგია. და სანამ ქვეყანაში არაა შექმნილი ერთიანი იდეოლოგიური სისტემა, სამხედრო მოსამსახურეთა აღზრდა უნდა წარმოებდეს ჩვენს საზოგადოებაში არსებულ სულიერ ფასეულობათა საფუძველზე, პირველი სიმდიდრე — პატრიოტიზმია, სამშობლოს, ქვეყნის, ხალხის უსაზღვრო სიყვარული. დღეს სიტყვა „პატრიოტიზმი“ რატომღაც ჩაფერფლილია.

მეორე სიმდიდრე ჩვენი ხალხისა ეროვნული სიამაყეა. ეს ბუნებრივიცაა. ყოველი ადამიანი მეტნაკლებად ამაყობს თავისი ეროვნული წარმომადგენლობით. ეს მთააგონებს მას ძალ-ღონე არ დაიშუროს ერის მატერიალური და სულიერი კულტურის აღორძინებისათვის.

სამხედრო მოსამსახურეთა სულიერი აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება ძველი არმიის ტრადიციები. ჯარისკაცთა და გენერალთა გმირობის მაგალითები. ჩვენ სრულად უნდა აღვადგინოთ ეს სამხედრო-სულიერი ფასეულობანი.

ჯარისკაცთა და ოფიცერთა სულიერ აღზრდაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა სარწმუნოება. რწმენა თანდათანობით იპყრობს ახალგაზრდების გონებას. ურიგო არ იქნება ჯარში პირადი შემადგენლობის რელიგიური აღზრდის შემოღება. ჩემის აზრით, რელიგიური აღზრდა — ეს არის ზნეობრივი, სულიერ-იდეოლოგიური აღზრდა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ათეისტურმა აღზრდამ მრავალი წლის მანძილზე თავისი კვალი დააჩნია ახალგაზრდობას, ახლა ადვილი აღარ არის მათი რწმენის შეცვლა, მეორე — ჩვენს ჯარში არ მსახურობენ ერთი სარწმუნოების ამბიონები. ეს კი ართულებს სამხედრო ნაწილებსა და ქვედანაყოფებში რელიგიური აღზრდის პროცესს, რელიგიური რიტუალების ჩატარებას, მესამე — ჩვენს ქვეყანაში არ არიან სამხედრო მღვდლები. მათ არც ადრე და არც ახლა არ ამზადებენ.

არანაკლებ რთულია სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხები, რომელიც შრომისუნარიან ორგანოთა სისტემის შექმნას გულისხმობს და მხოლოდ აღმზრდელობითი მუშაობით იქნება დაკავშირებული. დღეისთვის აღმზრდელობითი ორგანოების საორგანიზაციო საშტატო სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის შემცირებული. საშუალო რგოლში და სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში აღმზრდელობითი სფეროს მუშაკებს ის ადმინისტრაციული ძალაუფლება და სოციალური სტატუსი არა აქვთ, რომელიც ჰქონდათ პოლიტმუშაკებს. ძალაუფლება კი ზოგჯერ საჭიროა აღმზრდელობითი პროცესის დროსაც. მართალია, ახლანდელ აღმზრდელობით სტრუქტურაში არის დადებითი მომენტებიც — ჯარებში გამოჩნდნენ სამხედრო სოციოლოგები, ფსიქოლოგები, მაგრამ არსად არ არიან პირადი შემადგენლობის აღზრდის მთავარი ორგანიზატორები. ამ თანამდებობაზე მუშაობენ სხვა სპეციალობის ოფიცრები, ინჟინრები, სამეურნეო ნაწილის მუშაკები, თუმცა, მათ შორის არიან ისეთებიც, რომელნიც ბუნებამ დააჯილდოვა აღმზრდელობითი ნიჭით, შეუძლიათ შემოქმედება მოახდინონ სხვა ადამიანებზე. სამწუხაროდ, ასეთები ერთეულები არიან, ხოლო მათზე მოთხოვნა — ძალზე დიდია. ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას პროფესიონალთა აღმზრდელობითი მომზადების სისტემა, რომელიც ბუნებრივია, შეივსება სულიერ-იდეური კუთხით. ჩვენ სასწრაფოდ უნდა შევიმუშაოთ აღზრდის ახალი სულიერ-იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლები.

ამრიგად, პირადი შემადგენლობის აღზრდის იდეური საფუძვლის შემუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, აუცილებელია ყველა ასპექტის გააზრება, სამხედრო-მეცნიერებას კი ის როლი აკისრია, რომ დახმარება აღმოუჩინოს ხელმძღვანელობას, ჯარს, პრაქტიკოს მუშაკებს თეორიული დებულებებისა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებაში.

გელა ხუციშვილი,
პირად შემადგენლობასთან მუშაობის უფროსი, მაიორი.

უახლოესი წარსული

მოსახლეობის მხარდამხარ

მესტიის რაიონი. შარშან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ინიციატივითა და ხარჯებით შეიქმნა მედიკოსთა ჯგუფი, რომელმაც უფასო სამედიცინო დისპანსერიზაცია და დიაგნოსტიკური მომსახურება გაუწია ზემო სვანეთის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობას, მთელი ზამთრის განმავლობაში მესტიის კომენდატურის მესაზღვრეებს უსასყიდლოდ შეჰქონდათ შეშა რაიონის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, რის შედეგადაც სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა. დიდთოვლობისას ავტოტრანსპორტით უფასოდ ემსახურებოდნენ ავადმყოფებს. კომენდატურის რადიოსადგური მოსახლეობისათვის ცენტრთან კავშირის ერთადერთი საშუალება იყო.

დუშეთის რაიონი. (შატილი-ბარისახო) შატილში განლაგებული სასაზღვრო საგუშაგოს პირადი შემადგენლობა უსასყიდლოდ მონაწილეობდა მიკროჰესის, საავტომობილო გზის და სანაპირო სამაგრების აღდგენის სამუშაოებში. ისინი მოსახლეობას უწევდნენ სამედიცინო დახმარებას, ამარაგებდნენ მედიკამენტებით. კვირაში ერთხელ, გარკვეული დროის მონაკვეთში მოსახლეობა უსასყიდლოდ გადაჰყავდათ ბარისახო-შატილის მიმართულებით. მათი მეშვეობით უზრუნველყოფილი იყო მუდმივი რაიკავშირი ცენტრთან.

გულრიფშის რაიონი, კოდორის ხეობა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვეტერინალურ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განუხორციელებლობის გამო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მეცხოველეობის სფეროში, დაიწყო პირუტყვის დაცემა, რამაც საგანგაშო მდგომარეობა შექმნა. სასაზღვრო ჯარების ტრანსპორტით კოდორის ხეობაში გაიგზავნა სასაზღვრო ჯარების ვეტსამსახურების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინართა ჯგუფი, ჩატარდა ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო აცრები, ადგილობრივ ვეტსამსახურს გადაეცა დიდი რაოდენობით მედიკამენტები.

მოსახლეობის მხარდამხარ შრომა ნიშანდობლივია სასაზღვრო ძალების ცხოვრებაში.

ჯანსაღი სამხედრო ფსიქოლოგია თავდაცვის ძლიერების წყაროა!

დღეს მესაზღვრეს მეტად რთული და პასუხსაგები, მაგრამ საპატიო მისია აკისრია. საზღვარზე სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია უშუალოდ დამოკიდებულია სასაზღვრო ჯარების პირადი შემადგენლობის აღზრდისა და სწავლების ხარისხზე, ოფიცერს კი აქ ცენტრალური ადგილი უჭირავს. დღეს სასაზღვრო ჯარებს სჭირდება პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა, პრაქტიკული ჩვევები, სალი აზროვნება, თავშეკავებულობა, მტკიცე ხასიათი და სამხედრო კოლექტივის ერთ მუჭად შეკვრის უნარი. დიახ, პროფესიონალიზმი — ამ სიტყვის ფართო გაგებით, არის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული ჩვევების, კულტურისა და მდიდარი ზნეობრივი თვისებების დინამიკური ერთიანობა, რომელიც ნამდვილ ძალას იჩენს სამშობლოსათვის თავდადებულ სამსახურში.

მეტად მნიშვნელოვანია მესაზღვრე ოფიცრის ზემოთაღნიშნული თვისებები მაშინ, როდესაც მოქმედებენ ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, სჭარბობს განუკითხაობა, უპატიოსნება, მძარცველობა, ბანდიტიზმი და ნარკომანია.

საქართველოში კვალიფიციური სამხედრო კადრების მწვავე უკმარისობის გამო, სასაზღვრო ჯარების ქვედანაყოფები, როგორც სხვა სამხედრო უწყებები და დაწესებულებები, შეივსო მოუმზადებელი ან ნახევრად მომზადებული, ზოგჯერ კი სამხედრო სამსახურისთვის მიუღებელი თვისებების მქონე პიროვნებებით, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიღო და სასაზღვრო ჯარების აღმშენებლობის საქმეში სერიოზული შეფერხებები გამოიწვია.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურები (შტაბი, სამმართველოები, განყოფილებები), სასაზღვრო რაზმების მმართველობა ამ ეტაპზე დაკომპლექტებულია გამოცდილი, მაგრამ ხანდაზმული ოფიცრებით. სამხედრო სამსახურშია, აგრეთვე, ახალგაზრდა და ნიჭიერი ოფიცრების გარკვეული ნაწილი, მაგრამ მათგან უმეტესობას სასაზღვრო და სამხედრო სპეციალური განათლება არა აქვს. მათი, როგორც თადარიგის ოფიცრების, გაწვევა სასაზღვრო ჯარებში იძულებითი ნაბიჯია და იგი მხოლოდ ნაწილობრივ წყვეტს პრობლემებს.

ყველაზე მწვავედ დგას სასაზღვრო ჯარების პირველადი და ამავე დროს ძირითადი სტრუქტურების — საგუშაგოების სამხედრო სპეციალისტებით დაკომპლექტების საკითხი. ვინ მოვა აქ ან როგორ იქნება მომზადებული? ამ საკითხებს აყენებს ჩვენს წინაშე დღევანდელობა.

ჯარების მშენებლობაში არსებულ უამრავ ხელშემშლელ ფაქტორთან ერთად შეუძლებელია არ გავამახვილოთ ყურადღება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე — ეს გახლავთ ფსიქოლოგიური ფაქტორი.

როგორც ცნობილია, სამხედრო ფსიქოლოგია ყალიბდება სამხედრო სწავლებისა და სამხედრო სამსახურის პროცესში. სამხედრო ფსიქოლოგია არის ჯარების ფუნქციონირების ერთ-ერთი საფუძველი, მასზეა დამოკიდებული პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, საბრძოლო მზადყოფნა, დისციპლინა, სამშობლოს ერთგულება და ა.შ.

გენერლის, პოლკოვნიკის, ვიცე-პოლკოვნიკის, მაიორის სამხრეებიან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამოქალაქო „ჩინოვნიკები“, რომლებსაც ბუნებრივია, არმიასთან არ ჰქონდათ არანაირი კავშირი, ცხადია, ვერ შეეგუენ სამხედრო დისციპლინასა და თანამდებობრივი ამოცანების შესრულებას. ამიტომაც ჯარი გახდა უკიდურესად დაბალი სამხედრო პროფესიონალიზმისა და სამხედრო კულტურის მქონე ორგანიზაცია; ამასთან ერთად, სამხედრო სტრუქტურებში მოიკალათა კრიმინალური ელემენტების გარკვეულმა ნაწილმა, რამაც უფრო გაამძაფრა ისედაც მძიმე მდგომარეობა. სახელმწიფოსათვის ჯარი გახდა მეტად ხარჯიანი, დაზიანდა და დაიკარგა დიდძალი იარაღი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო აღჭურვილობა და საქონელი, გაიძარცვა სამხედრო-სასწავლო ცენტრები და დაწესებულებები.

სწრაფი და გონიერული ღონისძიებების ჩატარების მიზნით, რომელიც ეხება სამხედრო სპეციალისტების მომზადებას, დეპარტამენტში შემუშავებულია „სასაზღვრო ჯარების უწყვეტი სამხედრო განათლების სისტემის“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელი სამხედრო სპეციალისტების მომზადებას, გადამზადებასა და დახელოვნებას. მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სამინისტროს მონაწილეობით იქმნება სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო სწავლებისა და აღზრდის მეთოდური საბჭოები. მათ უშუალოდ დაევალებათ სასაზღვრო თემატიკის დამუშავება, სამეცნიერო კვლევითი მუშაობა, სამხედრო სპეციალისტების აღზრდისა და სწავლების მეთოდიკის და სასწავლო პროგრამების შედგენა, სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, და რაც მთავარია, მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით სამხედრო-სასაზღვრო სპეციალისტების სრულყოფა.

ვალტერ ჩხარტიშვილი,
პოლკოვნიკი.

სასაზღვრო კონტროლი: პრობლემები, პერსპექტივა

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოს საავტომობილო გზებზე მკაცრად არ არის განსაზღვრული საერთაშორისო მიმოსვლის მიმართულებები, რაც ძალების და საშუალებების გეგმაზომიერად განაწილების საშუალებას არ გვაძლევს და ქაოსს ქმნის.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების სიმრავლე მათ შორის ფუნქციათა დუბლირებას იწვევს და კორუფციისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამიტომაც აუცილებელია საზღვარს ერთი პატრონი ჰყავდეს.

ჩვენ შორს ვდგავართ იმ აზრისაგან, რომ სასაზღვრო ძალებში ყველაფერი მოწესრიგებულია და შემთხვევითი, უპატიოსნო ადამიანები ჩვენთან არ არიან, მაგრამ საკონტროლო-გამშვები პუნქტების პირადი შემადგენლობა, განსაკუთრებით საავტომობილო მიმოსვლის უბნეზზე, ძირითადად ვადიანი სამხედრო სამსახურის ჯარისკაცებით არის დაკომპლექტებული. მათი ასაკი უმეტესწილად 18-22 წელია და არ შეიძლება ამ ასაკის ახალგაზრდა, კორუფციული დანაშაულის აქტიური სუბიექტი იყოს.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაწყებულია მუშაობა, რომ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განისაზღვროს საერთაშორისო მიმოსვლის სტატუსის მქონე კონკრეტული უბნები.ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო მიმოსვლის გზებზე წესრიგის დამყარებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასაზღვრო საკონტროლო გამშვები პუნქტების სარეჟიმო უბნებზე სტერილური ზონების მოწყობა, ე. ი. სასაზღვრო ზოლის 500-მეტრიანი მონაკვეთიდან ყველა იმ უწყების გაყვანა, რომელიც ამა თუ იმ სახის გადასახადს კრეფს. (მათი რიცხვი კი საკმაოდ ბევრია). ეს უფრო ცივილიზებულ სახეს მისცემს საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს და საქართველოს საზღვრებში შემოსულ მგზავრს ნორმალურ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს შეუქმნის.

დავით ბედოშვილი,
სასაზღვრო საკონტროლო გამშვები პუნქტების განყოფილების უფროსი.

პრესა

მესაზღვრე
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის გაზეთი

რთულ და პასუხსაგებ მისიას ასრულებს შიდასაუწყებო გაზეთი „მესაზღვრე“. ხანმოკლე მანძილზე (მხოლოდ 20 ნომერი გამოვიდა) მან მესაზღვრეთა შორის პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა.

„მესაზღვრის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება ქართული სამხედრო ტრადიციებისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ საინტერესო მასალები.

გაზეთი ღირსეულ პატივს მიაგებს მამულის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაცემულ მეომრებს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამცველებს. ამის დასტურია ჩანახატებისა და ნარკვევების, მათი ბრძოლებისა და ცხოვრების ამსახველი მასალების სიმრავლე.

საინტერესო პუბლიკაციები იმაზე მეტყველებს, რომ გაზეთს აკეთებენ პროფესიონალები, რომელთაც უნარიანად უძღვება რედაქტორი ჯემალ ელოშვილი.

იმედია, გაზეთი კვლავაც მაღალპროფესიულ დონეზე გააშუქებს სახელმწიფო საზღვრების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს და თავის წვლილს შეიტანს ახალგაზრდა მესაზღვრეთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

მაკა ჩხაიძე.

გვერდი მოამზადა
ლეილა კოშკაძემ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლაურეატი

„ქართული ხმებიდან“ „მართვემდე“

„ქართული ხმები არ მდუმალოს შენს ცას და მიწას, ჩემო ქვეყანავ!“ — ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი საგაზეთო სტატია ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა, რომელიც ანსამბლ „ქართული ხმებისთვის“ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა.

დავუმატებდი, — ასაფრენად გამზადებული „მართვეებიც“ არ დალეოდეს ჩვენს ქვეყანას, ის „მართვეები“, რომლებიც დაფრთიანების შემდეგ ცნობილ ქართულ ხალხურ ანსამბლებს ღირსეულ ცვლად ევლინებიან და ემსახურებიან „ერის უკვდავების ისეთ საოცარ ფენომენს“, როგორიც ჩვენი სიმღერაა.

სიმბოლურია, რომ წელს სახელმწიფო პრემია „ქართულმა ხმებმა“ და „მართვემ“ მოიპოვეს — აწმყომ და მომავალმა. ის ფაქტი, რომ „მართვე“ 20 წლის შემდეგაც არსებობს, აფრთიანებს ქართული ხალხური სიმღერის „სიყვარულის სენით შეპყრობილ“ ბიჭებს, ზრდის პროფესიონალებს, ამ გადამდები „სენით“ აავადებს ასობით და ასობით თავის თანატოლს, მეტყველებს, რომ ქართულ ხალხურ სიმღერას ყველაფერი წინ აქვს და მას გადაშენება არ უწერია.

სახელმწიფო პრემია დიდი ჯილდოა „მართვეს“ არაერთი თაობისთვის, მისი უცვლელი ხელმძღვანელისთვის ანზორ ერქომაიშვილისთვის, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო არა მარტო „მართვეს“, არამედ ქართულ ხალხურ სიმღერას საერთოდ.

70-იან წლებში, როცა „მართვე“ შეიქმნა ბატონი ანზორის ინიციატივით, დიდი გამბედაობა იყო საჭირო ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის შესაქმნელად. ეს ის დრო იყო, როცა სცენაც და მაყურებელთა გულებიც დაპყრობილი ჰქონდა შესანიშნავ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „მზიურს“. არ გვეგონა, თუ „მართვეს“ ვინმე მოუსმენდა, მაგრამ პროფესიონალიზმმა თავისი გაიტანა და მალე აშკარა გახდა, რომ „მართვემ“ თავისი ადგილი დაისაკუთრა ამ ცის ქვეშ. „მართვეს“ პირველი თაობების აღზრდილები დღეს თავად არიან ცნობილი ანსამბლების „ბიჭების“, „მძლევარის“, „ლაშარის“, „გეორგიკას“ და სხვა მრავალთა ლოტბარები და ხელმძღვანელები. ასე რომ, „მართვემ“ იმ საქვეყნო საქმეს დაუდო სათავე, რომელსაც ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციების შენარჩუნება ჰქვია, და თუ დღეს ჩვენ შეგვიძლია მეტნაკლებად მშვიდად ვიყოთ ქართული ხალხური სიმღერის ბედის გამო, ეს „მართვეს“ დამსახურებაცაა.

ახლა, 20 წლის გადასახედიდან, თვალწინ მიდგას ყველა, ვინც გვეხმარებოდა და ხელს გვიწყობდა, რომ ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლი, რომელმაც „მართვეს“ გაუხსნა გზა დიდი სცენისაკენ, ბავშვთა ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრად ქცეულიყო. ამაში დიდია ბატონ ფრიდონ სულაბერიძის დამსახურება, რომელმაც „მართვეს“ შესანიშნავი მოცეკვავეთა ანსამბლიც ამოუყენა გვერდით, ძალიან ვემადლიერებით ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილსაც, რომლის კონსულტაციებმა ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. მაპატიონ, თუ ყველას ვერ მოვიხსენიებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თითოეული მათგანის ღვაწლი ღირსეულ ადგილს დაიკავებს წიგნში, რომელიც ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა „მართვეს“ 20 წლისთავთან დაკავშირებით დაწერა და მალე ნახავს დღის სინათლეს.

„მართვეს“ დღეს უჭირს. 1994 წლის 13 ნოემბერს გაჩენილმა ხანძარმა მნიშვნელოვნად დააზიანა ჩვენი შენობა. დახმარებას ბევრი გვპირდება, ქალაქის მერიაც, პირადად ბადრი შოშიტაიშვილი, თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი ზაზა მარუაშვილი. ჩვენი ყველაზე დიდი იმედი, მაინც, ბატონი ნიკო ლეკიშვილია, რომელიც იმ წლებში, როცა ყოფილი პირველი მაისის რაიონის ხელმძღვანელი იყო, ბევრს სასიკეთოს უკეთებდა ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლს. ბატონი ნიკო რომ დღესაც „მართვეს“ გულშემატკივარია, ეს მისი თბილი მისალოცი წერილიდანაც გამოჩნდა, რომელიც მან „მართვეს“ ლაურეატობასთან დაკავშირებით გამოგვიგზავნა.

„მართვეს“ 20 წლის იუბილესთან ერთად მეორე თარიღიც გვინდა აღვნიშნოთ — 32 წლისთავი იმ საბავშვო დაწესებულების დაარსებიდან, რომელიც თავის დროზე მალევა ბერიანიძის ინიციატივითა და სოლიკო ხაბეიშვილის მხარდაჭერით ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის სახელწოდებით შეიქმნა და დღეს ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორის ცენტრი ეწოდება.

ეს ორი იუბილე, ალბათ, ქართული ხალხური ხელოვნების ნამდვილ ზეიმად უნდა იქცეს.

ნათელა ჟიღაური,
ბავშვთა ფოლკლორის
საერთაშორისო ცენტრის
დირექტორი.

რეპორტაჟი

თოვლი მოდის, თოვლი მოდის...

თითქმის ჩვეულებრივი იმერული ზამთარია, თუმცა...

ბოლოს იმედგადაწურულმა, ქუთაისისკენ რომ უკვე ველარაფერს მივყვებოდი, ხერხს მივმართე — სამტრედიაში იანეთის ბენზინგასამართ სადგურში შემოსული მანქანის მძღოლს გადავუდექი და დახმარება ვთხოვე.

თოვს. გზა იმდენად მოლიპულია, აქედან ქუთაისამდე ოცი წუთის სავალს ორ საათს ვანდომებთ. მძღოლი, ერთი შეხედვით, მშვიდი, დარბაისელი კაცი, ზომაზე მეტად ცხარობს, ორივე ხელით საჭეს ჩაფრენილი გზას თვალს არ აშორებს და მანქანას რის ვაი-ვაგლახით იმორჩილებს. გზაზე ბიჭები თხრილში გადავარდნილი ავტომობილის ამოთრევას ცდილობენ. მოხმარებას ვერ ვახერხებთ, რომ გავჩერდეთ, ველარ დავიძრებით. ყინავს. თოვაც მატულობს. 10 საათზე ქუთაისში კოლეგას უნდა დავხვდე. თბილისიდან ჩამოდის, მაგვიანდება. უკვე თორმეტი შესრულდა. ჩვენ კი ჯერ შუა გზამიც არ ვართ...

— თითქმის ამ გზაზე ვბერდები, ასე არასოდეს გამჭირვებია, მელოდებიან... — ჯავრობს მძღოლი და უმისამართოდ ვილაცას წყევლა-კრულვას უთვლის.

ქუთაისს, ალბათ, კარგა ხანია ასეთი თოვლი არ უნახავს. თუმცა, აქ მოძრაობა არ ჭირს, თოვლმწმენდები საგანგებოდ ასუფთავებენ ქუჩებს, მოყინულზე ქვიშასა და მარილს ყრიან. წესრიგი ყველგან თვალშისაცემია.

...პატარა, კოხტა მაღაზიაში „ქუთაისურ სუპერმარკეტში“ გამყიდველს ხურდას ვაძლევ. სიგარეტს ვიღებ. კარებში მაჩერებენ, „დაგავიწყდათ, ბატონოო“, — პატარა ქვითარს მაძლევენ. უჩვეულო ამბავია. საქართველოში ვარ?!

დღესვე ზესტაფონში და ჭიათურაში ვაპირებ ჩასვლას. „ფეროსა“ და „ჭიათურმანგანუმზე“ რეპორტაჟი უნდა დავწერო. ავტოსადგურში ჩემს ხვეწნა-მუდარას, იქნებ წავიდეს რამე, ქუთაისურ ხუმრობას აყოლებენ: თუ ძმა ხარ, ჩვენი თუ არ გჯერა, გარეთ მაინც გაყავი თავიო.

ზესტაფონი-ჭიათურის გადასასვლელი უკვე რამდენიმე დღეა დაკეტილია, რიკოთის უღელტეხილიც არ არის საიმედო, დილით გასული საგარეუბნო მატარებელი ქუთაისი-ჭიათურაც ზვავისა თუ მეწყერის ჩამოწოლის გამო უკან მობრუნებულა, მაგრამ იმედი მაინცაა. რკინიგზაზე მუშაობენ და მოგვიანებით იქნებ მატარებლით კიდევ ვცადოთ ზემო იმერეთში ასვლა.

საოცარი სანახავია თეთრად გადაპენტილი თოვლიანი ქუთაისი. მართალია, ვერც წინ მივდივარ, ვერც უკან, მაგრამ აქ ჩამოსვლას არ ვნანობ...

საღამოხანს, როგორც იქნა, ჭიათურისკენ მიმავალი მატარებელი ჩამოდგა.

ჰოი! ამ (მას პირობითად შეიძლება მატარებელი ვწოდოთ) ფარღალალა ყუთებით თავად უნდა იმგზავრო, რომ ბოლომდე შეიგრძნო, რას ნიშნავს „კომფორტი“. საერთოდ, ამ მხრივ ჩვენი რკინიგზა, მართალია, ვერ დაიკვეხნის, მაგრამ, ეს მეტისმეტია. ვაგონების კარები და ფანჯრები, რომლებიც ნახევრად შუშით, ნახევრად ფიცრებით, შიფერისა თუ რუბეროიდის ნაგლეჯებით არის აჭედილი, სინქრონულად იღება და იხურება.

თუ ბედმა გაგიღიმათ და სადმე უკაცრიელ მთებს შორის, ანდა სულაც გვირაბში ელექტროენერგია არ გაითიშა, ორი საათის სავალს ხუთ-ექვს საათში გაივლით, ანდა შეიძლება მთელი დღეც მოგიწიოთ ერთ ადგილზე დგომა და გათოშილი ფეხების ნახევრად ჩანგრეულ იატაკზე ბაკუნი.

აქ, ჩემი აზრით, ერთი საყურადღებო ნიუანსია გამოსაკვეთი. ჭიათურიდან ზესტაფონამდე რკინიგზით 28 თუ 32 კილომეტრია, მგზავრობა 80 თეთრი ღირს. ზესტაფონიდან ქუთაისამდეც თითქმის ამდენივე მანძილია, მაგრამ აქ მხოლოდ 30 თეთრს გახდევინებენ.

ამ ერთი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე მომიხდა ამ მატარებლით მგზავრობა, თავისუფალი დროის მეტი რა მქონდა! დიდხანს ფიქრისა და ტვინის ჭყლეტის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოვიტანე: ჭიათურიდან ზესტაფონამდე, და ბუნებრივია, პირიქითაც, მატარებელს გვირაბები ხვდება (12 თუ 13), ქუთაისიდან ზესტაფონამდე კი გვირაბი არსად არის. მგზავრობის ღირებულებას, ალბათ, გვირაბში გავლის საფასურიც ემატება და ამიტომ არის ასეთი ფასთასხვაობა. თუ მე ვცდები, იქნებ, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას უკეთესი ვერსია აქვს?

ზესტაფონში ბაღდათიდან მომავალი მგზავრები გვიერთდებიან.

— ეს რა თოვლია იმასთან შედარებით, რაც ბაღდათშიაო, — ყვებიან. არადა, აქ მუხლამდეა უკვე მოთოვლილი. კიდევ უმატებს.

ზესტაფონში კარგა ხანს ვდგავართ. ხმები მოდის, იქით დისპეტჩერი არ გვიშვებს, თოვლმწმენდის გარეშე გადასვლა შეუძლებელია, მან უნდა გაგვიკვალოს გზაო. როგორც იქნა, დავიძარით. რა ცოტა ყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის?! ლოდინით დაქანცული მგზავრები ხუმრობის ხასიათზე დგებიან. ყვირილას ხეობას ზოზინით, მაგრამ შეუფერხებლად მივუყვებით აღმა. ირგვლივ თოვლია, მეტი არაფერი.

სადაცაა ჭიათურამიც უნდა შევიდეთ, მგონი შევასწარით... ის ორი კინკილა ნათურა, რომელიც ვაგონის თავსა და ბოლოს ანათებს, ნელ-ნელა უიმედოდ ქრება და სადღაც ვჩერდებით. არავინ იცის, რამდენი ხნით. შუა ღამეა. შიში უსაფუძვლო არ ყოფილა, გამოცდილი მგზავრები ასეთ ვითარებას შეგუებულნი არიან, ახალბედები წრიალებენ. ამბის გასაგებად დარბიან, ვის გინდა კითხო? ამ ხაზზე სატელეფონო თუ სარელეო კავშირი არ არსებობს?! თურმე ეს მატარებელი ვიდრე ზესტაფონში არ დაბრუნდება, აქეთკენ სხვა ვერავინ წამოვა. დისპეტჩერმა გზაში მყოფი მოძრავი შემადგენლობის შესახებ არაფერი იცის. აქ მემანქანეა ყველაფერი. ჩვენც ვდგავართ შუქის მოლოდინში.

შუაღამე კარგა ხნის გადასულია. როგორც იქნა, ჭიათურაში შევედივართ. ადრე მატარებელი საჩხერემდეც ადიოდა, მაგრამ ეს გზა რამდენიმე წელიწადია დაინგრა და როდის აღადგენენ, ღმერთმა თუ იცის.

— ჭიათურიდან ზესტაფონამდე თუ ჩააღწევ, ჩათვალე, რომ გარესამყაროს დაუკავშირდი და აღარაფერი გიჭირს, — ხუმრობენ აქაურები და ეს მარტო ხუმრობა არ არის, მწარე სიმართლეა.

მთელი ქალაქი უკუნითაა მოცული. საცალფეხო დათოვლილ ბილიკზე ჭირს ფეხის აღება, ძნელად წარმოიდგენ, რომ ერთ დროს მგრგვინავ სამრეწველო ცენტრში ხარ.

ჭიათურა თავისი რელიეფით საქართველოში განუმეორებელი ქალაქია. ძირითადი დასახლებები მთის კალთებზეა შეფენილი. იგი თავისი სპეციფიურობითაც გამოირჩევა სხვათაგან. მანქანით თოვლიან აღმართებზე სიარული თითქმის შეუძლებელია, ერთადერთი და ძირითადი საქალაქო ტრანსპორტი აქ, მით უმეტეს ზამთარში, საბაგირო გზაა, მაგრამ ეს ერთ დროს უსაფრთხო ტრანსპორტი დღეს ცოტა სახიფათო გამხდარა აქაურთა ჯანმრთელობისათვის (უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე და მის გაუმართაობაზე არ მაქვს საუბარი), — როდის გამოგირთავენ ელექტროენერგიას და დაგტოვებენ კლდის ქიმზე გამოკიდებულს, არავინ იცის. მერწმუნეთ, ნამდვილად ღირს იმ ხედის ხილვა, რომელიც 200 თუ 300 მეტრი სიმაღლიდან ადამიანის თვალწინ იშლება — თეთრ ფონზე ჭიასავით დაკლაკნილი ვიწრო ზოლად გაწოლილი ყვირილა, კლდეთა შორის მოქცეული ქალაქი, ბუნებრივივით რომ შეზრდია 9 თუ 14-სართულიანი კორპუსები, მაგრამ ყველანაირ ხასიათს გიფუჭებს იმის აღქმა, რომ ამ სიმაღლეზე უძრავად ხარ გამოკიდებული და ქარი იქით-აქეთ თავის ნებაზე გარწევს. ის, ვინც ასე გაუფრთხილებლად უთიშავს ქალაქს ელექტროენერგიას, რამდენჯერმე უნდა ჩააყენო ასეთ ვითარებაში, ჭიათურელებს ხშირად რომ უწევთ ყოფნა, იქნებ მაშინ მაინც შევიდნენ ხალხის მდგომარეობაში და ასე, ერთი ხელის დაკვრით აღარ გამოკიდონ თოკზე ადამიანთა ბედი.

ერთხელ თავად გამოვცადე ეს სიამოვნება და იმ ერთი კვირის განმავლობაში სათოფეზეც აღარ ვეკარებოდი საბაგიროს.

მოკლედ, დიდთოვლობა უამრავ პრობლემას უქმნის ჭიათურას და მთლიანად ზემო იმერეთს. ჯერ იყო და წყალდიდობამ აიკლო იქაურობა. ახლაა და დიდთოვლობაა. ზარალი ზარალს ემატება. არადა, ზემო იმერეთსა და რაჭას ჯერ მიწისძვრით მიყენებული ჭრილობებიც ვერ მოუშუშებია. ბევრია აქ კიდევ უსახლკაროდ დარჩენილი, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავს ხალხი. ყველაზე მეტად მაინც დასაქმების პრობლემა აწუხებთ ჭიათურელებს, მანგანუმის, შავი ქვით აშენების იმედი აქვთ, ზესტაფონში კი იმედს ფეროზე ამყარებენ. ამ საწარმოებზე რეპორტაჟს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. მანამდე კი ვიტყვი, რომ დიდთოვლობის მიუხედავად, ცენტრალური მაგისტრალები რეგულარულად იწმინდება, ქალაქებში პური ცხვება. მოკლედ, ზემო იმერეთი უჩვეულო დიდთოვლობის დროს მაინც ჩვეულებრივად ცხოვრობს. ზამთარი კი მძლავრობს, თოვა არ წყდება.

შოთა მაჭარაშვილი.
ქუთაისი-ჭიათურა-
ზესტაფონი-თბილისი.

თქვენთვის, ინვალიდებო!

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება განაგრძობს სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდთათვის უფასო მედიკამენტებით დახმარებას. ამჯერად ეს ჰუმანიტარული აქცია დედაქალაქის ათივე რაიონის შესაბამისი კატეგორიის პიროვნებებს მოიცავს.

მედიკამენტები ძირითადად ჰიპერტონიულ, გულის იშემიური და რევმატული ავადმყოფებისათვის არის გათვალისწინებული. აქვე შეგეძლებათ მიიღოთ ანტიბიოტიკები და ყველა ის სამედიცინო პრეპარატი, რაც წითელ ჯვარს მოეპოვება.

დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მიაკითხონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით პოლიკლინიკებში განთავსებულ წითელი ჯვრის საზოგადოების მოწყალების სამსახურის ექიმებს:

გლდანის რაიონი — 27-ე პოლიკლინიკა, ილორის ქ. № 14. ყოველდღე 12 სთ-16 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

დიდუბის რაიონი — მე-3 პოლიკლინიკა, წერეთლის გამზირი № 138, ყოველდღე; 12 სთ-16 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

კრწანისის რაიონი — მე-12 პოლიკლინიკა, ახუნდოვის ქ. № 13, ყოველდღე 12 სთ-16 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

მთაწმინდის რაიონი — მე-9 პოლიკლინიკა, ქიაჩელის ქ. № 18. ყოველდღე, 10 სთ-14 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

ჩუღურეთის რაიონი — მე-15 პოლიკლინიკა, ხეთაგუროვის ქ. № 6, ყოველდღე, 11 სთ-15 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

ვაკის რაიონი — გამგეობის შენობა; II სართული, ყოველდღე, 10 სთ-14 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

საბურთალოს რაიონი — მე-2 პოლიკლინიკა; კ. გამსახურდიას გამზ. № 10. ყოველდღე, 10 სთ-14 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

სამგორის რაიონი — მე-10 პოლიკლინიკა, კალოუბნის ქ. № 20. ყოველდღე, 10 სთ-14 სთ; შაბათ-კვირის გარდა;

ნაძალადევის რაიონი — № 1 პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის ქ. № 321. ყოველდღე; 13 სთ-17 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

ისნის რაიონი — მე-19 პოლიკლინიკა; მოსკოვის პროსპექტი № 23; ყოველდღე; 12 სთ-16 სთ; შაბათ-კვირის გარდა.

სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდთა სიები შედგენილია შესაბამისი რაიონების ომის ვეტერანთა საბჭოს მიერ.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ
ტელეფონით: 95-85-98.

ქეთევან ვაშაკიძე,
საქართველოს წითელი ჯვრის საინფორმაციო სამსახური.

ჩოგანი

„წარმატებისაგან თავბრუდახვევა“ არ მემუქრება

20 წლის ბრაზილიელი რონალდო ამას წინათ მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს. გასაგებია, რომ პრესაში აქებენ. პელე, მაგალითად, თვლის, რომ ამ ქებამ შეიძლება ახალგაზრდა თავდამსხმელზე ძალიან ცუდად იმოქმედოს, თავგზა აუბნიოს, როგორც ეს მსგავს შემთხვევებში არაერთგზის მომხდარა. სულ სხვა აზრისაა იოჰან კრუიფი, რომელიც ახლოს იცნობს რონალდოს, ყურადღებით ადევნებდა თვალს მის თამაშს „ეინდჰოვენში“ და „ბარსელონაშიც“ მიიწვია. იგი აღნიშნავს ბრაზილიელის თავმდაბლობას, საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასების უნარს: „აურზაური, რომელიც უკანასკნელ ხანებში რონალდოს სახელის გარშემო ატყდა, ბევრ სხვა მოთამაშეზე დამღუპველად იმოქმედებდა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ რონალდო თავშეკავებით შეხვდება ამდენ ხოტბას, მეტი შეუპოვრობით იმუშავებს საკუთარი ხელოვნების დასახვეწად“.

ეტყობა, კრუიფი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე პელე. თვით რონალდო კი აცხადებს: „მე პელე არა ვარ. დიახ, მინდა მსოფლიოში უძლიერესი ფეხბურთელი ვიყო, მაგრამ ჯერჯერობით ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ რომელიმე დიდ ვარსკვლავს შემადარონ. მსოფლიო ფეხბურთში ჩემი როლის შეფასება კი მაშინ იქნება უპრიანი, როდესაც ჩემს კარიერას დავასრულებ“.

გივი გამრეკელი.

ამინდი 6 თებერვალს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, თოვლი, გზებზე ლიპყინული. ტემპერატურა ბარში — ღამით 0-5, დღისით -3 +2, მთაში ღამით -3-8, დღისით -1-6.

აღმოსავლეთ საქართველოში ღრუბლიანი ამინდი იქნება, თოვლი, გზები მოყინული. ტემპერატურა ბარში — ღამით -1-6-, დღისით -2 +3, მთაში — ღამით -6-11, დღისით -2-7.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, თოვლი, გზებზე ლიპყინული, ტემპერატურა — ღამით -2-4, დღისით 0 +2 გრადუსი.

ს/ს „მრეწვრკინიგზის“ დირექცია იწვევს ს/ს-ის აქციონერებს ს/ს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 1997 წლის 26 თებერვალს, 12 სთ-ზე, თბილისში, კაიროს ქ. № 36-ში.

დღის წესრიგი:

1997 წლის წლიური ანგარიშის განხილვა.

გთავაზობთ

საბითუმო/საცალო ფასი

1. ქსეროქსის ქაღალდს უმაღ.ხარ; A4x500 ....7,5/8,50ლ.
2. ქსეროქსის ქაღალდს უმაღ.ხარ; A3x500 ....15,5/17ლ.
3. საწერ,საბეჭდ ქაღალდს უმაღ.ხარ; A4 (1 კგ) ....3,2/3,4ლ.
4. კომპ. პერფ. ქაღალდს; სიგ.24,38,42სმ;(1კგ) ....3,8/4,5ლ.
5. კომპ. ქაღალდს რულონებში; სიგანე 21 სმ...........3,8/4,5ლ.
6. ოფსეტ. ქაღალდს ფორმატ.64x90;500ფ.,60გრ.(1კგ) ....2,7/3ლ.
7. ედის თეთრ და ფერად ქაღალდს; 70x100,150გრ(1კგ) ..2,9/3,2 ლ.

ფასდაკლება - მსხვილ საბითუმო მყიდველთათვის
სპეციალური ფასები - მუდმივ დამკვეთთათვის

- უნაღდო ანგარიშსწორებით 38-91-64 ზაქ.-ფეშაპელას ბრ. 45
- ადგილზე მიწოდებით. 39-84-05 V-სარ. ოთ.№15 (გლდანი)

თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონ

ნოდარ კომახიძის

გარდაცვალების გამო სამძიმარს ვუცხადებთ მის ჭირისუფლებს, საქართველოს მთავრობასა და დიდ ქართველ ხალხს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო.
თბილისი.

საქართველოს პროკურატურა სამძიმარს უცხადებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

ვლასი არკადის ძე ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირები და მათი კონფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

ვლასი ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

„საქნახშირის“ დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სათბობის და ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

ვლასი ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

კოტე ცხადაძე

ძვირფასო კოტე! ჩვენ, სიყრმის მეგობრები, გულისტკივილითა და მწუხარებით განვიცდით შენს სამუდამო განშორებას. ჩვენ ყოველთვის გვეამაყებოდა შენი პიროვნება, როგორც ალალმართალი, პატიოსანი, თავდადებული კაცისა. კაცური-კაცობით იცხოვრე ამ ქვეყანაზე და მრავალად დატოვე შენი პიროვნების თაყვანისმცემლები, ადამიანები, რომელთათვისაც შენი ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის მისაბაძი იყო.

სამშობლოში თუ უცხოეთში, სადაც კი მოგიწია ცხოვრება და საქმიანობა, განსახიერება იყავი ქართველი კაცის მაღალი ზნეობისა. შენი ოჯახი, მეგობართა წრე, საზოგადოება მუდამ სიყვარულის, თავდადების, ზრუნვის საგანი იყო. მრავალ გაჭირვებულ ადამიანს გაუმართე ხელი, მრავალს გაუწიე თანადგომა და ამიტომ შენი მოსიყვარულე და თაყვანისმცემელი ადამიანები დღეს მწუხარებით თავს ხრიან შენი ხსოვნის წინაშე.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა!

მეგობრები.

სტეფანე ციგროშვილი

გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკი, მაიორი სტეფანე ალექსის ძე ციგროშვილი. დაიბადა 1939 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში. მილიციის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სტეფანე ციგროშვილი მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იგი არასოდეს ბოროტად არ იყენებდა თანამდებობას, ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა მამაცობით, პრინციპულობით, პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით. ყოველთვის იყო ადამიანთა მორალური უფლებების აქტიური დამცველი, უშიშარი მებრძოლი.

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის ბოლო პერიოდში, 1991 წლამდე, მუშაობდა საბურთალოს რაიონის საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების ასმეთაურად.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ღირსშესანიშნავი და სპეტაკი სულის ადამიანი, თავისი ქვეყნისა და ხალხის უანგარო მსახური. სტეფანე ციგროშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მეგობრები.

ამირან თოფურიძე

გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი თანამშრომელი, თადარიგის პოლკოვნიკი ამირან კირილეს ძე თოფურიძე. დაიბადა 1927 წლის 27 მარტს ქ. დუშეთში, უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო 1959 წელს. 1946 წლიდან მუშაობა დაიწყო შს ორგანოებში ოპერრწმუნებულად. 1959-60 წლებში მუშაობდა ტყიბულის საქალაქო შს განყოფილების უფროსად.

1960-72 წლებში მუშაობდა შს სამინისტროში განყოფილების უფროსად, ხოლო 1973 წლიდან თადარიგში გასვლამდე იყო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ა. თოფურიძემ თავი გამოიჩინა როგორც პრინციპულმა და ერუდირებულმა, თავდადებულმა მუშაკმა, მის პიროვნებაში შერწყმული იყო შეურიგებლობა ბოროტებისა და უპერგილობისადმი, მაღალი კულტურა, გულისხმიერება და მხარში დგომა სიკეთისა და კეთილსინდისიერი ადამიანებისადმი. იგი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით შესანიშნავ მაგალითს აძლევდა შს ორგანოების ახალგაზრდა მუშაკებს.

შს ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის საქართველოს მთავრობის და სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მრავალჯერ არის დაჯილდოებული და წახალისებული, მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენით, შს სამინისტროს დამსახურებული მუშაკის ნიშნით, მრავალი საიუბილეო მედლით და საპატიო სიგელებით.

წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო, მაღალი პროფესიონალი, მოსიყვარულე მამა, კიდევ ერთი კეთილშობილი და პატრიოტი.

პოლკოვნიკ ამირან თოფურიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ხსოვნაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სააქციო საზოგადოება „თბილისის ცენტრალური უნივერმაღი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერმაღის ღვაწლმოსილი მუშაკი

გივი ნიკიფორეს ძე გოგუაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლის მაყვალა ხარებავას მეუღლე

თამაზ მამულაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „რემმშენის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ზურა ზუმბაძეს მამის

ავთანდილ ზუმბაძის

გარდაცვალების გამო.

ტრესტ „თბილგაზის“ კოლექტივი თანაუგრძნობს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

ვლასი არკადის ძე ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ბაია კალმახელიძე, შვილები მოთა, ლილიანა, მინდია, შვილიშვილი ქეთი, ძმისშვილი მამუკა ბუგიანიშვილი, სიმამრი აკაკი კალმახელიძე, რძალი თამარ ანთაძე, სიძე დავით გავაშელი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შანგურ მოთას ძე ბუგიანიშვილი

პანაშვიდი 7, 8 II, 16 ს. დაკრძალვა 9 II, 14 ს. ონი, წერეთლის ქ. № 2.

შვილები გურამ, თეიმურაზ, ერეკლე გოცაძეები, რძლები ნათელა ქაჯაია, მარინა ჯანაშია, ვალენტინა გოცაძე, შვილიშვილები თამრიკო, გიორგი, ბექა, თეიმურაზი, ვია, ქეთინო გოცაძეები, ბექა ჯანაშია ოჯახებით, და ქეთევანი, ძმა ვლადიმერ გეგიები, რძალი თამარ ჭუმბურიძე, დისშვილები ლალი და თემო ქაჯაიები, ძმისშვილები მერაბ და ლამარა გეგიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუბა კონსტანტინეს ასული გეგია

პანაშვიდი 6, 7 II, 4 ს. გამოსვენება 8 II, 2 ს. მისამართი: ი. აბაშიძის 80 (ყოფილი ბარნოვის 178).

დედა თამარი, მეუღლე მიმოზა ქუთათელაძე, შვილი მალხაზი, და ლამარა, ძმა ალბერტ გიორგობიანები, ძმისშვილი თამუნა, დისშვილები ნატო, ირაკლი ლაგვილავები, რძლები ციალა, მარიკა, ლამარა, მაირა, თამუნა, ცოლისძმა გიორგი ქუთათელაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რობერტ ამბერკის ძე გიორგობიანი

დაკრძალვა 8 II, 3 ს., მისამართი: ქუთაისი, კოსმონავტების ქ. 19.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მჭედლიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.